

თავდასხმა საქართველო მხარეზე

943 წლის წმინდა მუჰარრემის 15-ს [=1536 წ. 4. VII.] ბაიბურთის¹ მართებელმა, სახელოვანმა ემირმა მეჰმედ ხანმა მავ [ბაიბურთის] მხარის ძლევამოსილი ჯარი თავდამსხმელთა რაზმში გაიწვია და, ლაშქარი რომ შეკრიბა, შეესია საქართველოს და დაიწყო მისი აოხრება. ამასობაში ქართველი ურჯულოებიც მომზადებულიყვნენ და ისლამის ლაშქარს წინ აღუდგნენ. დიდი ომისა და ბრძოლის შემდეგ განარჯვება ისლამის [ლაშქარს] ერგო. აურაცხელი დასამიწებელი ურჯულო გაწყდა. გადარჩენილები რომ დაიფანტნენ, წაქერები ემგერნენ საშოვარს და იმდენი ნადავლი ჩაიგდეს ხელში, რომ გადმოცემა ძნელია. ასეთი მაგალითის შემდეგ სამმა-ოთხმა სასანჯაყო² ადგილის [მოსახლეობამ] მორჩილება გამოაცხადა და სულთანს ვაღწისა და მართებლის დანიშვნა სთხოვა. (I, 191).

შირვანის მხარეთა დაპყრობა; ბურჰან ალნი სულთანი ხალნლ ფადიშაჰის ძე³

იმავე წელს [955=1548-1549 წ.]*, იმავე ბანაკში** ეს სასიხარულო ამბავი მოვიდა, რომ ხსენებული [ბურჰან ალნი სულთანი] მხოლოდ მისი აღმატებულების, ქვეყნის საფარველი ფადიშაჰის უავგუსტოესი წერილით ჩავიდა შირვანის მხარეში, დაიმორჩილა იგი და უწინდებურად დაიუფლა. დაწვრილებით ეს ამბავი ასეა: აღნიშნულის [ბურჰან ალნი სულთნის] მამა ხალნლ ფადიშაჰი შირვანის შაჰთა ძველი სამეფო გვარეულობიდან იყო. თავგზაბნეული

* ავტორი ბშიოაუ ამბავს იწყებს სიტყვებით „იმავე წელს“ (هذِهِ السَّنَةِ); აქაც და შემდეგშიც ყველგან „ეს წელი“ დადგენილია წინა პარაგრაფების სათანადო ადგილების მიხედვით, ამ შემთხვევაში, მაგალითად, ფეჩევის I ტომის 270 გვერდზე 955 წელია აღნიშნული.

* ე. ი. ადგილგვეზთან ახლო.

შპს ისმაილის⁶ ქალიშვილი ცოლად შეირთო და წინააღმდეგობის გარეშე შირვანის მხარეთა მფლობელი გახდა. შემდეგში როცა ის [ხალწლ ფადიშაჰი] გარდაიცვალა, ეგ [ბურჰან ალწ] მცირეწლოვანი იყო; ამიტომ შირვანის ხელისუფლად აღზევებულ იქნა მისი ბიძაშვილი შაჰრუხ მირზა⁷. მაგრამ მას შაჰ თაჰმასის⁸ შემოესია; შემახის ციხეს⁹ შეიღი თვე ალყა შემოარტყა; შემდეგ დანებდნენ; [ალყაშემორტყმულნი] გამოიყვანა, მაგრამ არ შეიწყნარა და [შაჰრუხ მირზა] მოჰკლა. შირვანის მფლობელობა გადასცა თავის ძმას, ზემოხსენებულ ალქას მირზას¹⁰. იმ დროს ზემოხსენებულმა, ე. ი. ბურჰან ალწ სულთანმა რამდენიმეჯერ შეკრიბა ჯარი, ყოველი მხრიდან შეესია და შეებრძოლა ალქასს. მაგრამ ალქასის მხარე ყოველთვის გამარჯვებული გამოვიდა. ამიტომ მან [ბურჰან ალწ სულთანმა] ქვეყნის საფარველი ფადიშაჰის სამეუფეო ქალაქს შეაფარა თავი. თვით მას ყოველწლიურად სარგო და არფალიკი¹¹ დაენიშნა, ხოლო მის ხელქვეითებს სხვადასხვა თანამდებობა ებოძა და უავგუსტოესი ფადიშაჰის წყალობით დღეკეთილობაში იყვნენ. ხოლო ამასობაში ალქასიც ჩამოვიდა სამეუფეო ქალაქს [სტამბოლს] თხოვნითა და შუამდგომლობით. ზემოხსენებული [ბურჰან ალწ] ფადიშაჰის უავგუსტოესი წერილით შირვანს გაიგზავნა. ის გაემგზავრა შავი ზღვით ხომალდზე და შირვანს ჩავდა. იგი შეებრძოლა ყიზილბაშებს¹², რომელნიც შაჰ თაჰმასის მიერ იყვნენ წარმოგზავნილი ალქასის შემდეგ [შირვანის] დასაპყრობად. მან გაიმარჯვა ტიალ ყიზილბაშებზე და უწინდებურად შირვანის სამფლობელო დაიპყრო. ორიოდე წლის განმავლობაში შირვანის მფლობელი რომ იყო, მან [შირვანი] აქცია სამოთხის ბადად. რადგანაც შვილი, რომელიც მის მოადგილედ [მემკვიდრედ] უნდა ყოფილიყო, მცირეწლოვანი იყო და [ეს] არ შეეძლო, მას ჰყავდა ლაღწ. ყირიმს გაიქცა. შემდეგ კი შირვანის დაპყრობისას ლაღწ მუსტაფა ფაშასთან¹³ ერთად იყო. შირვანში თვით მას ერთი რჩეული სანჯაყი ებოძა. ამის შემდეგ ამ დინასტიიდან რომ ვინმე ყოფილიყო, ცნობილი არ არის.

(1,271-272).

**აზრუმის მირმირანის მეჭმედ ფაშის მიერ დაპყრობილი
ზოგიერთი ადგილი და მის მიერ წარმოებული ყაზავთი¹⁴**

იგივე [955=1548-1549] წელი. ამას წინეთ ტახტბედნიერი ფადიშაჰი ჯიუტ არნაბულთა¹⁵ დასაპყრობად მიემგზავრებოდა; ქართველ არნაბულთაგან რამდენიმე ათასი წყეული მოულოდნელად

დაესხა თავს არზრუმის ბეგლარბეგს მუსა ფაშას¹¹, მოჰკლა იგი და კიდევ ბევრი ისლამის სარწმუნოებისათვის მებრძოლი გმირი გაუყენა სამარადისო ბედნიერების [სამოთხის] გზას. ამ დროიდანვე ისლამის ფაღვანულა განიზრახა ეპოვა შემთხვევა და შური ეძია წყევლებზე. ამიტომ ამავე კურთხეულ წელს ზემოხსენებულ მირმირანს ებრძანა გაემგზავროს [მაგ. მხარეში]. ციხე-სიმაგრეები, რომელიც მან ფაღვანულა მზრუნველობით დაიპყრო, შემდეგია: ალბა ციხისა ბარაკანისა¹² (كركان), ალბა ციხისა კომკისა (كومك), ალბა ციხისა ბანაკისა¹³ (بانك) და ციხისა პერნაკისა (پرنك), ციხისა ქუჩქისა (كوكچك), ციხისა სამალარისა¹⁴ (صاملار), ციხისა ახასი¹⁵ (احا). ამ ჩამოთვლილი ციხეებიდან ზოგი ბრძოლით იქნა აღებული, ზოგი კიდევ თვითონ დანებდა. ამის შესახებ ეუწყა ბედნიერებამოსილ სამეფოეო ქალაქს, რამაც მუსლიმების გული სიამოვნებითა და სიხარულით აღავსო. (I, 280-281).

მეორე ვეზირის აჰმედ ფაშის¹⁶ საქართველოსაკენ გაგზავრება და მაგ ხალეთო გალაშქრებაში დაპყრობათა და ნადავლის შესახებ

956 წელი [=1549]. ამ ხანებში საქართველოს ურჯულოები აჯანყებასა და არეულობას აწყობდნენ. როდესაც უზენაესმა ფაღვანულა შიიტო ზოგი მათი დასაგმობი საქმიანობის შესახებ, [საქართველოში გალაშქრება] მიიწვიო მეორე ვეზირს მის აღმატებულებას აჰმედ ფაშას არზრუმის, ყარაბაღის, ზულყადირლისა და სივანის ბეგლარბეგებთან, მათი სანჯაყების ბეგებთან და ანჩირის¹⁷ ქეთხუდნსთან ერთად, რამდენიმე ათასი ანჩირისა და ლურეხან ბოლუქის¹⁸ ალათა თანხლებით. მათ მიიღეს ფაღვანულა ხელზე მთხვევის პატივი და დიდებული შა'ბანის [თვის] პირველ დღეს [ჩვ. წ. = 1549 წ. 25.VIII.] გაუდგნენ გზას. ჯერ დიდი ბრძოლით აღებულ იქნა თორთუმისა¹⁹ ციხე. ნიხანისა²⁰ და ამირანხორის ციხეები დაგვინებდნენ. ახაყალ'ა ბრძოლით იქნა აღებული. არკან-ისა და არკან-ის [ციხეებმა] და მეორე ახაყალ'ამა და ამით გარდა კიდევ თხუთმეტმა ციხემ მორჩილება გამოაცხადა. დივან'ად (ديوان) წოდებულ მხარეში შესევის შემდეგ ურიცხვი შავარდნის-თვლებიან და კაკაბივით მოგოგმანე ჰაბუკები და ქალწულები მუსლიმან გმირთა ხელში ჩაგვიდნენ. შემდეგ არკან-ის ციხის და მისდამი დაქვემდებარებული ორი ციხის დაპყრობაც სხვა დაპყრო-

ბილ ადგილებს დაემატა. აგრეთვე **علي ايا-ს** (დღდელი) მხარე თავისი კეთილნაშენი სოფლებით კეთილადდაცულ ქვეყანას [ოსმალეთს] დაერთო. ხსენებულ მხარეში დატოვებულ იქნა თხუთმეტი ციხე; დანარჩენები მიწასთან იქნა გასწორებული. შემდეგ თორთუმი, თალხისი (**تلخيس**), ახჩაყალა და დივანას ხევი (**ديوانه خهه**)²¹ განსახლებულ იქნა როგორც ერთი სასანჯაყო ადგილი. იგი ებოძა ერთ-ერთ ბეგს. ამის შემდეგ მშვიდობითა და სიუხვით დაბრუნდნენ და პატიოსანი შეგველის [თვის] მეორე დღეს (= 1549 წ. 24 X.) ჯოლუქად (**جولج**) წოდებულ ადგილას უავგუსტოეს ჯარს შეუერთდნენ. ისინი ღირსნი გახდნენ სამსახურის ხაზით აღზევებისა და წარმატებისა, საპატიო სამოსლებისა და სამეუფეო მოწყალებისა და კეთილგანწყობისა ისე, რომ თავიანთ ტოლებში დაწინაურდნენ და გაზოიჩიერდნენ. (I, 283-284).

ძარცვა-გლეჯა და აოხრება ერევნის, ყარაბაღისა და ნახიჩევანისა

961 წელი [= 1553-1554წ.]. ამრიგად, შემდეგ შურაგელად წოდებულ ადგილას დაბანაკდნენ. [ეს არის] კეთილნაშენი ქვეყანა, რომლის გარშემო სოფლები, ყანები და მთები მდებარეობს. ძლევა-მოსილმა ლაშქარმა ეს ნაგებობანი გაავერანა და ააოხრა ისე, რომ კეთილნაშენობის კვალი აღარ დარჩენილა და გაცამტვერდა. იქიდან [დაიძრნენ] შერაზხანე-დ წოდებული ადგილისაკენ, იქიდან კიდევ ნილფერაკ-ად (**نيلفراق**) წოდებული ბანაკისაკენ: ამის შემდეგ კი ქალაქ ერევანია, რომელიც მართლაც მაცოცხლებელია სპარსელთა სამფლობელოში მდებარე (ადგილთა). დიდებული შაჰზნის ჩვიდმეტში [ჩვ. წ. = 1554 წ. 18. VII.] აქ დაბანაკდნენ; შაჰისა და მისი შვილის, ზოგიერთი სახელოვანი ხანებისა და სულთნების შესანიშნავი და გაწყობილი სასახლეები, ბაღები და ბოსტნები, განსაკუთრებით კი, სულთნის ბაღ-ად წოდებული ცნობილი გულისწარმტაცი ბაღი ცეცხლს მისცეს და მიწასთან გაასწორეს. ოცდამესამე დღეს [= 24. VII.] არფაჩი-დ წოდებული ცნობილი მდინარის [პირას] დაბანაკდნენ ერთ სამურ ადგილას; ის მხარეებიც მთლიანად განადგურებულ და გაოხრებულ იქნა. ამავე ადგილას დიარბექირის ბეგლარბეგი რამდენიმე არამზადა ყიზილბაშს შეეჩეხა და საკმაოდ მაგარი ბრძოლის შემდეგ ყიზილბაშთაგან რამდენიმე მოენე მოიყვანეს და თავები მოიტანეს. ოცდამეოთხე დღეს,

როდესაც არაქსის პირას კარან-ჰისარში დაბანაკდნენ, ყარამანის ზა'ნმებისა²² და სხვა ჯარის ხალხთან ზოგიერთებმა საკმაო მანძილით დაშორებულ ადგილას რამდენიმე სოფელი დაინახეს და შეესივნენ. თურმე აქ რამდენიმე არამზადა ყიზილბაში ჩასაფრებულ იყო; დრო იხელთეს მათ და საკმაო ზარალი მოგვაყენეს. ოცდამეხუთე დღეს შევიდნენ ყარაბაღში, რომელიც თავისი ბაღებითა და თაღებით კეთილმოწყობილი და განთქმული მხარეა სპარსეთისა. ისეთი მტვერი დადგა, ისეთი კორიანტელი ატყდა, რომ კაცს კაცის გამოცნობა არ შეეძლო; ასე რომ ნათელი დღე უკუნეთ ღამეს დაემსგავსა. იმ ქვეყნის მოსახლეობა ისე დაიფანტა და დაიბნა, რომ მათ კვალს ვერ მიაგნეს. ოღონდ მრავალი ნივთი განცულობის სახით სხვადასხვა ადგილას შეენახათ და რამდენიმე მაღაროში საგანძურები ჩაეწყათ. ასეთების დიდი წილი იპოვეს და აურაცხელი ნადავლი ჩაიგდეს ხელში; ხოლო რისი წაღებაც არ შეიძლებოდა, ცეცხლს მიეცა. [შა'ზანის] ოცდამეშვიდე დღეს [= 1554 წ. 28.VII.] ნახიჩევნის ველზე გამართული იყო ქვეყნისმპყრობელი შაჰის კარავი; ძღვევამოსილი [ნისლამის] ჯარის მიერ ატეხილი აღიაქოთის შიშით ქალაქები, სოფლები, მამულები და და სხვა ადგილები გაუჟაცრიელებულიყო. განადგურებულები და ყვავ-ყორნებისა და ჭოტების საკრებულო გამხდარიყო; ასე რომ, მნახველებს ძრწოლა ეუფლებოდა, ხოლო შიგ შემსვლელებს მოიცავდა შიშის ზარი. უმაღლვე ნადავლისა და საშოვრის მოსურნე ცხენოსნები და სხვა ჯარისკაცები დაერივნენ შაჰისა და მისი შვილის და სხვათა სასახლეებსა და სახლებს, გაძარცვეს და მიწაში ჩაფლული საქონელიც ხელში ჩაიგდეს; დაწვეს, დაანგრიეს და ქვა-ქვაზე აღარ დატოვეს. [ამ ადგილიდან] ოთხი-ხუთი დღის სავალ მანძილამდე, იმ მიდამოებში მდებარე სოფლებიდან, დაბებიდან, ყანებიდან და ნაგებობათაგან ნაშენი და კეთილმოწყობილი რამე არ დარჩენილა, ყველაფერი გავერანდა. სპარსელთა ქვეყანაში, სადაც ამდენი ხანია ჯარი ძღვევამოსილი და გამარჯვებამოპოვებული იყო, მოკლული და კისერგამოჭრილი ყიზილბაშების ზღვარი და რიცხვი მხოლოდ მაღალმა გამშენმა უფალმა უწყის. აურაცხელია [აგრეთვე] ძვირფასი და რჩეული ნივთი, რომელიც მოიშოვეს და შეაგროვეს.. შესახედავად ვერცხლისებური ტანისა და ვარდისკოკორპირა ბიჭების, ჯერ კიდევ ახლადაყლორტებული, ვარდლოყებიანი და თანაზომიერი აღნაგობის კოხტა გოგონებისა და სილამაზით შეუდარებელ ახალგათხოვილთა აღსარიცხავად ცბიერი კალამიც უძლურია. მცოდნე პირთა გამოთქმული ერთსულოვანი აზრის მიხედვით ამბობენ, რომ ამჯერად შეკრებილი მეომრების ოდენა

ჯარი არც ერთ ლაშქრობაში არ ყოფილა. არც ერთი კარავი არ არის, რომ შიგ ზემოაღნიშნული ბიჭები და გოგონები სულ ცოტა ორზე ნაკლები იყოს; აურაცხელია აგრეთვე ისეთი კარავი, რომლებშიც ხუთზე, ათზე მეტნი არიან. კეთილნაშენ მუშისა²³ და ახლათის²⁴ სანახებში რომ ჯანყი და ხრიკი თესეს, ახლა მისი ნაყოფი მომწიფდა, მოიმკეს და შხამიან წყალში არეული [ეს ნაყოფი] ბლომად იწვინეს. (I, 312-314).

ერევნისა და ნახიჩევნის მხარეთა განადგურების შემდეგ მაღალირსეული ფადიშაჰის ბედნიერად დაბრუნება

იგივე [961 = 1553-1554 წ.] წელი. როდესაც ღირსპატივსაცემი მარხვის თვე [რამადანი] დადგა, ისლამის ფადიშაჰის მრისხანება და შურისძიება მის კეთილშობილურ ბუნებაში ღმობიერებასა და კეთილმოწყალებაზე შეიცვალა. როდესაც ტყვედ წამოყვანილი ყიზილბაში გზადაბნეული შაჰის ვითარებათა შესახებ დაკითხეს, გაიგეს, რომ მათ იმედი ჰქონდათ ლორად წოდებული ძნელად გადასასვლელი მთის ვიწრო გზისა, რომელიც ამისთვის გაამაგრეს. როდესაც [ოსმალთა] ჯარი [იქითკენ] დაიძრა, მაღალი ალშაჰის მადლით, ისლამის გმირთა შეტევა ვერც მთამ შეაჩერა და ვერც გორამ. დასამარცხებლად განწირული [ყიზილბაშების] ჯარის დაფანტვა და დანიაება ადვილი საქმე იყო. მაგრამ [ყიზილბაშებისთვის] ამოდენა ეს სასჯელი საკმარისად იქნა მიჩნეული, რადგანაც ამაზე მეტი, ცხადია, კაცთმოყვარობისაგან შორს იქნებოდა. ამიტომ სხვა ღონისძიებათაგან თავის შეკავება მიზანშეწონილად მიჩნეის. შემდეგ გაიარეს ადგილები, მანძილები და წმინდა რამადანის მეშვიდე დღეს [ჩვ. წ. = 1554 წ. 6. VIII.] ბაიაზიდის ციხედ წოდებული ერთი დანგრეული ციხის ახლო დაბანაკდნენ. როდესაც გზადაბნეულმა შაჰმა შეიტყო, რომ გონებაგამჭრიახი ფადიშაჰი უკვე დაბრუნდა, ძლიერ გაცოცხლებული დარჩა. ამასობაში (ფადიშაჰი) სამშვიდობოს გამოვიდა; ძლიერ კმაყოფილი და ნასიამოვნები იყო. (I, 314-315).

ძღვეამოსილი ჯარის ზოგიერთმა [ნაწილმა] უკან დაბრუნების უზენაესი ნებართვა რომ მიიღო და დიდი ვეჯირი საქართველოსაკენ რომ გამოიგზავნა

როდესაც ჩობან-ქოფრუ²⁵ (چوبان کوفرلی) გაიარეს, დაბანაკდნენ ჰასან-ყალა-ს-²⁶ ახლო. დიარბექირის ბეგლარბეგს, ქურთის-ტანის ბეგებს, და ვანის ბეგლარბეგს ფერაჰად ფაშას²⁷ და მის
30

ბეგებს [საპატიო] ხალათები ჩააცვეს. ისინი გაბედნიერდნენ ფაღი-შაჰის ხელზე მთხვევით; თავიანთ ადგილებში დაბრუნების კეთილი ნება ებოძათ. 'უმადიფეს²⁸ ბეგი სულთან ჰუსეინ-ბეგი უავგუსტოესი ჯარის ბანაკში მოვიდა. მან თან მოიტანა თავები, რომლებიც ზემოთ აღნიშნულ თახთ-ი სულემან-ად²⁹ წოდებულ ადგილას წააჭრეს [ყიზილბაშებს] და რომლებიც შუბებზე იყო წამოცმული. აგრეთვე [მოიტანეს] მტრის დაფი, ნალარა და უკულმა შებრუნებული აღმები და ძვირფასი ქვებით შემკობილი გვირგვინები. ისინი ელირსნენ ფაღიშაჰისაგან მრავალგვარ წყალობას. ამ ბანაკში გაუთენდათ მათ თავიანთი დიდი დღესასწაული. ფაღიშაჰის კეთილი ჩვეულებისამებრ აქ შესრულებულ იქნა სადღესასწაულო წესები. აქედან გაემგზავრნენ და საზოგადოებრივად წოდებულ ადგილს დაბანაკდნენ. აქ ქვეყნისმპყრობელ ფაღიშაჰს მოხსენდა, რომ გზადაბნეული შაჰი საქართველოში რამდენიმე ფაღიშაჰისეულ ციხეს შეესია. ოთხი ათასი იანიჩარისა და სრულიად რუმელიის, ანატოლიისა და ყარამანის ლაშქრისა და ყველა ბოლუქის ალათა და ბოლუქის ჯარის სარდალ-სპასალარად დაინიშნა სახელოვანი დიდი ვეზირი და გაიგზავნა [საქართველოში]. ოლთის-ად³⁰ წოდებულ ციხეს რომ მიღწიეს, შაჰის შესახებ ცნობა მოვიდა, რომ მის საბრძანებლო ქვეყნის მოსახლეობიდან ზოგი განადგურებულა, ზოგი კი სიმშვილობას მოუტაცეს და ამ მხარეებში წამოსულა საცხოვრებელი სარჩოს საშოვნელად. აი ამ დროს, უფიქრიათ მათ, ეგების შემთხვევა მოგვეცეს და ფაღიშაჰის ზოგი ციხე ხელში ჩაივადოთო. როდესაც შეიტყვეს, რომ დიდი ვეზირი ისლამის ლაშქრით მოვიდა და ძღვევამოსილი ჯარით [საქართველოს] მფარველობას უწყევსო, ორი დღის სავალი მანძილი ერთ დღეს გაირბინეს და შინ მოკურცხლეს დიდი ვეზირი კი მისდამი რწმუნებული ლაშქრით უავგუსტოეს ჯარს შეუერთდა. (I, 325-326).

ახტარხანისა და ყაზანის ლაშქრობა

976 წელი [ჩ. წ. = 1568 = 1569 წ.]. დიდებული დიდი ვეზირი მეჰმედ ფაშა ტავნლი³¹, დროს არ გაუშვებდა ისე, რომ არ ეფიქრა სპარსთა ქვეყნების დაპყრობისათვის საჭირო წინაპირობების შექმნაზე. ცხადი იყო, რომ [ამ თვალსაზრისით] საჭირო წინაპირობათაგან ყველაზე უფრო აუცილებელი ღონისძიება ისლამის ჯარის სურსათით უფრო ადვილად მომარაგება და უზრუნველყოფა

იყო. ამიტომ ზოგმა საქმეში გამოცდილმა პირმა წინადადება წააშალა, რომ შვედეთში ჩამავალი დონის წყალსა და კასპის ზღვისაგან მიმდინარე ითილის წყალს³² შორის მანძილი მცირეა და მათი ერთმანეთთან შეერთება ფაქტობრივად უზენაესი მთარველობით ადვილი საქმეა. მეორე რანგის დეფთერდარი ჩერქეზი კასიმ ბეგი³³, რომელსაც გარდა იმისა, რომ შემოქმედების უნარი ჰქონდა, მაგ ქვეყნების შესახებ სრულყოფილი ცნობები მოეპოვებოდა და განსაკუთრებით [უნდა ითქვას] ზემოხსენებულ დიდ ვეზირთან მას ჰქონდა უახლოესი დამოკიდებულება. მხოლოდ ამ საქმისათვის მისგან მოსალოდნელი ცოდნის გამოსაყენებლად მას უბოძეს კაფას სანჯაყი³⁴. ზემოხსენებული [კასიმ ბეგი] გაემგზავრა, გამოიკითხა ეს საქმე გამოცდილი პირებისაგან; გარდა ამისა, გააგზავნეს სპეციალურად ნდობით აღჭურვილი პირები, რომლებმაც ადგილები შეისწავლეს და გააზომინეს. [გაარკვეეს], რომ ორთავე მდინარეს შუა [მანძილი] ზღვის მილით იყო ექვსი მილი. ეს მისწერეს და შეატყობინეს სტამბოლს. შემდეგში, ღვთის შემწევით, ეს ძნელი საქმე თუ განხორციელდა და გაკეთდა, ისლამის ჯარი სპარსეთში ლაშქრობათა დროსაც სურსათის ნაკლებობას აღარ იგრძნობდა. შეუძლებელია, რომ შირვანის, ყარაბაღისა და სრულიად საქართველოს ქვეყნები ბედნიერ ფაქტობრივად არ დანებდებოდნენ და მორჩილება არ გამოეცხადებინათ. თავისთავად გასაგებია, რომ ამ აუცილებელი მორჩილების გამოცხადებაში ისინი იქნებოდნენ ერთსულთვანნი. სახელოვანმა ვეზირმა დიდი მონდომებით მოამზადა და მოემარაგა ციხის რამდენიმე ქვეყნები და ზარბაზანი, აგრეთვე ბარები, ნიჩბები, წერაქვები და სხვა საომარი საჭურველი, რომლის დაწვრილებით აღწერა აქ ტყუილად დროს დაკარგვა იქნებოდა. მოამზადა [საჭირო მასალა] და მრავალრიცხოვანი ფლოტით კაფას ნაპირებისაკენ გააგზავნა. იანიჩარისა და სხვა ყულის ჯარის დიდი რაოდენობა თან გააყოლა და გაამგზავრა. თათარხანს კი უბრძანა, რომ ამდენი და ამდენი ცხოველი და თათრის მთელი ჯარი თან იყოლიოს. კაფა, როგორც ეწოდებოდა, ზემოხსენებულ კასიმ ბეგს უბოძეს; კაფას რაიონებიდან, თათრის ქვეყნიდან, ბალიკალის, მენქუბისა³⁵ და ტამანის რეწაწათაგან გამოიყვანეს უამრავი ცხოველი და დანიშნულ ადგილას გაემგზავრნენ. და ეს ველი და ტრამალი მთელ სამყაროში ყიფიყის ველის სახელით არის ცნობილი. დანოღაელ თათართა ხალხის საძოვარი და სანავარდო ადგილია. ეს ადგილები გადასერეს და ითილის [ვოლგის] მდინარესთან მივიდნენ და დაინახეს ასტრახან-ად წოდებული ძველი ქალაქი. გამოჩნდ-

ნენ აქამდე [დაცული] წმინდა მეჩეთების, აბანოებისა და მედრესეთა ნაგებობანი, რომლებიც ძველი დროიდანვე ისლამის მალიარებელ [აქაურ] მოსახლეობას განეკუთვნება. [ამასთანავე ერთად] აღმოჩნდა, რომ შიგ ადამიანთა მოდგმიდან ერთი სულიერი არსება არ იყო. შემდეგ შეარჩიეს ერთი შესაფერისი ადგილი და დაიწყეს მდინარის თხრა. სამი თვის განმავლობაში მათ არ დაუკლიათ შრომა და გარჯა, მაგრამ ძლივს-ძლივობით გათხრილ იქნა მხოლოდ ერთი მესამედი. იმ ადგილას ოცდაათი ათასი ნოღაელი თათარი მოვიდა და ამათ შეუერთდა. ღვთის განგება! მაშინ, როდესაც მტრის შიშისათვის არაერთი საფუცველი არ იყო და სურსათი და საჭურველიც რომ ბევრი ჰქონდათ, ჯარში რაღაცა მითქმა-ნითქმა შეიქმნა. აქაური ზამთარი სამი თვით აღრე მოდი-სო, იმ დროს ყველას ხელი და ფეხი გაუჭრდებო. და ეს ზღაპარი დაიჯერეს, ერთმანეთს არ დაუცადეს, აიყარნენ და წავიდნენ. ზოგიერთების რწმენით: ჯარი თათარხანის მიერ უნდა ყოფილიყო დაშინებული. ეს [თათარხანი] კიდევ ეჭვიანობდა, ე. ი., [თათარხანი ფიქრობდა, რომ], როცა ოსმალთა ჯარი ხმელეთითა და ზღვით ყიფჩაყთა ველზე და შირვანის მხარეებში შენოსვლას დაიწყებს, თათრებს წარმატება აღარ ექნებათ; შეიძლება ყირიმიც არ შეეგვრჩეს ხელშიო; ამბობენ, ამიტომ ჩაიდინეს ეს დანაშაულიო. ამრიგად, ასე ტყუილად ჩატარდა ეს ღონისძიება. ამდენი ხარჯი და ზარალი განიცადეს. გადასატანად ძნელი ჯაბახანა და მისთანანი ჩაფლეს ერთ ორმოში, რომელიც დიდი გაჭირვებით ამოთხარეს. თითქოს არაფერიო, ერთიმეორეს ასწრებდნენ და ისე მოდიოდნენ. როდესაც ეს ბედნიერ ფადიშაჰს მოახსენეს. იგი დიდებული ვეზირების თანდასწრებით შემოწყრა დიდ ვეზირს და ბრძანა ეანგარიშათ მთელი ხარჯი და ზარალი, რომელიც „შენს მიერ უნდა იქნეს ანაზღაურებულიო“.

(I, 468-470).

მოკლე ძიებანი ყიფჩაყთა ველის [ღვთი-ი კიფჩაკ] და ასტარხანისა და ამ მშვენიერი და უსასრულო ველის მოსახლეობის ვითარებათა შესახებ

გულწრფელ მეგობრებს, რომელნიც გულისყურით მოეკიდებიან ამ ჩვენს შესაწყნარებელ თხზულებას, შეიძლება აღეცრათ სურვილი მოკლედ იცოდნენ, თუ როგორი ქვეყანა იყო ყიფჩაყის ველი და ასტარხანი და რა ხალხები იყვნენ ამ ადგილთა მფლობელები. ასეთ შემთხვევაში ჩვენ შეძლებისდაგვარად ამ უსახლგრო

ასპარეზზე გასასივრებლად მთლად აღვირახსნილად გავატარებთ ჩვენს მსწრაფლმოამბე კალამს. თქვენმა მაღალმა გონიერებამ უწყოდეს, რომ დეშთ-ი ყიფჩაყი იცოდნენ ალთიფარმაქ ეფენდიმ³⁵, ჯენაბნ ეფენდიმა და თემშურ-ნამეს აეტორმა და დეშთ-ი ყიფჩაყის შესახებ ასე დაწერეს: დეშთ-ი ყიფჩაყის სამხრეთის მხარეზე [მდებარეობს] კულუშუმის ზღვა^{35a} და პონტოსის ზღვა, რომელიც ცნობილია შავი ზღვის სახელით. ამ ორ ღრმა ზღვას შუა ადგილი ქართველებითა და ჩერქეზებით დასახლებული მიწები და მთებია და მათ შორის ძველ დროს გაკეთებული იყო ზღუდე, რომლის ნაშთები ბევრგან ახლაც აშკარად ჩანს. ამ ზღუდეს ზოგჯერ ალექსანდრე [მაკედონელის] ზღუდესაც ეტყვიან. მათ შორის, [ყურანის] თათსირების მწერალმა მეფემ, წმინდა ყ ა ნ დ მ — მასზე იყოს შეწყალება მაღალი ალლჰისა—თავის წმინდა თათსირებში [სწორედ] ამგვარად აღნიშნა. იბნ აბბასის—მაღალი ალლჰიმცაა კმაყოფილი მით—გადმოცემით ერთ პატიოსან ჰადისში განმარტებულია, რომ ბაბ-ელ-ებგვაბის³⁶ დიდი ზღუდე ჯიბრაჰლის—მასზე იყოს მშვიდობა—ჩვენებით გაშენებულია ისქენდერ ორქიანის მიერ³⁷, ხოლო [ზღუდის] მეორე მხარე—ნევშირვან ადილის მიერ. ბაბ-ელ-ებგვაბი, რომელიც თემშურ-კაფუს სახელითაა ცნობილი, ამ ზღუდის კარიბჭის სახელია. [ყიფჩაყთა ველის] აღმოსავლეთის მხარეზეა: ხვარაზმი, სიქნაქი, თურქისტანი, ხატა და ხათანი, რომელნიც შორეულ ჩინეთამდე მიდიან. ჩრდილოეთი მხარე: ველები და ზღვების მთელი რიგია და მათი ბოლო—ბურუსია. როგორც ეს თემშურმა ამ ველებზე გადასვლის დროს გადაიტანა დიდი შიმშილი და გაჭირვება, რომელიც იღუმალმა ხმამ შემდეგი გულისმოსაწონი სიტყვებით გამოხატა:

[ამეამად] ჯარს მტერი არ ჰყავდა, გზა კი გაუთავებელი იყო; გაჭირვება დაადგა დიდ ლაშქარს.
 შიმშილმა ისე მაგრად მოიკიდა ფეხი,
 რომ პურის შოვნა უკვდავების წყალივით შეუძლებელი შეიქნა.
 ბზე ხაფრანზე მეტად ფასობდა,
 დრო იყო ისეთი, რომ [სანოვაგისათვის] ჭურჭელი თან
 დაჰქონდათ.

გამოილია სარჩო მთლიანად—
 მეფის ბელლიდან კიანჭველის სორომდე*.

* ეს ლექსად არის ჩართული სპარსულ ენაზე. ჩვენი თხოვნით ლექსი ქართულად თარგმნა დოც. მაგალი თოდუამ.

დასავლეთის მხარეზე არიან: რუსეთი, პოლონეთი, ბულგარია, ვალახია და მოლდავეთი და ოსმალეთი. დემთ-ი ყივჩაყის სიგრძე და სიგანე მცოდნეთა მიერ ასეა დაახლოებით განსაზღვრული: სიგრძე—ათასი, ხოლო სიგანე ექვსასი ფერსახი³⁷. წერენ, რომ როცა ძლიერებით სავსე თემურმა³⁸ თობთამიშ ხანზე³⁹ გაილაშქრა, ექვს თვეს ძლივს გადაიარა იგი. ისინი ადასტურებენ აგრეთვე, რომ [ყივჩაყთა] შუა ველზე დიდი გორა იყო; თემური ავიდა მაღალ მთაზე და მის წვერზე გააშენა მინარეთი და მანდ დააწერა თავის ლაშქრობის თარიღი. მანვე აქ მარმარილოზე ამოაჭრევინა თავისი დამლა. თემურის ამ ლაშქრობამდე ხვარაზმელები ჯგუფებად და დატვირთული ურმებით გამოდიოდნენ აქ და სამ თვეს ყირიმში ჩადიოდნენ. ამასთანავე ერთად მათ სურსათ-სანოვაგის მარაგი არ მიჰქონდათ; ამა თუ იმ ტომებში დაბანაკდებოდნენ და მიდიოდნენ. და ეს ურიცხვი ტომები მთლიანად თათრები იყვნენ. მათი მხოლოდ ქალაქები რომ ჩამოვთვალოთ: სარაი, აზაკი⁴⁰, აჟდარჰანი, ჰნჯჯონ თარხანი⁴¹, სერაჩუქი და ყარასუ. ესენი ქალაქები და დაბებია დანარჩენი იყო ობა (ე. ი. მომთაბარე), დაჯდებოდნენ (სადმე) და [ისევ] გადავიდოდნენ. თითოეულ ტომს მეჩეთისა და საღვთისმსახურო ადგილის ნაცვლად ჰქონდა კარავი, რომელიც ურმზე იყო დამაგრებული და მათთან ერთად მიდიოდა. როცა ძალადობით სავსე თემური მოვიდა, ზოგი მათგანი დაატყვევა, ზოგი კიდევ ხმლით აკუწა, ზოგიერთი ტომი კიდევ პოლონელთა და რუს ურჯულთა ქვეყნებში გაიქცა და იმ ურჯულოთა მხარეებში დასახლდა. აქამომდე პოლონეთში სამოცი სოფელი არსებობს და ყოველ სოფელში თითო-თითო მეჩეთი აქვთ და თურმე ხოტბას ადავლენენ ხოლმე პოლონელთა მეფის სახელზე. ძალიან კეთილმოწყობილი სოფლები ყოფილა. თურმე შეუძლიათ, რომ თითოეულ სოფელში რამდენიმე ჯამე და მეჩეთი ჰქონდეთ, მაგრამ ურჯულო ამის ნებას არ აძლევს. განსვენებული ისქენდერ ფაშის ქეთხუდა— მუსსა ქეთხუდა, რომელიც ძლიერ გულითადი და სანდო კაცი— პოლონეთში სრულ ათ წელს იყო ტყვედ დამწყვდეული. მან გამოგვცა, რომ ამათგან ის რამდენიმე კაცს შეხვდა. ერთხელ რელიგიურ საქმესთან დაკავშირებული ერთი საკითხის გადასაწყვეტად აქქერმანის⁴² მუფთოსთან მათ კაცი გააგზავნეს. ეს კაცი მას შეხვედრია და დაწერილებით უამბნია ყველაფერი. დიდებულ ყურანს კვლავ არაბული დამწერლობით წერენ, მაგრამ [ყურანის] განმარტებები რომ დაწერონ, პოლონელ ურჯულოთა ენაზე წერენ. სამეფოს. თურმე გადასახადს არ უხდიან, ოღონდ ყოველწლიურად

მეფის სამსახურისათვის სამას კაცს აგზავნიან. საჭირო მიმოწერასა და ურთიერთობას ესენი ახორციელებენ. პოლონეთის მეფეები ამათ [თათრებს] უფრო ენდობოდნენ, ვიდრე თავიანთ ურჯულო თანამეტომეებს. ზემოაღნიშნულ თათართა ტომებიდან კიდევ რამდენიმე ტომი მოლდავეთისა და ვალახიის¹² ქვეყნებში დამკვიდრებულა და დროთა განმავლობაში ურჯულოებთან ურთიერთობისა და მეგობრობის შედეგად გაქრისტიანებულან. მოლდავეთის ურჯულოთა უმრავლესობა ამ ტომიდანაა. თეშურ¹³ რომ თოსთამიშ ხანს ებრძოდა მდინარე ითილზე სამ დღესა და სამ ღამეს, მან რამდენიმე ასეთი ტომი მალულად გამოიწვია და დამორჩილება მოსთხოვა თურმე. მათ კიდევ დაიჯერეს თემშურის ცრუ დაპირებები და მის ლაშქარს შეუერთდნენ. ამიტომ თოსთამიშ ხანი დამარცხდა. მაგ ტომებს იფთაღ¹⁴ს ეტყოდნენ. ისინი თემშურთან რწმისაკენ წამოვიდნენ და ზოგი ედირნეს არემარეში, ზოგი კიდევ ბაბას ყაზაში დასახლდა. ახლაც ბაბას ყაზაში მოიპოვება მათი რამდენიმე სოფელი. როცა სილისთრას ბეგები სალაშქროდ გამოდიან, იმათგან ას-ასი კაცი უერთდება ლაშქარს და ბეგებისათვის საძოვრების მოვლისა და ცხენების მწყემსვის სამსახური მათ აქვთ დავალებული. დაპყრობათა მწარმოებლის ჩანაწერების მიხედვით, ალთი-ფარმაქ ეფენდი თავის წიგნში გადმოგვცემს, რომ მოძალადე თემშურს ამ თავის ლაშქრობაში სადივანო შემოსავლისა და სხვა ნადავლის გარდა მისმა მოხელეებმა დავთარში გაუტარეს შვიდას ოცი ათასი ტყვე და ას ოთხმოცი ათასი ცხენი, აქლემი და მისთანანი. პასუხისმგებლობა (პირველ) გადმომცემზე იყოს.

(I, 470-473).

**ძლევა მოსილი [ლულა ფაშის სარდლობის] დროს მომხდარი
დაპყრობებისა და საღვთო ომების ამბავი**

ლულა ყარა მუსტაფა ფაშის სარდლობა ირანში 985 წლის პატიოსანი შევევლის [თვეში. = 1577 წ. 12. XII—1578 წ. 9. I.]. ვანის ბეგლარბეგმა ხუსრევ ფაშამ¹⁵ სამეფო კარს მოხსენება გაუგზავნა და აცნობა: ირანის ქვეყნის შაჰი ისმავ¹⁶ლ მეორე თაჰმასბ შაჰის ძე გარდაიცვალა და მის ადგილზე დაჯდა მისი ძმა—ბრმა და უსინათლო, მეჰმედ ხულაბენდე¹⁷ს¹⁸ სახელით. მოხსენებაში ეწერა, რომ ეს სწორედ მოხერხებული შემთხვევაა სამხედრო ნადავლის საზოგადოებრივად და მტერზე შურის საძიებლადო, როდესაც ეს ვითარება ბედკეთილ ფაღლიშაჰს მოხსენდა, მან დაუყოვნებლივ გასცა

ბრძანება სარდლის დანიშვნისა და საომარი მზადების შესახებ. მაგრამ [ირანზე გალაშქრება] ეწინააღმდეგებოდა დიდი ვეზირის მეჭმედ ფაშის⁴⁵ სურვილს. ამიტომ მან [ომის] თავიდან ასაცილებლად დიდი მონდომებითა და მცდელობით მიიღო ღონისძიებები. მან რამდენიმეჯერ მოახსენა უფალ ფაშის⁴⁶ ომის საშიშროებანიობასა და უარყოფით მხარეებზე. უპირველესად ყოვლისა, ამბობდა ის; ყულის ჯარი აღდგება, [ჯარისკაცთა] ჯამაგირი და (სხვა) ხარჯები გაიზრდება, რე'შაჲ გადასახადებისაგან და ჯარის თავდასხმისაგან გაჩანადდება; ირანის ქვეყანა კიდევაც რომ დავიპყრათ, მისი მოსახლეობა მაინც არ მიიღებს ჩვენს ქვეშევრდომობას; სალაშქრო ხარჯებს პროვინციებიდან შემოსული გადასახადები ვერ დაფარავს. თქვენმა დიდებულმა წინაპარმა, სამოთხეში დამკვიდრებულმა მისმა უდიდებულესობამ სულთან სულეიმანმა⁴⁶ რაები არ გადაიტანა; და როცა მათ შორის ზავი დაიდვა, რა სემწარე და უბედურება შეხვდა. ვინც ამას არაფრად აგდებს, მან არ იცის, თუ რა არის ირანთან ომი; მას არ შეუძლია შეათასოს შექმნილი მდგომარეობა. ათას ამგვარ დაბრკოლებაზე ილაპარაკა, მაგრამ რამდენადაც არ ეცადა, შედეგს ვერ მიაღწია. ბოლოს გამოითქვა მოსაზრება არზრუმის მხარეში სარდლად დანიშნოს მესამე ვეზირი ზემოხსენებული [ლალა] მუსტაფა ფაშა, ხოლო ბაღდადისაში — მეოთხე ვეზირი სინან ფაშა. თითოეულ მათგანს მათ რაიონში არსებული ჯარიდან საკმაო რაოდენობა გამოუყვეს. მაგრამ, რადგანაც სინან ფაშა ჯიუტი და ჭირვეული სახელმწიფო მოღვაწე იყო, მან ბედნიერ ფაშის⁴⁶ მოახსენა: მუსტაფა ფაშას რჩეული და გულადი ჯარისკაცები მისცეს, ხოლო მე კი დაწუნებულები და ლაჩრებიო. შემდეგ ბედნიერმა ფაშის⁴⁶ ბრძანა, რომ ორივე დაიბაროს თავისთან დიდმა ვეზირმა და შეარიგოსო. მაგრამ საქმე ამითაც არ გათავდა. რამდენი არ უთმინეს, მან მაინც არ მიატოვა თავისი ჯიუტობა. [ბოლოს] დიდმა ვეზირმა ფაშის⁴⁶ მოახსენა, რომ მათი შეთანხმება შეუძლებელია; ერთი მათგანი უნდა დანიშნოს სარდლად, ხოლო რომელი მათგანი იყოს სარდლად, ეს ფაშის⁴⁶ შაჰის ნება არისო. უფალმა ფაშის⁴⁶ კვლავ ბრძანა, რომ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე მოაყვანინეთ და [საომარ მოქმედებათა გამო] მათი მოსაზრებანი და ღონისძიებები გაიგეთ და შედეგი უზენაეს ხელისუფალს შეატყობინეთო. დიდმა ვეზირმა ჯერ მუსტაფა ფაშა დაიბარა. [უთხრა:] ბედნიერი ფაშის⁴⁶ გეკითხებათ, თუ თქვენ სარდალი იქნებით, რა ღონისძიებებს მიიღებთ. მუსტაფა ფაშამ თქვა: ჩვენი ღონისძიებები გამჩენ უფალზეა დამყარებული; დანიშნულების ადგილას ჩასვლა, საქმეში გამოცდილ პირებთან

მოთათბირება, მიზანშეწონილად მოქმედება და საჭიროების მიხედვით ბრძოლა. შემდეგ სინან თაშა დაიბარა და გააგებინა ბედნიერი ფაქტის პატროსანი ბრძანება. მან კი საკითხი ერთგვარად მამაცურად გადაწყვიტა: პირველ წელს მე ვკისრულობ მთლიანად თავრიზისა და შირვანის მხარეების დაპყრობას, ხოლო მეორე წელს ჰამადანისა და ისფაჰანისაო. როცა უზენაეს კარს მოხსენდა ორთავეს ნათქვამი, სარდლობა მუსტაფა თაშას დაევალა. სტამბოლიდან [სალაშქროდ გამოსვლა] ებრძანათ ხუთი ათას იანიჩარს, სიფაჰნებსა და მარცხენა ფლანგის ბოლუქთა ულუფეჯრუებს, ჯეზეჯრუებს, არაბაჯრუებსა და საქმაო რაოდენობის მეზარბაზნეებს, ხოლო ბეგლარბეგებიდან—დიარბექირის, არზრუმის, ხუ-ლ-კადრიდეს, ჰალაბისა და ყარაჰანის ბეგლარბეგებს მათ ეძალეთებში მყოფი ბეგებით, ზაინებითა და თიმნარის⁴⁷ პატრონებით. (II, 36-38).

ძღვეამოსილი სარდლის გადმოსვლა [სტამბოლიდან] ისკუდარისაკენ

986 წლის წმინდა მუჰარრემი [=1578 წლის 10. III.—8. IV.]. ძღვეამოსილი სარდალი ისკუდარში გადმოვიდა; გადასერეს მანძილები და არზრუმს ჩავიდნენ. ყიზილბაშებთან ჯერ კიდევ დაზავებასა და მშვიდობიანობაზე იყო ლაპარაკი. მაგრამ, ამბობდნენ ისინი [ოსმალები], საქართველოს ბეგთაგან ზოგიერთები ურჩობენ; ამიტომ ჩვენ მათ დასამორჩილებლად და დასაწყყნარებლად მივდივართო. თუმცა ყიზილბაშებიც მოსაჩვენებლად ჩემულობდნენ, რომ ჩვენ მშვიდობიანობას ვიცავთ და მას არ დავარღვევთო; მაგრამ იმ დროს ცხადი გახდა, რომ [ყიზილბაშები] ჯანბაზ-ჩუკურში თურქმანთა ტომების ცხვარსა და აქლემს იტაცებდნენ. სხვა კიდევ მრავალი ასეთი ბოროტმოქმედება მშვიდობიანობის წინააღმდეგ იყო მიმართული. სახელოვანმა სარდალმა არტაანად წოდებულ ხეობას მიაღწია; ეს ადგილი კი კარია საქართველოსი; აქ დაბანაკდნენ. მიღებულ იქნა ცნობა, რომ თოქმაქ ხანი⁴⁸ უამრავი ჯარით შეფარებია ერთ მთას და ისლამის ჯარის ქართველთა ქვეყანაში შესვლას ელოდება. [ამავე დროს] მას უკვე დაემთავრებინა ისლამის მალიარებელთა წინააღმდეგ თადარიგის დაჭერა. იმავე ბანაკიდან თოქმაქ ხანს შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნეს: დაანებე თავი ამ ბოროტ განზრახვას და თქვენს ქვეყანაში დაბრუნდი. თუ ზავისა და მშვიდობიანობის დასარღვევად ისლამის ჯარს გზას გადაუჭრით, ჩვენ დაგხვდებით ამ გზაზე და, მაღალი ალლანის შემწეობით, ნახავთ თქვენ სეირს. (II, 38).

ვანის ბეგლარბეგის ხუსრევ ფაშისაგან⁴⁹ მოწვევები რომ მოვიდნენ და თავები რომ მოიტანეს

ზემოაღნიშნული ხუსრევ ფაშის ქეთხუდ დასახელებული ბანაკის სამეფო კარავში მოვიდა და ხუთი-ექვსი ათასი ყიზილბაშთა ქოკზეწამოცმული თავი მოიტანა. ასეთი ამბავი მოახსენა და შეატყობინა: თავრიზის ხანს ოცი ათასი ყიზილბაშით ალყა შემოუერთყამს ერთ ციხეში კორჯი ბეგ და ღაზნი ბეგად წოდებული გულადებისთვის. ზემოაღნიშნულმა მწრმწრანმა⁵⁰ მაჭმულნი ჰასან ბეგად წოდებული ტომის მეთაური—მნრლიევ⁵⁰ გააგზავნა დასახმარებლად მხოლოდ ექვსასი კაცით. ღვთის განგებით, ეს ყალთაბანდი—ვიტომდა, თავრიზის ხანი, საყარაულში იპოვა, ეძვერა მას და, როცა თვითონ დამარცხდა, მთელი მისი ჯარიც გაიქცა. და კიდევ, ალღაჭყული ხანი რამდენიმე ათასი უპირო ყიზილბაშით ვანის ციხისათვის ალყისშემოსარტყემლად რომ მოდიოდა, ზემოაღნიშნულმა ჰასან ბეგმა მათ ღამის თავდასხმა მოუწყო, დააბნია და დაფანტა ისინი და კიდევ ყიზილბაშთა სამასი თავი გააგორა მინდორზე. ეს ბრძოლები ერთგვარი შესავალივით იყო დიდი დაპყრობებისა. სარდლის წარმატებაზე და მტრის განადგურებაზე ითათბირეს და იმკითხავეს. (II, 39).

დიდი ბრძოლა ჩილდირის^{50ა} ველზე

ჯემადნ-ულ-ახირის 5-ს, 986 წელს [= 1578, 9. VIII.], [ისლამის ლაშქარი] არტაანიდან დაიძრა და ველეს-ს (الو) ციხის⁵¹ მახლობლად დაბანაკდა. შესაძლებელი გახდა ამ [ციხის] ადვილად დაპყრობა. მეორე დღეს [ჯარი] იენი-ყალას უსწორმასწორო ადგილებში დაბანაკდა; [ეს ციხე] მდებარეობს ორ მთას შუა, მაღალი გორაკის მწვერვალზე. მაღალი ალღაჭის შემწვობით სასტიკი ბრძოლის შემდეგ [ციხე] აღებულ იქნა შუადღემდე. თურმე მოსულიყვინენ [ყიზილბაშთა] გზადაბნეული სარდლები: თოქმაქ-ხანი, იმამყული-ხანი და ყარა-ხანი ყიზილბაშთა ოცდაათი ათასი რჩეული ჯარისკაცით და დაბანაკებულან ისე, რომ ჩილდირის ციხესა და მთას აფარებინან. როდესაც ისლამის ორმოცი-ორმოცდაათი გმირი [მტრის] ჯარის განლაგებულობის დასაზვერად გავიდა, ისინი შეხედნენ ყიზილბაშთა რაზმებს და ჩაებნენ მამაცურ ბრძოლაში. როდესაც ეს გარემოება სარდალს მოხსენდა, მან გაგზავნა მათთან დიარბეჟირის ბეგლარბეგი დერვშ ფაშა⁵², რომელიც მეწინავე [ჯარის] მეთაური იყო. ეს [ფაშა] მამაცი, გმირი და მარდი ვაჟ-

კაცი იყო. ის არ იკითხავდა მტერს ცოტაა თუ ბევრი; ჯარს, რომელსაც ის გაღდენებოდა, გასაქანს არ მისცემდა; სწერთოდ, [ასეთ შეთხვევებში] ვერ ისვენებდა. ახლაც მასთან მყოფი სამასი-ოთხასი კაცით ისე დაეძგერა [მტერს], რომ ყიზილბაშის ორიოდ განაყოფი გაიგდო წინ და უკუაქცია. მაგრამ ყიზილბაში ძალღონეს იკრებს და რამდენიმე განაყოფით ერთბაშად ესხმის თავს. ოცდაათზე მეტი სახელოვანი ალა ბრძოლის ველზე დაეცა, თვით ის ცხენიდან ჩამოაგდეს და თავზე დაეცნენ: [შემდეგ] მისი კაცები კვლავ ეძგერებიან ყიზილბაშებს და ერთ ორას ყიზილბაშს მიწაზე დაანარცხებენ და მას [დერვიშ-ფაშას] ცხენზე შესვამენ. იმავე ადგილას საკუთარი ხელით სამ ყიზილბაშს მოჰკლავს. კვლავ გამოუდგება ყიზილბაშის ნაწილებს და ახლა-კი დაიჭრება და ცხენიდან ჩამოვარდება. [მაგრამ] რადგანაც კარგი ცხენოსანი იყო, კვლავ ცხენზე შეჯდება და მტკიცედ დაიკავეს თავის ადგილს.

ლექსი განსვენებული ლამი(ისა:)⁵³

„რა ქნას ერთმა კაცმა ამოდენა მჭრელ [ხმალ]თან,

[რა ქნას] განმარტაებულმა ლომმა სისხლისმღვრელთა [მთელი] ბრბოს წინაშე“.

სარდალი ოსმან-ფაშასაც⁵⁴ აგზავნის და მიაშველებს მას.

ოსმან-ფაშაც ამ ადგილას არაჩვეულებრივ სიმაშაცეს იჩენს. შემდეგ არზრუშის ბეგლარ-ბეგი ბაჰრამ-ფაშა⁵⁵ და აჰმედ-ფაშა მოითაბის-ძიკ⁵⁶ მიუსწრებენ. შუადღეზე აღრე იწყება და მზის ჩასვლამდე ისეთი ომი და ბრძოლა ხდება, რომ ცაში ანგელოზები ქება-დიდებას ასხამენ [მებრძოლთ]. ლვთის განგებისგანაა [ალბათ], რომ წვიმაც სრულებით თვალს ვერ აღებინებს [კაცს] და ზარბაზნისა და თოფისათვის საეცებით არ აკარებინებს ხელს. ომი წარმოებს მხოლოდ და მხოლოდ ხმლით. დასასრულ, მზის ჩასვლისას ყიზილბაშს წელი მოსწყდა; მაშინვე ხუთი-ექვსი ათასი თავი ლატანზე წამოაცვეს და მათი [ყიზილბაშის] უწმინდური ლეშები მოედანზე დაყარეს. ამოდენა ლაგამჩამოკიდებული ცხენი და ჯორი და [ამოდენა] აღვირიანი აქლემების ქარაენი, ამოდენა კარავი და სხვა ბარგი ისლამის გმირების ხვედრი გახდა. მისი ზღვარი და რაოდენობა მხოლოდ მაღალმა ალლანჰმა უწყის. მეორე დღეს, როდესაც გაიცა ფირმანი დაეთვალათ უძლიერესი სარდლის დინენი მოტანილი გაასახლიანებული წითელ-წითელი თავები, ხუთი ათასი თავი დათვალეს. ხუთასი კიდევ ცოცხლად დაჭერილი და დიკვე-ვებული სახელოვანი ყიზილბაში მოიყვანეს. და ვინაიდან ბოძანება გაიცა მათთვისაც მოკვეთათ თავი, [მოკვეთეს] და მათი უბედური თავებიც წინეთ მოტანილ თავებს შეუერთეს. (II, 39-41).

ხსენებული ბეგი ექვსი ათასი შეიარაღებული აზნაურით მოვიდა და მთის ფერდობიდან გამარჯვებულებს და დამარცხებულებს თვალყურს ადევნებდა. დღგა აქ და იმედი ჰქონდა, რომ გამარჯვებული მხარე მას შეიწყნარებდა. და როგორც-კი გაიგო, თუ რა ბედი ეწვია თოქმეჯ-ხანს, წამოვიდა [მანუჩარი] დილას და ღირსეული სარდლის კარავში შეაღწია. ამ დროს ყველა მირ-მირანი და მირლიევ თავიანთი ლაშქრით სარდლის ბანაკში მოვიდნენ. ჯარს თან მოჰქონდა [მტრის მოჭრილი] თავები და მოჰყავდა ჯაჭვით შებორკილი ყიზილბაშები; მათი [ყიზილბაშების] აღმები თავქვე გადაბრუნებული [იყო] და მათი დაფებისა და საყვირების ხმა დამარცხების მაჩვენებელი [იყო]. სარდლის დევნაში მოვიდნენ. ცოცხლად მოყვანილ ყიზილბაშს კვლავ მი- მომყვანი გმირი აჭრიდა თავს. და მოსულმა აზნაურებმა სულ რაღაც ერთწამს მიწაზე მტრის ამოდენა გაგორებული უბედური თავება დაინახეს; [და ეს გარემოება] მათთვის დიდი მაგალითის მიტყევი და ჩამაგონებელი შეიქნა.

(II, 41).

**ჩილდირის, თმოგვის, ხერთვისისა და ახალქალაქის
ციხეთა დაპყრობა**

მას შემდეგ, რაც უძლიერესი სარდლის მიერ შემოხსენებული ციხეების დასამორჩილებლად გაგზავნილ იქნა არტაანის სანჯაყის მირლიევად დანიშნული აბდუ-რ-რაჰმან-ბეგი, მცხოვრებლებმა მორჩილება გამოაცხადეს. ფაღიშაჰმა დაიკავა მხარე და თავისი მართებლები დანიშნა [986 წ. = 1578 წ.].

(II, 42).

თბილისის ციხის დაპყრობა

წელსა მასვე (ე. ი. 986), ჯუმანდრ-ულ-წხირ-ის 20-ს (= 1578. 24. VIII.). ხსენებულ დღეს ისლამის ლაშქარი აღნიშნული ციხის პირდაპირ გაჩერდა. მისი მფლობელი დავით-ხანი⁵⁸ საქართველოს მეფეებს შორის სახელოვანი მთავარი იყო. ის წინეთ შაჰის ქვეშევრდომი გამხდარიყო, გვირგვინი დაედგა და [ახლა], უწინდელივით, თავისი ქვეყნის მფლობელი გამხდარა. ვინაიდან მან იცოდა, რომ ისლამის ლაშქრის თავდასხმას ვეღარ გაუძლებდა, ციხიდან გაიქცა, დატოვა ქვეყანა და სახლ-კარი და მთელი თავისი ხალხით გაუვალ მთებს შეაფარა თავი და იქ გაჩერდა. შემოხსენებული ციხე

და მისი მიდამოები ცარიელი და განადგურებული დატოვეს. შემდეგ ღირსეულმა სარდალმა [ეს] პროვინცია კასტამონის სანჯაყზეგ სოლაქ ფერჰანდ-ფაშის ძეს მეჰმედ-ფაშას⁵⁹ უბოძა. ჩაწერეს საკმაო რაოდენობის ციხის მცველები, მთელი საქურველი სრულჰყვეს და (ეს ქვეყანა) დაიკავეს როგორც რიგი და წესია. (II, 42-43).

ლევან მეფის ძის ალექსანდრე მეფის⁶⁰ მორჩილება

იმავე (988=1578) წელს [ისლამის ლაშქარი] ტფილისიდან დაიძრა, გადავიდა მდინარე მტკვარზე და ყაფურწყლის (كافورچي) ნაპირაჲ მესამე სადგურზე დაბანაკდა. ამ დროს ზაგემ დაგრემად⁶¹ წოდებული ორი დიდი ქალაქისა და საქართველოს რამდენიმე პროვინციის სახელოვან ემირს, საქართველოს მეფეებში სახელგანთქმულ და რჩეულ, ზემოხსენებულ ალექსანდრე მეფესთან ამას წინეთ სარდლისაგან გაგზავნილი რწმუნებულები მივიდნენ და გულის მოსანადირებლად [თან მიიტანეს] წერილები. მოვიდა ამბავი, რომ [ალექსანდრე მეფემ] ამასთან დაკავშირებით თავისი ქვეყნის წარჩინებულები მოიხმო და სახელოვანი აზნაურებისაგან შეადგინა ამაღა და სამეფო ბანაკში წამოსასვლელად მოემზადაო. თანახმად საფადრისაჲ წესისა, მთელი ისლამის ჯარი თავისი ძლიერებითა და დიდებით შემოეგება მათ. ძლევაშისილი სარდლის ბანაკში რომ მოვიდნენ, თვით მას [ალექსანდრეს] რამდენიმე ხელი საპატიო ტანისამოსი ებოძა და მათი თანამდებობრივი მდგომარეობისდა მიხედვით მის ამაღაში მყოფ პირებსაც პატივი აღმოეჩინათ. შემდეგ მას [ალექსანდრეს] ებოძა უზენაესი სიგელი მასში, რომ ის იღებს თავის თავზე იხადოს წელიწადში ხარაჯა: ოცდაათი იუქი აბრეშუმი, 10 ლამაზი ჭაბუკი და 10 ბროლტანიანი ქალწული, 10 ფრთა ისპირის შვარდენი და ათი ფრთა კიდევ ჰიჯიზის (?) მიმინო და [აგრეთვე მასში], რომ ის იქნება თავისი ქვეყნის მმართველი ბეგლარ-ბეგის სახელწოდებით. (II, 43).

საქართველოს მეფეების ჩამომავლობის შესახებ მათივე რწმენათა მიხედვით

ქართველი მეფეები ჩემულობენ, რომ მათი გვარი ქექაუს'ამდე, (كیکاوس) და მის შემდეგ დავით წინასწარმეტყველამდე, — კურთხევა მალალი აღლჰისა იყოს ჩვენს წინასწარმეტყველსა და მისი [დავითის] უწმინდესობაზედაც, — აღწევს. და ისინი ამბობენ, რომ უწინ-

დელ დროში იყო ერთი სახელოვანი მეფე, სრულიად საქართველოს მპყრობელი და ამ ქვეყანაში სამართლიანობისა და ჭეშმარიტების მიმდევარი. როდესაც [მეფე] შემთხვევით მოკვდა, მას არ დარჩა ვაჟიშვილი, რომ მის ადგილზე დაეჯდარიყო. მას დარჩა მხოლოდ თამარ დედოფლად⁶² წოდებული ერთი ლამაზი ასული. და ამ სახელმწიფოში გამეფდა იგი მამამისის მსგავსად. და გაუვარდა სახელი, რომ მას გათხოვება არ ეწადა და ამბობდა, რომ მე მამაკაცი არ მხამსო. შემდეგ, მირანხორის სამსახურის შესრულებასთან დაკავშირებით, მას დაუახლოვდა ერთი ლამაზი, მოხდენილი ყმაწვილი. ღვინოს თუ დაღევდა მასთან ერთად დაღევდა, თუ სასეირნოდ წავიდოდა, მასთან წავიდოდა, და მას სრულებით არ შორდებოდა. მას სახელად თავადს (طاوأت) უწოდებდნენ. ერთხელ ზემოხსენებული ყმაწვილი სხივმოსილ პირიმზეს მარტო დაიგულვებს და ნახავს მას ღვინისგან მეტად ხმელსა და შემფოთებულად მწოლარეს. მაშინვე მოხერხებული შემთხვევა ბედნიერებად ჩათვალა. ტურთა ასულის სარცეცელში შევიდა და, თავისი სურვილის მიხედვით, პირადი წადილი დაიკმაყოფილა. თუმცა ამ დროს ლამაზმაც გამოიღვიძა, მაგრამ უკვე მომხდარი საქმის შემდეგ თავი მოიძინარა. მეორე დღეს ამ სიავისა და მუხანათობისათვის მოინდომებს მის მოკვლას, მაგრამ [ჯერ ერთი] ხმა გავიდოდა და [მეორე] ასეთი მცირე დანაშაულისათვის კაცის მოკვლა სამართლიანობა არ იქნებოდა. [ამიტომ უშუალოდ] არ ჰკლავს. ბოლოს მიზნად დაისახავს გაგზავნოს სადმე ისეთ ადგილას, სადაც ის დაიღუპება. ერთ დღეს ქორს გაუშვებს გაყინულ წყალზე და იხვს დააჭერინებს, თავადს ეტყვის; უსათუოდ წადი და ქორი და იხვი მომგვარეო, გაგზავნის. ყინული არ იყო ისეთი [სქელი], რომ კაცი დაემგარებინა. თავადის ცდამ ამოდ ჩაიარა და დაიხრჩო. ტურთა ასული-კი დაორსულდება და, სათანადო დროის გასვლის შემდეგ, მას დაებადება ქალიშვილი. იმ დროს ვან-ის (وان) სოფლებში بو كره شين-ად წოდებული სოფელი⁶³ ვეებერთელა ქალაქი ყოფილა და მეფის ჩამომავალი ბაგრატიონიდან (بكر دادوان) წოდებული უფლისწულის მამული ყოფილა. ამ ქალიშვილს ამ უფლისწულზე დაქორწინებს. მას დაებადება სამი ვაჟიშვილი. საქართველოს სახელმწიფოს ამ სამ ვაჟიშვილს დაუნაწილებს: უფროს შვილს ქუთაშის (كوتاش)⁶⁴ სამეფოს მისცემს. [ეს ქუთაში] ბაშიაჩუკის ქვეყანაა და ბაშიაჩუკის [მეფეთა] გვარეულობა იქიდან იწყება. შუათანა ვაჟს თბილისს მისცემს და სიმონის გვარი მანამდე აღწევს. ისინი ლუარსაბის⁶⁵ შვილებად არიან ცნობილნი. უმცროს შვილს

კახეთის პროვინციას მისცემს. [ეს პროვინცია] ლევან მეფის ქვეყანაა. მაგრამ, ვინაიდან უფროსი შვილის გვარი ბაშიაჩუკის მეფეებიდან იწყება, ყველა მის პატივისცემასა და დიდებაში ერთსულოვანი არიან. მაგალითად, მისგან დაწყებულას ერიდებიან, ხმალს მას შემოარტყმევიანებენ და გაჭირვების დროს რჩევა-დარიგებისათვის მას მიჰმართავენ. განსვენებული სულთანი სელემ პირველი⁶⁶, თავისი ბატონიშვილობის დროს, მათ სატახტო ქალაქ ქუთაშში ჩავიდა. მათ მორჩილება გამოუცხადეს და [სელემ] ბატონიშვილმა ხარაჯები აპატია, ახლაც მათ ხარაჯა არ მოეთხოვებათ. ვინაიდან სხვა ვითარებათა შესახებ მოთხრობა [ძლიერ] გაჭიანურდებოდა, ამოდენნათი ვკმაყოფილდები. (II, 44-45).

შექის ციხის⁶⁷ აღება

986 წელი [= 1578-1579 წწ.]. უფრო ადრე, როდესაც ალექსანდრე ხანი დაგვიმორჩილდა, მას [ალექსანდრეს] მიენდო შექის დაპყრობა. მასთან ერთად წარგზავნილ იქნენ ათასეულიდან ორასი სიუჰჰი და მეთაურთაგან მირზა⁶⁸ ალნი ბეგი და ლალოშ აჰმედ ბეგი⁶⁸, რომელთა სამშობლო მაგ ჯველ ქვეყანაში იყო და [თვითონ ესენი] მაგ ქვეყნის საქმეებში გაწაფულები და ნაცადი გულადები^{*} იყვნენ. მაგრამ მათ გზაზე მდებარე მდინარე კანუკი ძლიერ ადიდებული და მღვრიე იყო, რისთვისაც რამდენიმე დღე დაყოვნდნენ. შემდეგ შემთხვევა მიეცათ და გადავიდნენ და შექის ციხეს ალყა შემოარტყეს. მაღალი ალღაჰის შემწეობით ციხე დაიპყრეს და საფადიშაჰო ქვეყანას [შეუერთეს]. მამამისის მიერ გაწეული სამსახურის სანუქოდ ეს ეჰალეთი ებოდა და დაენიშნა ლევანის ძეს ერეკლე მირზას. მას შემდეგ რაც ყუდნი და ციხისთავი დაინიშნა და სხვა საჭირო მასალა მომზადდა, იგი (ეჰალეთი) საფადიშაჰოს სახელმწიფოს შეუერთეს. (II, 45-46).

მეორე ლაშქრობა ემირ ხანთან და სხვა გზადანბნულ ყიზილბაშებთან

986 წელი [= 1578-1579 წწ.]. ძლევამოსილმა სარდალმა აღრიცხა ჯარი და [გზადაგზა] ნადირობით შირვანისაკენ გაემგზავრა. იგი დაბანაკდა მდინარე კაფურსა და მდინარე კანიკს შუა⁶⁹ აქ რომ იდგნენ [შეიტყვეს, რომ] თოქმეჰ ხანი და მასთან ერთად

* ტექსტში წერია მაგ ქვეყნის „ლომები და მგლები იყვნენ“.

დამარცხებული გზადბნეულები თურმე იმ [დამარცხების] დროიდან ისლამის ჯარზე შურისძიების ფუჭი ოცნების შესრულებისათვის ემზადებოდნენ. დამარცხებისმომასწავებელი სარდლობა თხოვეს თავრიზის ხანს ემირ-ხანს, რომელსაც შაჰის ნებართვა ჰქონდა და რომელზედაც ესენი ფიქრობდნენ, რომ ის მამაცი და გულადია. შემდეგ ემირ-ხანი და მულანის მფლობელი მურად-ხანი და ნახიჩევანის მფლობელი შერეფ-ხანი⁷⁰ და ენსარ ხალეფა, ესე იგი, ყიზილბაშთა შვიდი, რვა მთავარსარდლის მეთაურობით ოცი ათასზე მეტი ჯარი ქოჯნ გეჩიდის* სახელით ცნობილ მდინარეს გადავიდნენ და ისლამის ჯარის საძოვარზე მოსიარულე აქლემებსა და სხვა საქონელში შეაღწიეს. როდესაც ამ ამბავმა ძლევა მოსილ სარდლამდე მიიღწია, დაუყოვნებლივ მათ საწინააღმდეგოდ გაიგზავნენ 'ოსმან ფაშა და ჰალაბის ბეგლარბეგი მეჰმედ ფაშა და ზუსულ-კადირლან⁷¹ ბეგლარბეგი მუსტაფა ფაშა⁷². დანახეს, რომ მთარამდენიმე რაზმი წინ წამოუყენებიათ და ბრძოლისათვის მომზადებულან. ემირ ხანის გარდა სხვა ყველა სხენებული ხანი ქოჯნ გეჩიდის მდინარეს გადმოსულან, მხოლოდ ემირ ხანი რამდენიმე რაზმით, ზურგის ჯარში ჩადგა და მდინარის ფონთან განლაგდა. როგორც კი ისლამის ჯარი მივიდა, ჯიქურად დაიწყო ბრძოლა. ისე დაესხნენ თავს, რომ თვალის გაღება არ აცალეს. ისინიც [ყიზილბაშები] მტკიცედ იყვნენ, გამძლეობაში და ისლამის ჯართან ბრძოლაში დაუდევრობა არ გამოუჩენიათ. მაგრამ, ბოლოს მაღალი ღმერთის შემწეობით ყიზილბაშებმა პირი იბრუნეს. მთელი ჯარი, რომელიც ფონს იყო გადმოსული, მოტყდა და დაიბნა. ჩვენმა ჯარმა კიდევ მძაფრად შეუტია. ამ დროს ორი ათასი ყიზილბაში დაეცა, დანარჩენი იმას ფიქრობდა, თუ როგორ ეშველა თავისათვის. გადასასვლელ ფონს მიცვიდნენ, მაგრამ სიმჭიდროვესა და ალიაქოთში ხსენებული ფონი ვერ იპოვეს. სასწრაფოდ დარბოდნენ [მდინარეზე] გადასასვლელად და, ბოლოს, ხმლის შიშით წყალში ჩაკვიდნენ. რადგანაც აქ ფონი არ იყო, უმეტესობა წყალში დაიხრჩო. მხოლოდ ემირ ხანი თავისი ჯარის იმ ნაწილით, რომელიც ფონს გადმოსული არ იყო, სამშვიდობოს გავიდა. ვინც ტანსაცმელი დაჟარა და ისე გავიდა მდინარეს, ისიც კი „ხომ გადავრჩიო“ ამბობდა და ღვთისადმი მაღლიერებას გამოთქვამდა. (II, 46-47).

* ქართულად ნიშნავს ცხვრის ფონს

შემახნის მფლობელის არას ხანისა და შექის მფლობელის აჰმედ ხანის საკვირველი დამარცხება

ესენი [არას ხანი და აჰმედ ხანი] შეიდი-რვა თავიანთი ტოლი საუბედურო ყიზილბაშთა [სარდლებით] თორმეტი ათასი რჯულის მტრებთან ერთად ემირ ხანის დასახმარებლად გაემართნენ. შემთხვევით ისეთ გადასახედ აღგილას მიაღწიეს, რომ ემირ ხანის ისლამის ჯართან ბრძოლა და [ყიზილბაშთა] დამარცხება [შორი] მანძილიდან დაინახეს. თურმე შირვანის სუნიტებს გაეგოთ ყიზილბაშთა დამარცხება და, როცა მათ უკან გამოევიდნენ, დაინახეს, რომ ესენი გაქცევაზე არიან. მამაცურად ჩაებმებიან ბრძოლაში. [ყიზილბაშები] რომ ერთ დიდ ხილზე ჭიდილით გადადიოდნენ, ხიდი მათი სიმძიმის გამო მთლიანად ჩაინგრა და ყველა ყიზილბაში წყალში ჩავარდა და დაიხრჩო. უკან დარჩენილები კი შირვანელმა სუნიტებმა გაწყვიტეს. ეს არის მოულოდნელი კეთილი საქმე, რომელიც ხდება ხოლმე. (II, 47).

არეშის ციხის⁷² აშენების შესახებ

ვიდრე ამ ქალაქში შევიდოდა, ისლამის ჯარმა სურსათ-სანოვანის უქონლობის გამო დიდი გაჭირვება განიცადა. იმდენად, რომ სახელოვან სარდალთან ჯგუფებად მიდიოდნენ და შეუფერებელი ენით ელაპარაკებოდნენ. კაცმა რომ თქვას: ქერი ექვე-ექვეს ოქროდ, ფქვილი თერთმეტ-თერთმეტ ოქროდ, მარილს, რომელიც ყოველგვარი საჭმლისათვის ყველაზე უფრო საჭირო რამ არის, ორ-ორ ოქროდ ვერ იშოვიდი. როცა ქალაქ არეშს მივიდნენ, ისეთი დოვლათიანობა და ბარაქიანობა იყო, რომ ყველამ თითო თვის, შეიძლება ორმოცი-ორმოცდაათი დღის სანოვანე იშოვა. აქ საჭირო შეიქნა ციხის აშენება. შაჰის ბაღს, რომელიც ქალაქგარეთ მდებარე უმშვენიერესი ბაღი იყო, გარშემო გამაგრებული ზღუდე ჰქონდა და ისეთი ფართო იყო, რომ ოცი-ოცდაათი ათასი ჯარისკაცი-სათვის საცხოვრებლად საკმარისი იყო. ამიტომ ერთსულოვნად მიზანშეწონილად მიიჩნიეს, რომ ეს ციხედ გადაეკეთებინათ. მთელი ეს ხეები დაჩეხეს, სამკარიანი, ფართო და ღრმა ორმოიანი რამდენიმე დიდი ბურჯ-კოშკი გააშენეს და დაუმატეს. ერთი კვირის განმავლობაში ვეებერთელა და გამაგრებული ციხე გამართეს. ბეგლარბეგობა უბოძეს უავგუსტოესი ჰარემის მინახორობიდან გამოსულ სარჟხანის სანჯაყის ყოფილ ვალის კაიტანს ბეგს⁷³. (II, 47-48).

ბან-ელ-ეზვების ანუ თემურ-კაფუს ციხის დაპყრობა

986 წელი [=1578-1579 წწ.]. როდესაც ამ ქვეყანაში მცხოვრებმა სუნიტებმა გაიგეს, რომ, ამრიგად ძლევამოსილმა სარდალმა შტრის ჯარზე ნადირობით სხვა დაპყრობილ ადგილებს შირვანის მხარეც დაუმატა, მათ [სუნიტებმა] დაიპირეს და დააპატიმრეს გზაბნეული ჩირაღ ხალიფად წოდებული [შირვანის] მფლობელი, რომელიც გზა-კვალდაკარგული შაჰის მიერ იყო დაყენებული. სამასამდე ყიზილბაშის ლეშს თავი მოჰკვეთეს, შემდეგ ორ ათასამდე ლურჯადა შავ-ქუდიანი სუნიტი მშვილდოსნები, მსროლელები და მამაცობაში გამოჩენილი გულადი ვეჟაკები საგანგებო მწყობრით უავგუსტოეს ბანაკში მოვიდნენ. წარჩინებულებს საპატიო ხალათები ჩააცვეს, დანარჩენებსაც მოსალოდნელზე მეტი პატივისცემით შეხედნენ. და მაგ ადგილას უსინათლო კვარის სიციცხლის ფითილი გადაიჭრა და სხვა ლეშებთან ერთად [აქაურობა] გახდა სამუდამო განსვენების ადგილი. (II, 48-49).

შირვანის ეპლეთში 'ოსმან ფაშა რომ დარჩა ვეზირის თანამდებობით

როდესაც შირვანის მხარე ოსმალთა სახელმწიფოს დანართი შეიქნა, საჭირო გახდა დაენიშნათ [ეპლეთის მცველად] ბამაცი ხმლის პატრონი და კეთილი ბუნების ვეზირი. რადგანაც ერთსულაოვნად გადაწყდა, რომ დიდი და მცირე [თანამდებობის] ჯარისკაცებისა და [საერთოდ] ყველასთვის რჩეული ოზთემურ ფაშის ძე 'ოსმან ფაშა იყო, იგი დაინიშნა ვეზირისა და სარდლის წოდებით შირვანის მმართველად, ხოლო მის ადგილსამყოფელად დადგინდა თემურკაფუს ციხე. და ზუსტად ათასი იანიჩარი, საკმარისი რაოდენობა მარცხენა ფლანგის ულუფაჯიგებისა და სხვა კაფუ ყულის ჯარისა, სამოცზე მეტი ქვემეხი და ზარბაზანი, ორასი ზანდუკი თოფვამალი და [ციხეში] დატოვებული ჯარის ექვსი თვის ჯამაგირი ზემოთ დასახელებულ ვეზირს ჩაბარდა. და კვლავ სამი ათასი ყული იქნა ჩაწერილი და გამოსაყვანი რაზმებით თნმარის პატრონთაგან ათი ათასი რაოდენობის მცველიც იქნა მიჩენილი. (II, 49).

შირვანის ვილჯეთის ფინანსებისა და აღწერის ამბავი

ამ ვილჯეთის დეფთერდარობა მიეცა ვინმე გუმუშზადე მუსტაფა ჩელების. ყიზილბაშთა მმართველობის დროის მიხედვით საფუძლიშაჰო დავთარში ჩაიწერა წლიური ფინანსიური შემოსავალი

ორას ორმოცდაშვიდნახევარი აუქი ახჩა. ამ ქვეყნის აღმწერად კი დაინიშნა ვინმე ზალ მეჭმედ ჩელები. შემანხნს ბეგლარბეგს დავთარში ჩაეწერა შვიდასი ათასი ახჩის შემოსავლიანი სახასო მამული და თოთხმეტ სანჯაყბეგს კი მათი დამსახურების შესაბამისი რაოდენობის სახასოები და თითოეულ სანჯაყს ზა'ნიშა და თნიშარის პატრონთათვის რჩეული სოფლები უზენაესი სახასოს სახით სახასო ადგილებად ჩაეწერათ დავთარში. და თემურ-კაფუს ვილნაფეთსაც ზემოთ მოხსენებულის შესაბამისად სახასოები ჩაეწერათ, ხოლო ბეგებს, ზა'ნიშებსა და თნიშარის პატრონებს კანონის მიხედვით— სოფლები და შვიდ სანჯაყბეგს სახასოები დაენიშნათ. დალესტინის მფლობელს ემირ შამხალს მისცა ერთი რჩეული სანჯაყი არფალიქის წესით, ხოლო მის ძმას თუჯალავ ბეგს ერთი რჩეული სანჯაყი მიეცა არფალიქის წესით. ოსმან ფაშამ თუჯალავ ბეგის ქალიშვილი შეირთო ცოლად მხოლოდ იმისათვის, რომ დალესტინის მმართველებთან მეგობრობა ჰქონოდა, მიეღწია ერთობისათვის და ეს ყოფილიყო საბაბი სრული სიმტკიცისათვის. დალესტანი ვრცელი სამფლობელოა; ბეგრი მისი მფლობელის სახელი არც უხსენებიათ ამ მხარეში. მათ შორის ყუმუხთა და ყაითაქთა და თაბასარანის მმართველები ოსმან ფაშას დამორჩილდნენ. განსვენებულმა ოსმან ფაშამ სტამბოლში თან ჩამოიყვანა ის ქალბატონი, რომელმაც ძლიერ გაითქვა სახელი თავისი კეთილმშვენიერებით. იმ დროის მომღერლებმა მასზე დალესტინის ლამაზმანის სახელით სიმღერა გამოთქვეს და მურაბბა'ები* შეთხზეს. ერთი ორი წლის განმავლობაში მომღერლებთან და სახალხო მოქმელებთან მისი სახელის ხსენება არ შეწყვეტილა. შემდეგ ის ფადიშაჰის ბრძანებით დააქორწინეს ჰასან ფაშაზე, რომელიც ბოსნიაში დაიხრჩო. ბოსნიაშიც კი წაიყვანა თან.

(II, 49-50).

აკა ამბავი კეთილშობილი სარდლის არეშიდან დაბრუნებისა

როცა არეში თვრამეტი დღე გაჩერდნენ, ჯეროვანად მოიმარაგეს საბრძოლო მასალა არეშის ციხისათვისა და გულადი ოსმან ფაშისათვის. შემდეგ ისლამის ჯარით დაბრუნდნენ. გაემართნენ იმ განზრახვით, რომ გაევლოთ ლევან ხანის ქვეყანა. მერვე დღეს სულთანჯიქად წოდებულ ადგილას დაბანაკდნენ. ამ ბანაკში კეთილშობილ სარდალთან შესახვედრად მოვიდა დალესტინის მბრძანებელი შამხალი. ისლამის ჯარი სრული ზემიითა და ბრწყინვალეობით შეეგება მას, წამოიყვანა და განუზომლად განა-

დიდა იგი და პატივისცა. საოცარია! ის ღამე ბერათის ღამე* იყო. ისლამის ჯარი ზეიმობდა, ზარბაზნებსა და თოფებს ისროდა, ჩირალდანს ანთებდა და ნაირნაირ სანახაობასა და გასართობებს აწყობდა. ისე რომ იქაური ხალხი გაოცებული და განცვიფრებული დარჩა.

წალწ ეფენდის მოთხრობა. განსვენებული წერს: კეთილ-შობილმა სარდალმა მე, მწირი, გამაგზავნა იმისათვის, რომ სიტყვიერად მომეთხრო მისთვის ის ამბები, რომელთა დასაიდუმლოება იყო საჭირო. მოხსენების დამთავრების შემდეგ საუბრის დროს შემდეგს მოჰყვა: პირდაპირ მთა რომ მოჩანს, იმის პირიქითა მხარეს ცხოვრობს ითთაბალაად (آيت تابل)⁷⁴ წოდებული ერთი საზიზლარი ხალხი, რომელთაც ავი რჯული და ცუდი ზნე-ჩვეულება აქვთ, ლეშის მჭამელები და მურტლები არიან. ერთ ქალს შვიდი-რვა ვიგინდარა შვირთავს; განდებიან ნაბიკვრები. როდესაც [ეს უქანონო შვილები] შეძლებენ [თავისუფალ] მოძრაობას, დაიჩოქებენ მუხლებზე; ამ უქანონოდ შობილს ხელში ერთ ვაშლს მისცემენ და თავისკენ მიიხმობენ. ვისაც [ბავშვი] ვაშლს მისცემს, ბავშვს იმ კაცის შვილად მიიჩნევენ. და ამასაც გადმოსცემს: ყაჯაქში ყოფილა ერთი ტომი. მათ მბრძანებელს უცმა⁷⁵ ეძახიან თურმე. ის ჩემულობს, რომ მისი უწმინდესობა წინასწარმეტყველის — მასზე იყოს ლოცვა მაღალი ალლაჰისა და მშვიდობა—მაღალირსეული ბიძის. მისი უწმინდესობა ჰამზას—მაღალი ალლაჰი კმაყოფილი იყოს მისგან—ჩამომავლობისა არის. თურმე მათი ტანის სიმაღლე ზომიერია და სხვა ადამიანთა შესაბამისი, მაგრამ ძალიან მსუქნებია, ზორბები, თავი აქვთ მსგავსი ისეთი დიდი ქვაბისა, რომელშიც შეიძლება მთლიანად ორი ცხვარი მოიხარშოს. ვთქვათ, ცხენი ან სხვა ცხოველი რაც უნდა ღონიერი იყოს, მათ ტარებას ვერ გაუძლებს თურმე. ერთი ადგილიდან საღმე სხვაგან თუ წავლენ, კამეჩის ურმით მიდიან თურმე. ის კი არა, ღირსეულ სარდალთან რომ ვერ მივიდნენ, პატიება ითხოვენ იმ მიზეზით, რომ იმ მთიდან ურმით გადმოსვლა შეუძლებელი იყო. (II, 50-51).

ისლამის ჯარი რომ არზრუმის საზამთრო ბანაკში ჩავიდა

ისლამის ჯარმა რომ თბილისის მიდამოებს მიაღწია, კსნიმ⁷⁶ზე ორი დღით აღრე იყო [=24. XI]. მაგრამ ზამთრისებური ამინდი დაიჭირა და ისეთი ცივი და ძლიერი, ქარი იყო, რომ რამდენიმე

* ბერათის ღამე—შა'ბანის თვის 15-ის ღამე, როცა მუჰამედს ეცნობა, რომ ის იქნება ალლაჰის მოციქული და წინასწარმეტყველი.

ათასი კარავი დაგლიჯა და დაანგრია. კანსიმის ღამეს [=26. X.] იმდენი თოვლი მოვიდა, რომ კარავების მეტი წილი თოვლის ქვეშ დარჩა. ამრიგად, ამ ბანაკში რამდენიმე ათასი კაცი დაიღუპა. საერთოდ ათასი გაჰქირვებითა და წვალებით პატიოსანი რამაზნის ოცდაერთს [=1578 წ. 21. XI.], როგორც იყო, არზრუმს ჩავიდნენ. ისლამის ჯარის ისკუდარიდან წამოსვლიდან, ბანაკიდან ბანაკამდე რომ იარეს და ახლა არზრუმს რომ ჩავიდნენ, ლაშქრობის ას ოცდაათობმეტი დღე შესრულდა. ამ ვადაში არ შედის ერთ ადგილას გაჩერების ხანი. ამ დროს ზოგი [ჯარისკაცი] ყაზარმაში დატოვეს, ზოგს [შინ] წასვლის ნება მისცეს და საჭიროების მიხედვით ყველას საქმე მოაგვარეს. (II, 51-52).

ისლამის ჯარის დაბრუნების შემდეგ შირვანში მომხდარი ამბები

ღირსეულმა ოსმან ფაშამ მისდამი რწმუნებული უამრავი ჯარით, ჯერ არეშის პირდაპირ გააშენა ძალიან მაგარი ხიდი, გადავიდა ამ ხიდზე და ყარაბაღისა და მუღანის ხალხი დაარბია და დიდი ზრალი მიაყენა. უსაზღვრო და შეუღარებელი ნადავლით თავის საბრძანებლოში ჩავიდა. (II, 52).

შირვანის ყოფილი ხანის არეშ ხანის მოკვლისა და მისი დამარცხების ამბავი

არეშ ხანმა, რომელიც უწინ შირვანის მბრძანებელი იყო, ოსმან ფაშისა და სხვა სუნიტების განადგურების მიზნით ოცდახუთ ათასზე მეტი ყიზილბაშთა ჯარი შეკრიბა და შირვანის მიწა-წყალზე გადმოვიდა. თავდაპირველად შემახის დაეცა. ბედნიერი რამაზნის მეცხრე დღეს, რომელიც კვირა იყო [=1578 წ. 9. XI, კვირა], ოსმან ფაშაც ისლამის ჯარით წინაღუდგა და ხოცვა-ჟლეტა დაიწყო. იმ დღეს მთელი დღე იბრძოლეს. მაგრამ საღამო რომ დადგა, შესვენების დაფი დაუკრეს და განშორდნენ. მეორე დღესაც იგივე განმეორდა. მესამე დღეს, რომელიც სამშაბათი იყო, კვლავ ისეთივე ბრძოლა და ხანგრძლივი ომი იყო. ორთავე ქვეყნის უფალი ღმერთის შემწეობითა და ქვეყნის წინამძღვრის [ფელიამბერის]—მასზედ იყოს მშვიდობა—სასწაულთა სიუხვით, დიდი ხნის განმავლობაში რომ ისლამის ჯარი თათარ ხანის [ჯარის] მოსვლას მოუთმენლად ელოდა, აი ახლა ამ ადგილას მოაღწია ამ ჯარმა. ისინი მოვიდნენ: თათარ ხანის სამი გულადი და მამაცი

ძმა, რომელთაგან ერთი იყო 'ადილ გირეი, მეორე—ლანზ გირეი და მესამე—სა'ადეთ გირეი და მისი [ათაარ ხანის] ღირსეული შვილი მუზარეკ გირეი ორმოცი-ორმოცდაათი ათასი მტერზე მონადირე თათრის ჯარით. ჯიქურად დაესხნენ ყიზილბაშებს. მაღალი ალღაპის მადლით, ისეთი ბრძოლა ატყდა, რომ ციური სამყაროს შორსმჭვრეტელ თვალს, შეიძლება, ანგელოსთა გუნდსაც ამის მსგავსი ცოტა უნახავთ. და, გარდა იმისა, რომ ყველა ამდენი ხანი და სულთანი დახოცილ იქნა, შვიდი ათას შვიდას სამოცდაოთხი ყიზილბაშის მოკვეთილი თავი აღრიცხეს. დადასტურდა, რომ ჭრილობისაგან დაღუპულნი და წყალში დამხრჩვალეები კიდევ ათი ათასზე მეტი იყო. გზაკვალდაბნეულთა სარდალი არემ ხანიც ტყვედ ჩავარდა და დიდებული ვეზირის თანდასწრებით ისიც. მოკლულ იქნა. ხოლო ნადავლი, რომელიც ისლამის ჯარმა ჩაიგდო ხელში, ყოველგვარი ანგარიშსა და ზღვარს სცილდებოდა, ამიტომ ამაზე აქ ლაპარაკს ვწყვეტ.

(II, 52-53).

აქ ამბავი არემის ბეგლარბეგის ყაითას ფაშის წამებით მოკვლისა

როდესაც ბოროტგანმზრახველი არემ ხანი 'ოსმან ფაშაზე გამოემართა, იმამყულნი ხან სულთანი და გილანელი ემირ ხანიც თხუთმეტი ათასი გზადაბნეული ყიზილბაშით არემის ციხეს მოადგნენ. ყაითას ფაშა ციხეში რომ უნდა გამაგრებულიყო, სიმტკიცე ვერ გამოიჩინა, ყიზილბაშების თავდასხმა აიცილა და თვითონ დაესხა მათ. მაგრამ ყოველთვის კარგი ამინდი არ დაგიდგება— „სრბიან ქარები ისე, როგორც ეს ხომალდებს არ სურთ*“. მისი ჯარი დამარცხდა და თვითონაც მაშინ დაიღუპა. ამის შემდეგ ყიზილბაშთა ლაშქარმა ქალაქ არემის მცირე ნაწილში შეაღწია და სუნიტთა ხოცვას შეუდგა. [არემის] ერთი-ორი უბანი იავარჰყვეს და ტყვეები და ნადავლი გაინაწილეს.

(II, 53).

არემ ხანის ქონებისა და დოვლათის და მისი ოჯახის დარბევისა და შემდეგ ყიზილბაშთა ჯართან ბრძოლების შესახებ

როდესაც არემ ხანი წუთისოფელს გამოესალმა, ერდოლდუ ხანი და რამდენიმე სულთანი მაგ ჭიდილში უქუიქცნენ. როდესაც [ჩვენმა] გულადმა სარდალმა გაიგო, რომ მათ [ერდოლდუმ და

* წინწყლებში ჩასმული გადმოცემულია არაბული წინადადებით, რომელიც დოც. ალ. ლეკია შვილმა თარგმნა.

სულთნებმა] მტკვრის პირდაპირ ჰალუდ [ჟღ] წოდებულ მხარეში, ონელად მისადგომ ადგილას თხრილები გათხარეს და ხმაღს გადარჩენილ ყიზილბაშებთან ერთად თავიანთი თავისა და ცოლშვილისათვის თავდაცვისა და თავშესაფარს აწყობენო, მათ საწინააღმდეგოდ ხანის ძმებთან ერთად გაგზავნა თათართა ჯარის ერთი ნაწილი. როგორც კი ეს ჯარი იქ მივიდა, მათ [ყიზილბაშებმა] პირი იბრუნეს დამარცხებისაკენ და წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. არეშ ხანის ხაზინა, მისი ლამაზმანები,—მოწიფული ქალიშვილები, ცოლი და ორმოცი-ორმოცდაათი ლამაზი მხევალი დაატყვევეს და გაძარცვეს. ტყვედ ჩაიგდეს აგრეთვე ერთი მისი ყრმა შვილი, ხოლო მანდ მყოფი ყიზილბაშების უმეტესობა დახოცეს. სხვა ნადავლის გარდა თათარ ჯარისკაცთა გუნდმა დამსახურებულად იგდო ხელში თორმეტი ათასი ალვირი აქლემი. ჰეშმარიტად, ეს დაპყრობა და ეს ნადავლი უთუოდ დიდად სჭარბობდა ადრინდელს.

(II, 53-54).

შემახაში ოსმან ფაშისათვის ალყის შემოარტყმა და ზემოაღნიშნული თათრის ჯარის ომი

ოცდაათ-ორმოც ათასმა ურჯულთა ჯარმა ერთი ჰაბუკი, ვითომ უფლისწულიაო და, თავიანთ მთავარსარდლად გახადეს, მოადგნენ შემახის ციხეს და, სამი დღის განმავლობაში ოსმან ფაშას ალყა შემოარტყეს. სახელოვანმა ფაშამ კი ეს ამბავი შეატყობინა თათართა ჯარს, რომ სასწრაფოდ წამოსულიყვნენ მოსაშველებლად. გაგზავნილი ჩაუშვი შემთხვევით ყიზილბაშთა ჯარს ჩაუვარდა ხელში. როდესაც [ყიზილბაშებმა] წერილის შინაარსი გაიცნეს, შირვანელებთან ომი გადასდევს და გაემგზავრნენ თათრის ჯართან შესახვედრად. შეხვდნენ მათ მაჰმუდ აბაღად წოდებულ ველზე. სამ-ოთხ დღეს გაგრძელდა დიდი ბრძოლა და ჭიდილი. მაგრამ თავსხმა წვიმამ არცერთ მხარეს თვალის გახელის საშუალებაც კი არ მისცა. ბოლოს ბრძოლაზე ხელი აიღეს; ყიზილბაში თავის მხარეში, ხოლო თათარი ბაბ-ელ-ეზვანისაკენ გაემართა. რადგანაც ოსმან ფაშამ მიზანშეწონილად მიიჩნია ცოტა ხანს დაღესტანში დარჩენა და შემდეგ საკიროებისამებრ ისლამის ჯარის თემურ-კაფუში ჩაკეტვა, შემახიდან იგი გადავიდა, შეხვდა ხანისწულებს, წამოვიდა მათთან ერთად და მოვიდა თემურ-კაფუში. აქ ჩამოვიდნენ აგრეთვე ნოღაელი თათრებიდან თხუთმეტ ათასამდე თათრის ჯარი და დაღესტანის მმართველის ემირ შამხალისგანაც იმდენივე მშვილდოსანთა რაზმები ჩავიდნენ. ამიტომ იყო, რომ

ისლამის ჯარმა სრულყოფილად მოიკრიბა ძალა და მოიპოვა დიდება და ძლევამოსილება. შემდეგ, გულადმა ოსმაან ფაშამ უმჯობესად მიიჩნია ეს ვითარება მოეხსენებინა ფადიშაჰის კარისათვის, ვიდრე [ეცნობებინა იგი] ქვეყნის დამპყრობი ვეზირისათვის. მან გაგზავნა ჩაფართა ცხენებით ულაყები ყივჩაყის ველით კაფას ნაპირებისაკენ და საქმის ვითარება აუწყა. და ეს მაშინ, როცა მას სარდლისაგან არ ჰქონდა საბაბი მისგან ასე უგულვებელყოფისა და მაშინ, როცა მათ შორის უსიამოვნების გამომწვევეი არავითარი მიზეზი არ იყო. ამის შემდეგ ვეზირს გვერდს აუვლიდა ხოლმე და ყოველგვარ ვითარებას, რომელიც აუცილებელი იყო მოეხსენებინა და ეცნობებინა ზემდგომათვის, უშუალოდ სტამბოლს აცნობებდა. ხოლმე. (II, 54-55).

ხანის ძმის 'ადილ გირეი ხანის ყიზილბაშთა ხელში ჩავარდნის ამბავი

შირვანზე თავდასასხმელად წამოსული ყიზილბაშები ყარაბაღისა და მულანისაკენ გამოემართნენ. აქედან თემურ-კაჯუსაკენ იყურებოდნენ. მათი [ყიზილბაშების] ამ ადგილას მოსვლისა და შეკრების შესახებ მოხსენდა მაღალღირსეულ უფალ ვეზირს. [სარდალმა] ხანის ძმა 'ადილ გირეი სულთანი თათართა მრავალრიცხოვანი ნაწილებით დაუყოვნებლივ გაგზავნა მათთან [საბრძოლველად]. მაგრამ განგებით თურმე წინასწარ განსაზღვრული ყოფილა აქ მოხსენებული სულთნის ['ადილ გირეის ტყვედ] ჩავარდნა და თათრის ჯარის დამარცხება. ისეთი ძლიერი და ხანგრძლივი წვიმები დაიჭირა, რომ [ჯარს] სამოქმედოდ ხელფეხი შეუბოროკა. მტრის სიმრავლემ მოიცვა ყოველი მხარე. დასასრულ, ბევრი ბრძოლისა და ჭიდილის შემდეგ ხანის შვილი [მტრებს] ჩაუვარდა ხელში; ეს წარმოშობით ჩინგიზის გვარეულობიდან არისო და მომეტებულად განადიდეს და პატივი მიუგეს. მაგრამ რა გამოვიდა, მტერმა გაიმარჯვა და თვითონ კი დამარცხდნენ; ალღაჰის ნება სწორედ ეს ყოფილა და ასეც მოხდა. (II, 55-56).

მეორე წლის უავგუსტოესი ლაშქრობის დაწვრილებითი ამბები, რომელიც ვეზირისა და სარდლის ზემოხსენებული მუსტაფა ფაშის დროს მოხდა

ცხრაას ოთხმოცდა შვიდ წელს, გაზაფხულზე, რომელიც ჯუმად-ნ-ულ-ევველის თვეს დაემთხვა [=1579 წლის ივნისი], გაიცა ბრძანება, რათა ჯარი კვლავ არზრუმის ვაკეზე შეკრებილიყო. ამ

ბედნიერ წელს ანატოლიის ბეგლარბეგი ჯა'ფარ ფაშასა⁷⁵ და შა-მის დიდებული ბეგლარბეგის დიდი ვეზირის ტავნლ მეჭმედ ფაშის თვალისჩინს ჰასან ფაშას თავიანთი ეჯალეთების ჯარით დაევაალათ უაფგუსტოესი ლაშქრობის ჩატარება. მოვიდნენ და აღნიშნულ ადგილას შეიკრიბნენ. აქიდან დაიძრნენ და ჯუმბღ-ულ-ახირის მეორე დღეს [=1579 წ. 27. VII.] ყარსის ველზე დაბანაკდნენ. ყარსის ციხის გაშენება ყველაზე უფრო საშურად იცნეს და საქმეს შეუდგნენ. მაღალი ალლაჰის შემწეობით აღნიშნული თვის უკანასკნელ დღეს [=1579 წ. 23. VIII.] დაასრულეს. (II, 56).

**თბილისის ციხისათვის ალყის შემორტყმა და
ალყაშემორტყმულთა გაჭირვება**

მას შემდეგ რაც ისლამის ლაშქარი არზრუმში ჩავიდა, თბილისის ბეგლარბეგისაგან მიღებულ იქნა რამდენიმე საგანგაშო წერილი, რომელშიაც ის თავიანთ დიდ გაჭირვებაზე წერდა. მაგრამ მრავალ ღონისძიებათა მიუხედავად სურსათის მიწვდენა მაინც შეუძლებელი გახდა. ვინაიდან ყიზილბაშებმაც იცოდნენ მათი ასეთი გაჭირვებული მდგომარეობა, იმამყურ ხანი წამოვიდა ათი ათასი ჯარით და სრული ოთხი თვე ციხეს ალყა შემოართყა. ციხეში ალყაშემორტყმულთა შორის ხორბლის ქილა ათას ახზად იყიდებოდა, ქერისა კი რვაასად და, ბოლოს, ისიც არ დარჩა. ერთი აქლემი ოციათას ახზად გაიყიდა. ბოლოს ძაღლისა და კატის ხორციც ჰამეს. ისე რომ ერთი ძაღლი ორ-ორ ათასადაც გაიყიდა. ამ გაჭირვება-უზედურებაში მყოფ ალყაშემორტყმულ მეციხოვნეებში მხოლოდ შვიდასი კაცი გადარჩა. საქმე ამ ზომამდე რომ მივიდა, [ყიზილბაშებმა] ათასი მცდელობითა და დაპირებებით დაჟინებით მოითხოვეს ციხე, მაგრამ არ მისცეს. შემდეგ ბედნიერმა სარდალმა მუსტაფა-ფაშის ხელით საკმარისი სურსათი გააგზავნა, ამის შემდეგ კიდევ რამდენიმეჯერ გააგზავნა სურსათი და მაგ საწყლებს სიცოცხლე შეუნარჩუნა. მართალია [გაგზავნილი] სურსათიდან ბევრი ქართველ ქაფირებს შეხვდა, მაგრამ მუსლიმებსაც ბევრი ერგოთ. კვლავაც დამზადებულ იქნა უამრავი სურსათ-სანოვაგე, რომელიც გაიგზავნა დიდი ვეზირის თვალისჩინისა და მისი მეტად საყვარელი ჰასან ფაშის ხელით, რომელიც მან მთავარსარდალად დანიშნა. მან გამოიჩინა არაჩვეულებრივი გმირობა და თექვსმეტი დღის განმავლობაში მიაღწია [დანიშნულ ადგილს]. აქ უცნაური ის არის, რომ ხსენებულ ფაშას ორი დღის წინეთ თავისი მამისაგან მოუუა წერილი, რომელშიაც [მამა] წერს: ვიცი რომ შენ

გებრძანება თბილისისათვის სურსათის მიწოდება. წინააღმდეგობა არ გასწიო, კარგად მოემზადე და ისე გაემგზავრე და ეს სამსახური ბედნიერების წინამძღვრად მიიჩნე-ო. [ამ წერილის შინაარსი] თვითონ მას გაეზიარებინა ზოგი თავისი ახლობლისათვის. (II, 57-58).

ისლამის ჯარმა რომ ერევნის მხარე დაარბია და იავარჰყო

ციხის აშენების დროს თოქმაქ ხანად წოდებული ყალთაბანდი თავისი ყაჩაღთა ბრბოებით ვერ ისვენებდა, რომ არ წვდნოდა ხან [ჩვენს] სურსათით მომმარაგებლებს, ხან კიდევ იქითკენ მიმავალ მეცხენე ბიჭებს. მაღალი ალღაჰის შეწვევით ციხის მშენებლობა დასრულდა. ისლამის შეიხებმა, რომლებიც გადამწყვეტლებია პატრიოსანი მრევლის [ცხოვრებაში] წამოჭრილი ძნელი საკითხებისა, გამოსცეს ფეთვები ყიზილბაშთა ქვეყნის დარბევა-აწიოკების დროს მათი ცოლშვილის დატყვევებისა და მონად გახდომის თაობაზე. გაცემულ ფეთვათა შინაარსი ასეთია: კითხვა — სომხური წარმომავლობის მავანი მოქალაქისადმი კუთვნილი მონის გამოყენება შარიათით ნებადართულია თუ არა? პასუხი — თუ დანაშაული აქვს, ნებადართულია... კითხვა — შარიათით ნებადართულია თუ არა დედებთან ერთად დარბევა იმ მცირეწლოვანი ბავშვებისა. რომლებიც შვილებია დატყვევებული ქალებისა და თავიანთი დედების სარწმუნოების გააზრიანება მათ არ შეუძლიათ? პასუხი — ნებადართულია. ასე, ამ ფეთვების შესაბამისად მაღალღირსეულმა სარდალმაც სწრაფი შეტევა მოაწყო, ე. ი., ღამის თავდასხმაზე გადავიდა, ძლიერი დასარტყმელად გონიერი ღონისძიებები მიიღო. ანატოლიის ბეგლარბეგ სარდალ ჯაფარ ფაშას⁷⁵ და კიდევ სამ ბეგლარბეგს ბრძანებები დაუგზავნა, ჯარები მიუვლინა და ერევნისაკენ გაამგზავრა. თოქმაქ ხანი ერევნის ქვეყანაში იყო ხელისუფლად. თქვეს, აბა ნახოს, როგორია მეცხენე ბიჭებისა და ჯარში გამოსაყენებელი ცხოველების დარბევა და დაზიანებაო და მიჰყვეს ხელი ქალაქ ერევნისა და მისი მიდამოების დარბევას მაგ ოქროთი ნაკეთები სასახლეები მიწასთან გაასწორეს. მოხატული თაღები და ჩარდანები დაწვეს და ოც ათასზე მეტი ბავშვი და ქალი დაატყვევეს. იქიდან ისლამის ჯარი გამდიდრებული და გახარებული დაბრუნდა და უავგუსტოეს ბანაკში ჩავიდა.

(II, 58-59).

უსინათლო შაჰის, ე. ი. ქორ ხუდაბენდეს უბედური ქალისა და უსირცხვილო მისი დისა და 'ადილ გირეი ხანის მოკვლის ამბავი

ზემოთ ითქვა, რომ ხანის ძმა 'ადილ გირეი სულთანი შემთხვევით ყიზილბაშებს ჩაუყარდა ხელში. შემდეგ აღნიშნულმა შაჰმა სულთანი სამეფო სასახლის ერთ მშვენიერ ბინაში დააყენა შინაური პატიმრობით. მისი მომსახურება დაავალა რამდენიმე ყიზილბაშს, რომელნიც შეთვალყურებიც იყვნენ. ის ძალიან გაბედული და მამაცი უფლისწული იყო. [ამასთანავე ერთად], რადგანაც [უფლისწული] თავისი ღირსეული ჩამომავლობით მასზე [შაჰზე] უფრო მაღლა იდგა, [შაჰი] განიზრახავს სიძელ გაიხადოს იგი. შემდეგ: აღნიშნული უფლისწული შეუყვარდება შაჰის დასა და ცოლს. შემდეგი საუბრები და მუსაიფები უკვე ქეიფობას იწვევენ, ხოლო ქეიფობის შედეგი კი პაემანია. შემდეგ შეთვალყურე მცველებმა ეჭვი აიღეს; რალა ეჭვია, შეიძლება მალე გამოაშკარავდეს კიდევაც. ესენი ამბობენ: თუ შაჰი ცოლის უპატიოსნებას ითმენს და თვითონ უნამუსოა, ჩვენ ხომ [ოჯახისადმი] გულმოდგინეობა გვაქვს. ერთხელ თითქმის მთელი ჯარის სახელით ყიზილბაშთა ეს საზიზღარი ბრბო შაჰის საიდუმლო ოთახში შეიჭრა. მისი ტურფა ცოლი თუმცა ქმრის მკლავებს შეაფარებს თავს, საწოლს შეიხიდება და თუმცა შაჰიც ძალიან ეცდება, რომ იხსნას იგი, მაგრამ უნაყოფოდ: შაჰს მკლავებიდან გამოგლეჯენ, წაიყვანენ და სიკვდილით დასჯიან. შემდეგ სასახლის ქალთა ნაწილში შევლენ და შაჰის უბედურ დასაც მოჰკლავენ. ხანის წულისადმი მიჩენილ მცველებსა და შუამავლებსაც მოჰკლავენ. შემდეგ როცა ესენი თავს დაესხმიან უფლისწულის ოთახს, [უფლისწული] დიდ ბრძოლას გასწევს; ისე რომ შეიდ მცველს მოჰკლავს, შემდეგ კი დაიჭრება და ცალღონე მილეული დაეცემა. მაშინ მას თოფით მოჰკლავენ და წამებულად დაეცემა. წყალობა მაღალი ალლაჰისა იყოს მასზედა.

(II, 59-60).

მაგრამ შაჰ აბბასმა ცბიერ მცველებზე რომ შური იძია

განსვენებული დიდი ვეზირის მურად ფაშის⁷⁶ დროს ყიზილბაშიდან ერთი ტყვე მოვიდა. ქართველი ბეგისწულთაგანი იყო. პატარაობის დროიდან შაჰის ხაზინაში შესულა და დაუმსახურებია პატივცემვა და კეთილგანწყობილება. ბევრი წლის განმავლობაში მთავარი ხაზინადარი ყოფილა. აწესუფ ალას ეძახდნენ. განსვენებულ მურად ფაშას რეკაში (۴۹)^{76a} მისთვის უბოძებია ერთი ზეწამეთი

და იქ დარჩენილიყო. ის მოგვითხრობს: შაჰი ღონისძიებებს ღებულობს, რათა თავისი დედისა და დის შური იძიოს. მცველებს შემოწმების საბაბით წაიყვანს. ისტაჰვანის სასახლეში ყოფილა ერთი გრძელი არამხანა. თვითონ დადგა კარის ერთ ფრთასთან და [მცველებს] თითო-თითოდ ამოწმებდა. ყველა მომსვლელ მცველს თითო-თითოდ ეკითხება: რამდენია მისი ჯამაგირი, რომელი ადგილიდანაა სამხედრო სამსახურში, რა აქვს [სამსახურში] შეძენილი. ასე თითო-თითოდ ეკითხება და [ამავე დროს] ის ათვალიერებს ქრილობას, ნაიარევს. ამის შემდეგ [მცველი] მიდის შიგნით და ერთ-ორ კარს რომ გაივლის, იმ ადგილას რამდენიმე უწყალო ჯალათი ჰყავს დაყენებული. ჯიქურად ცხენიდან ჩამოაგდებენ და თავს მოკვეთენ, ჭაში ჩააგდებენ და [ახლა] კიდევ სხვას დაელოდებიან; შაჰი კი მანამდე ერთს კიდევ დაკითხავს, ამის შემდეგ ესეც მაგ გზითვე წავა. ერთი სიტყვით, ამგვარად ათას შეიდას, თუ, ღმერთმა უკეთ იცის, ორიათას შეიდასი კაცი დახოცაო, ამბობს. ვერაინ ამას ვერ მიხვდა და ვერაინ ეს ვერ წარმოიდგინა. ბოლოს, მასთან იდგა მისი ერთი მახლობელთაგანი, წმინდანობას მიღწეული კაცი. მან უთხრა: ჩემო ბატონო, ჩემო შაჰო, საკმარისია უკვე, სინდისიც კარგია. ამ დროს ხალხმა უკვე გაიგო [თუ რა ხდებოდა] და აქეთ-იქით გაიქცა. და მაშინ შაჰმა თქვა: აი, ყალთაბანდებო, ფაღიშაჰის არამხანის შემლახველი ასე დაისჯება. ამდენი დახოცილი ხალხის ცხენები, უნაგირ-მოსართავეები და შესანიშნავი სამოსელი საშაჰო ქონებად გაატარებინა. ცოდვა მის პირველ მთქმელზე იყოს. (II, 60-61).

სახელოვანი ხანის—მეჰმედ გირეი ხანის თათრის ჯარით შირვანს ჩამოსვლა და მისი კვლავ დაბრუნება

987 წელი [=1579-1580 წ.]. დიდებულმა ხანმა თემურ-კაფუში გამგზავრების შესახებ ფაღიშაჰისაგან რამდენიმეჯერ მიიღო უავგუსტოესი წერილი. თათართა ჯარისათვის საბოძებლად უამრავი ქონება გაიღეს. ხანიც უნებლიეთ ჭინაჭველის ოღენა თათრის ჯარით აღნიშნული წლის ჯუმად-ალ-ნბირის პირველ რიცხვში [=1579 წ. 26. VII.] ბალჩესარაი²დ წოდებული თავის სამეფო და გულწარმტაცი ქალაქიდან დაიძრა და გაემგზავრა. ათი ათასი რაოდენობის თათართა ჯარის მთავარსარდლად მან დანიშნა აზაკის სანჯაყის ბეგი მეჰმედ ბეგი, რომელიც ჩერქეზების ტომისა, საქართველოსი და, შეიძლება, რუსისა და დაღესტნის ქვეყნების კარგი მცოდნე და სახელოვანი ემირი იყო. მან [ეს სარდალი]

ჯართან ერთად უფრო ადრე გააგზავნა. აღნიშნული [სარდალი]. სამოცდათოთხმეტ დღეში თემურ-კაფუს ჩავიდა. დიდებამოსილი 'ოქმან ფაშა ძლიერ გაახარა მისმა უფრო ადრე ჩამოსვლამ. შირვანის ეპაღეთის [თანამდებობას] კასპიის ზღვის ამირბარის თანამდებობაც დაუმატა და ზემოაღნიშნულს რვაჯერ ასიათას ახჩიანი სახასო ადგილები უბოძა. ამ დროს სახელოვანი ხანიც ჩამოვიდა და 'ოქმან ფაშას ესტუმრა. შემახის აღებისათვის სასიკვდილე ყიზილბაშთაგანი მკვმედ ხანად წოდებული ერთი უბედური მთელ თავის ძალ-ღონეს არ ზოგავდა. მასზე ჯარი გაგზავნა. უმეტესობა ხმლით ააკუწვინეს. შემდეგ ბაქოედ წოდებულ ქალაქში ბრბოებად მოსიარულე ნაძირალების ასალაგმავად ხანის შვილი გაგზავნეს. როგორც ჩვეულებრივ, ესენიც დასჯილ იქნენ. ამის შემდეგ სახელოვანი ხანი და დიდებამოსილი 'ოქმან ფაშა შემახაში ჩავიდნენ. მაგადგილას მდებარე ქერდე (آكر) მდინარეზე გადავიდნენ. ყიზილბაშთა ქვეყნიდან ყიზილაღჯად წოდებულ ადგილამდე, რაც რომ ყიზილბაშია, კეთილმოწყობილი და გაშენებული მხარეები იყო, ყველა ერთად დაარბიეს და გააჩანაგეს. დარბევისას თათარმა იმდენი ნადავლი ჩაიგდო ხელში, რომ აღრიცხვასა და ანგარიშს აღემატებდა. ეს სიხარულის მომგვრელი ამბავი ლაჩინ ალად წოდებული ნდობით აღჭურვილი პირის მეშვეობით მალაღლირსეულ სარდალს შეატყობინეს და იგი გადაიქცა მთელი ისლამის ჯარისათვის სიხარულისა და მხიარულების მიზეზად. მაგრამ ხანმა საკმარისად მიიჩნია ამდენი სამსახური და შირვანის მიწა-წყალზე დარჩენა და [აქ] გამოზამთრება არ მოისურვა. დაიწყო ბოდიშის მოხდა და პატიების თხოვა, დატოვა თავისი შვილი ღაზნი გირეი ხანი და დაბრუნდა. ამ გარემოებამ გამოიწვია ფაღლიშაჰის განრისხება და, ბოლოს, გათავდა მით, რომ ის მოაშორეს თავის სამფლობელოსა და თავსაც.

(II, 61-62).

მესამე ვეზირის სინან ფაშის⁷⁷ სარდალად დანიშვნისა და ლაღლ მუხტაფა ფაშის ოსმალეთში გამგზავრების ამბავი

განსვენებული სინან ფაშა თავის ბუნებაში თვითმოყვარე, ამაყი და ჯიუტი არნაუტთაგანი, ჭირვეული და ამპარტავენობითა და სიძულვილით აღსავსე მოღვაწე იყო. იგი იყო დიდი ქონების პატრონი და თავგადადებული შურისმაძიებელი ყველა იმაზე, ვინც მას წინ აღუდგებოდა. მაგალითად, როდესაც აზრი იყო გაჩენილი იმის შესახებ, რომ ლაღლ ფაშა, ან [მასთან ერთად], სხვა ვინმეც.

დანიშნოს [ჯარის] სარდლად, ან არადა, ვთქვათ, დიდი ვეზირის მეჭმედ ფაშის სწორი და სამართლიანი აზრით გადაწყვეტილია, რომ მარტო ლწლ ფაშა იყო სარდალი, იგი [სინან ფაშა] არასოდეს არ დაიხვეს უკან დაამციროს და შეურაცკყოს ლწლ ფაშის სანაქებო დამსახურება და გააბათილოს და უარჰყოს [ლწლ ფაშის შესახებ] მიღებული წერილები და წარდგინებები. ყოველი დადებითი აზრი, რომელიც ლწლ ფაშაზე შეიქმნებოდა აღნიშნული, [სინან ფაშა] მას უნათუოდ მკდარად მიიჩნევდა. მაგალითად, თოქმმაქ ხანთან ლაშქრობისას თვითონ [ლწლ ფაშა], ვითომდა, ქვის მოქანავე კარავში (?) იჯდა, ხოლო [თოქმმაქ ხანთან სალაშქროდ] ჯარი გაგზავნა და შეცდომა გააკეთა; თვითონ თავისი ნაწილებით რომ წასულიყო [თოქმმაქ ხანს] უთუოდ ტყვედ ჩაიგდებდა ან სიცოცხლეს მოუსპობდა. მე რომ ვყოფილიყავი, ასე ვიზამდი და ფაშის მანქანის ბანაკს ყიზილბაშთა [მოკვეთილი] თავებით ავავსებდი. დიდებული უფალი ღმერთისაგან მე იმედი მქონდა, რომ აქამდე მანქანის თავს ფაშის მანქანის ბანაკში გავაგზავნიდი. მას, სხვათა შორის, ერიდებოდა განსვენებული მეჭმედ ფაშისა⁷⁸ და ამდენს არ მეტიჩრობდა. მისი გარდაცვალების შემდეგ კი ყბედობა დაიწყო, დაიპყრო ენით ყიზილბაშები და მათი თავებით მორთო მშვიდობის (?) საზღვარი. არავინ არ იყო, რომ მისთვის წინააღმდეგობა გაეწია. დიდი ვეზირი აჭმედ ფაშა⁷⁹ თვითონ ძლიერ თვინიერი კაცი იყო და მასთან დავა არ დაუწყია და მისთვის წინააღმდეგობა სრულდებით არ გაუწყვია. ამასობაში მან [სინანმა] უამრავი ფული დახარჯა. ერთი სიტყვით, რაც გააკეთა, გააკეთა; სარდალი გახდა და ერთი სელამ ჩაუში ბრძანებებით არზრუმს გაგზავნა. ვანის ბეგლარბეგი ხოსრო მეჭმედ ფაშა მოადგილედ დანიშნა. ასეთი ვითარება რომ შეიქნა, ლწლ ფაშა დედაქალაქისაკენ გაემართა. თოქათის მიდამოებში რომ ჩავიდა, [აქ] მოვიდა კაფუჯიების ქეთხუდნ კურდ ალა და არზრუმის დეფთერდარი ლწლევანჩანდ მეჭმედ ჩელები და რეჟის-ულ-ქუთთაბის⁸⁰ თანამდებობაზე მყოფი თაჯზანდ მოიყვანა, დააბატონა და მთელ მათ ქონებას დაეუფლა და [ცხენზე] ჰყვებით სატახტო ქალაქს გაემგზავრა. როგორც კი ჩავიდნენ, ორივე იედიკულეში⁸⁰ ჩასვეს; ოღონდ მათ სამოსელსა და ძვირფასიან ნივთებს ხელი არ ახლეს და მათივე სახლებში გაგზავნეს. რამდენიმე დღის შემდეგ, როცა ლწლ ფაშაც სტამბოლს ჩამოვიდა, ორივე განთავისუფლებულ იქნა. არ გაუვლია დიდხანს, რომ ერთი მათგანი რეჟის-ულ-ქუთთაბი გახდა, ხოლო მეორე—დეფთერ ემინი. მაგრამ თაღლითი მინც პირშავად დარჩა, ლწლ ფაშამ კი კვლავ მეორე ვეზირის თანამდებობა მიიღო.

(II, 62-64).

გამგზავრება მადლცხებული სარდლისა ყიზილბაშთა ქვეყნებისაკენ

988 წელი [=1580-1581 წ.]. აღნიშნული წლის დასაწყისში [ჭიჯრის 988 წელი დაიწყო 1580 წლის 17. II.] ზემოხსენებული სარდალი, ძველი ჩვეულების მიხედვით, ისლამის ჯარით გადავიდა ისკუდარისაკენ და გზადაგზა სადგურიდან სადგურამდე შესვენებებით მიადწია არზრუმის ველს და აქ დაბანაკდა. აღნიშნული სარდლის ბაქიაბა, ფაფხური და ფახიფუხი ყიზილბაშმაც გაიგო. მათ [ყიზილბაშებმა] იფიქრეს, რომ ყოფილი სარდლის მიერ ქალაქების ამგვარ აოხრებას, ღაჰმან ფაშის მიერ შირვანის მიწაზე ადამიანებისადმი მიყენებულ შეჭირვებას ვერ ავიტანთ და, განსაკუთრებით, ახალი სარდლის ძლევამოსილი ჯარის სიმრავლეს ჩვენ თავს ვერ გავართმევთო. მოისურვეს მშვიდობის ჩამოგდება სულთან სულეიმან ხანის [დროს დაწესებული] საზღვრებით. გამოავზავენეს ელჩად მაქსუდ ხანად წოდებული ვინმე დარულა. ის ჩამოვიდა დიარბექირის [ვილაჰეთში] მდებარე ჩერმიქად წოდებულ ადგილას. მეორე დღეს, როცა განზრახული იყო ამ ბანაკიდან გადასვლა, ყველა ბეგლარ-ბეგს, სანჯაყბეგსა და ალაბეგს და იანიჩარებსა და სხვა მეომრებს ებრძანა ალღუმზე გამოსვლა. ისეთი ალღუმი მოაწყვეს და ისეთნაირი ზინათი და მორთულობა ჰქონდათ, რომ შორსმჭვრეტელმა მნათობის თვალმაც კი აღიარა თითქოს, რომ ამის მსგავსი რამ დღევანდლამდე მას არ უნახავს. განსაკუთრებით გაცებულნი იყვნენ ელჩად მოსული ყიზილბაშები, რომლებმაც ამ მოწყობილობასა და ზინათს და ჯარის სიმრავლეს ათასობით და ასიათასობით ქება-დიდება შეასხეს.

(II, 64).

ზემოხსენებული სარდლისათვის დიდი ვეზირის თანამდებობის შესრულების დავალება და [მისთვის] სახელმწიფო ბეჭდის ჩამოტანის შესახებ

გადასერეს მანძილები და ხსენებული წლის ჯუმანდ-ალ-ნაირის შუა რიცხვებში [=1580 წლის 28. VII-ს ემთხვეოდა 988 წლის ჯუმანდ-ულ-ნაირის 15] დუმანიჩის* უღელტეხილს მოადწიეს. აქ გაიცა ბრძანება ციხის შეკეთებისა და აღდგენის შესახებ. მაგრამ ციხის მშენებლობას ხელი შეუშალა დიდმა წვიმებმა და ამიტომ ამ განზრახვაზე ხელი აიღეს. აქ რამდენიმე დღეს გაჩერდნენ. ხოლო

* დმანიის (?)

შემდეგ დაბანაკდნენ ისეთ ადგილას, სადაც წყალი და ბალახი ბლომად იყო. პატიოსანი რეჯების მეთოთხმეტე დღე [= 1580 წლის 25. VIII.] რომ იყო, კარისკაცთა ქეთხუდნა ემისიჯი ჰასან ალა ჩამოვიდა, ვეზნრობის ბეჭედი ჩამოიტანა და ახარა [სარდალს], რომ ის გახდა დიდი ვეზნირი და ქვეყნიერების ფადიშაჰის სრულუფლებიანი რწმუნებული. შემდეგ ფადიშაჰის წყალობისა და შაჰინშაჰის ამ ნაბოძვართა გამო ზეიმითა და სიხარულით მთელმა იანიჩარებმა შედლულად სამგზის თოფები გაისროლეს. აგრეთვე სამჯერ გაისროლეს ყველა ქვემეხი და ზარბაზანი. მათი ბათქა-ბუთქი ერაცსა ან, შეიძლება, მარტო ხორასანს კი არა, მთელ ცისკიდურს სწვდებოდა. და მსოფლიოს მოედო ხელახალი აურზაური. და დიდი ბრწყინება-ლება.

(II, 64-65).

ღირსეული სარდლის თბილისისაკენ გამგზავრების ამბავი

როცა ბედნიერებამოსილი სერასქერი გაბედნიერდა უავგუსტოესი ბეჭდის მიღებით, წინანდელი ბანაკიდან ის დაიძრა, მანძილ-მანძილ იარა და თბილისის ახლო დაბანაკდა. თბილისის ბეგლარ-ბეგზე რამდენიმე მომჩივანი გაჩნდა. საქართველოს ბეგებში კი ყველაზე უფრო გამპკრიახი იყო გიორგი-ბეგე (گورگی), რომელსაც მორჩილება უწინდელი სარდლისათვის გამოეცხადებინა; ეხლა მოვიდა, ისლამი მიიღო, სახელოვანი სერასქერის სეხნია გახდა. თბილისის ვილაფეთი ებოძა მას [გიორგის] აჟსუფ-ფაშის სახელით. ზემოხსენებულ ბანაკებში ხშირად ყიზილბაშის ასქერები ზოგ [ჩვენს] მესურსათეებსა და მეაღფეებს უხვდებოდნენ, არ ემგებოდნენ და ისლამის ლაშქრის გარშემო დაძრწოდნენ. სწორედ ამ ხანებში გავარდა ხმა, რომ გზადაბნეული შაჰი თავისი სამოციანთასი ბოროტი ლაშქრით ეშაადება თავს დაეცეს [ჩვენს] ჯარს და ისლამის ლაშქრის ძლიერება შეანელოსო. ამ მიზეზის გამო დიდებამოსილი სარდალი ხშირად ცხენზედ შეჯდებოდა და სამეფო ჯარს გარშემო უვლიდა-ხოლმე. აბა, ყიზილბაში საიდან გამოყოფს თავსო, ამბობდნენ, და რამდენ შშიშარას უღონდებოდა გული. ზაგემის მფლობელი ლევან ხანის შვილი ალექსანდრე ხანი უწინდელ სარდალს ამ ადგილას შეხვედროდა. ესენი [ქართველები] კვლავ მოდიოდნენ და [ყველაფერს] აკვირდებოდნენ. ამასთანავე ერთად ხმა გამოვიდა, რომ წინანდელი სარდალი, რომელიც ძლიერ დინჯი მოხუცი იყო, ამბობდაო, რომ მე [მათ] მიყენდე, მაგრამ ესენი გადაბირებულნი არიან, ამპარტავანი ახალგაზრდებია და მათ ვერ დაეუ-

ჯერებო. და შაჰს ერთი ორი წერილი უნდა ჰქონოდა ალექსანდრე მეფისათვის გაგზავნილი. გაიძვერა რენაათაგანს წერილი რომ მიჰქონდა, რამდენიმე [ჩვენს] სასქერი შემოხვდა წინ და [წერილი] სამეფო ბანაკში წაიკითხეს. [წერილი] დაკავშირებული იყო ისლამის ლაშქრისათვის ოინების მოწყობასთან. [წერილი] ძლევამოსილ სარდალს წაუდღეს. თუმცა მან გარეგნულად ყურადღება არ მიაქცია და ლაშქარი ადგილიდან არ დასძრა, მაგრამ სიფრთხილისათვის იმ ადგილზე დგომა მიუღებლად მიიჩნია. მეორე დღეს ბაჰრამ ფაშა მეწინავე [ნაწილის] უფროსად დანიშნა და კარავთან ერთად ერთი მანძილით წინ გაგზავნა, ხოლო თვითონ სხვა მიმართულებით წავიდა. ამით მან სიფრთხილე გამოიჩინა და იმ მთავარ გზაზე [მტერს] თავისი კვალი დაუბნია. ბაჰრამ-ფაშასთან მიმავალბმა სარდლის ამბავი მხოლოდ მეორე დღეს ორ საღამოს⁷⁹ შუა გაიგეს, სრული სიჩქარით დაედევნენ მას და ათასი გაჭირვებით იპოვეს მისი კარავი. მაგრამ მაგ უკუნეთ ღამეში ბევრი იქნა გაძარცული; დიდი ზარალი განიცადეს. რამდენიმე გამოჩენილი ზანიმი და ჩავუში ტყვედ ჩაუვარდა საქართველოს ქაფიურებს და რამდენი კიდევ ამავე მიზეზით გამოესალმა წუთისოფელს. ხსენებული ბანაკიდანაც გადავიდნენ და მანუჩარის ქვეყნისაკენ გაემგზავრნენ. მათი მიზანი იყო რაც შეიძლება მალე დაბანაკებულიყვნენ ყარსის უდაბნოში და იქიდან ცდილიყვნენ ირანის სახელმწიფოს დასარბევად გაემგზავნათ ჯარი. შემდეგ დაბანაკდნენ ერთ ტყიან ადგილას. [აქ] ქართველ ბოროტგანმზრახველ ქურდთა თვალებს ძილი არ მიეკარა და [ამის გამო] არც ერთ კაცს ერთი საათითაც არ დაუსვენია. დასასრულ, ყარსის მიდამოებში დაბანაკებიდან ორი დღის შემდეგ, თანახმად მისი სტამბოლში დასახული [მიზნისა], მან გადაწყვიტა გამგზავრება თავრიზის დასაპყრობად და, ამის მიხედვით, ყველამ სანოვავე მოამზადა. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ჯაშუში მოვიდა და მოიტანა ამბავი: შაჰი არფა-ჩაირად წოდებულ ადგილამდე რომ მოსულა, გაუგია [ყველაფერი] ისლამის სარდლის გულადობაზე, მის მორსმჭვრეტელობასა და მოფიქრებულ მოქმედებებზე და ამიტომ უკან დაბრუნებულა. დიდებამოსილი სარდალი ამ ამბავმა უსაზღვროდ გაახარა. ჩვენგან რამდენიმე მანძილით [დაშორებული] მტრის გაქცევაც საკმარისად მიიჩნია და სხვა განზრახვაზე ხელი აიღო. (II, 66-68).

გამარჯვებამოსილი სარდლის მიერ ჯარის შემოწმების შესახებ

ისლამის ჯარი ყარსის ველზე რამდენიმე დღეს გაჩერდა და შეისვენა. გაიცა ბრძანება, რათა შემოწმებულყო მთელი ისლამის ჯარი: როგოც იანიჩრები, ისე ბოლუქის ხალხი, ისე ბეგლარბეგები, ზაწიმები და თემარის პატრონები სრულყოფილი აბჯროსნებით, რომელთაც, კანონის მიხედვით, ხელში ჰქონდათ ბოსნიური შუბები და დროშიანი ჭოკები. ყველამ თავისი საქმე შეასრულა(?). კანონის მიხედვით აბჯროსანთა [შემოწმება] დაამთავრეს და აღნიშნულ დღეს ველზე იმყოფებოდნენ. დათა-ზურნისა და ბუკის ხმამ მთელ სამყაროში კორიანტელი ააყენა, მიწას ზანზარი დააწყებინა. ღირსეული სარდალი კი ბედნიერების რაშზე დაჯდა და დეზები გაიკეთა, გაჰკრავდა ხოლმე თავის ბუღაურსა ბრაზიანი და მრისხანე სახით და ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ გაიხედავდა; ყველა [სამხედრო] ნაწილი დაათვალიერა; ბევრი ხეიბარი და დასახიჩრებული გაატარა თავის წინ. ამ ადგილას მტერთან ბრძოლა, ჭიდილი და რაიმე ომის მსგავსი რამ არ იყო. თუნდაც მტრად წარმოვიდგინოთ ჩვენს წინ მდებარე მალალი გორაკი, ე. ი. ვეებერთელა მთა, გავაქანოთ მასზე ცხენი და დავინახოთ ყველას სააღლუმო სვლა და იერიში. ეს თქვეს და იმ მალალ გორაკზე ყოველი მხრიდან ცხენები გააქანეს და თოფები და ხარბანები დაუშინეს. „აღლშჰ, აღლშჰ, იდიდოს მისმა სახელმა“ შეძახილებით მთა და ბარი შეძრეს. ქვეყანა კორიანტელმა მოიცვა. თვითონ კი იშიშვლა ხმალი, ხან აქეთ გაკრა, ხან იქით; ხან გაჩერდა, ხან ცხენი გააქენა და, ერთი სიტყვით, რამდენიმეჯერ საოცარი სახე მიიღო. თუმცა ზოგმა [ეს მისი საქციელი] მის ჭკუამხიარულობას მიაწერა, მაგრამ ზოგი ამბობდა, რომ ჩამოსული ელჩების წინაშე მან გამოაჩინა სრული სიმტკიცე და სიმამაცეო. ამრიგად, ამ უცნაური მისი საქციელის კარგი და ცუდი მხარე მზეზე უფრო ნათლად გაიგეს. (II, 68-69).

ბედნიერი სარდლის არზრუმის სწავამთრო ბინებში კეთილად გამგზავრების შესახებ

როდესაც ძლიერი სუსხის ნიშნები გაჩნდა, ძლევეამოსილი სარდალი მტერზე მონადირე ჯარით ყარსის ველზე გაჩერდა და დაბანაკდა. მაგრამ, რადგანაც სიცივემ იმატა და ისლამის ჯარი-სათვის ეს უკვე საგრძნობი იყო, ისლამის მალიარებელმა მხედრო-

ბამ მოისურვა საზამთრო ბინებში გამგზავრება. აღნიშნული წლის კურთხეული რამაზნის პირველში [=1580 წ. 10. X.] ზემოხსენებული ადგილიდან დაიძრნენ და არზრუმს ჩავიდნენ. საქიროების შესაბამისად ვილწაფეთების [უფროსთა თანამდებობებში] ცვლილებები შეიტანეს და ზოგს [ახალი] თანამდებობებიც უბოძეს. ისლამის ჯარიდან ზოგს შევებულება მისცეს, ზოგს კიდევ შესაფერისი საზამთრო ბინა მიუჩინეს. ამ კურთხეულ წელს ამდენი ტყუილ-უბრალო იქით-აქეთ სიარულით დაკმაყოფილდნენ. მაგრამ უფალი ღმერთი უსაზღვროდ სამართლიანია. ის განსვენებული მუსტაფა ფაშის სანაქებო დამსახურებას შეურაცხყოფდა და კილავდა; მას წინააღმდეგობას უწევდა და მის საქმეში ერეოდა. მაღალმა და დიდებულმა ღმერთმა მას არ აღირსა თავი გაერთმია რომელიმე საქმისათვის. ნახევარ ახჩად ღირებული რაიმე მოსაგონებელი დამსახურება მას არა აქვს. ამდენი ისლამის ჯარი ტყუილუბრალოდ მოქანცა და ამ მიზეზით როგორც ხაზინას, ისე ზღვისოდენა ჯარს ქონებრივად დიდი ზარალი და ვნება მიაცენა. ის თვითნებაა, ვინც თავს გავა და იტყვის მე ასე და ასე ვიზამო, ის დამარცხდება. ვინც იტყვის, რომ მე ერთი მწირი მონა ვარ, უმწეო ვარ, ხელიდან არაფერი გამომივა და თავმდაბლობის გზას დაადგება, დიდებული და მაღალი ღმერთი მის საქმეს გამოაკეთებს. ამას დადასტურებაც არ სჭირდება. არც არის ვინმე, რომ ეს არ იცოდეს და არ ესმოდეს.

(II, 69-70).

გზადაბნეული შაჰიდან რომ კვლავ ელჩი მოვიდა

მაღალმოწყალე დიდმა ვეზირმა არზრუმის საზამთრო ბანაკში სამართლიანობისათვის, საყვედურების თავიდან ასაცილებლად და ხალხის კეთილდღეობისათვის სპარსელებთან მშვიდობიანობისა და ზავის ჩამოსაგდებად ნაბიჯი გადადგა. აღნიშნული წლის ზი-ლ-ჰიჯ-ჯეს თვეში [= 1581 წლის 7. I-4. II.] გზადაბნეული შაჰისაგან არზრუმში ელჩად ჩამოვიდა ტკბილად მოსაუბრე და სახელოვანი ღრმა მოხუცი სახელად ნაზუთ ალა, რომელიც განსვენებული სულთან სულეიმან ხანის დროსაც ერთხელ ელჩად იყო მოსული. მან [ამეჰმად] წაძლის მიადწია—იგი მაღალღირსეული სარდლის მიერ პატივით იქნა მიღებული. მასთან მოლაპარაკების შედეგი და მის [მიერ მოტანილ] წერილში გამოთქმული ცნობა ის იყო, რომ ხალხში მშვიდობიანობის დასამყარებლად ძალაში იქნეს დატოვებული სულეიმან ხანის [დროის] ხელშეკრულებაში დათქმული ზავი

და მშვიდობა. ეს წერილი იუწყებოდა და რჩევას იძლეოდა, რომ მხარეები შეთანხმდნენ თავდაუსხმელობაში მაგ [არსებული] საზღვრების შესაბამისად. იგი [წერილი] იყო ადრინდელი ელჩის სიტყვების გამამტკიცებელი. (II, 70).

ქვეყნის მფარველი ფაფიშაჰის მიერ საზავო ვითარებების გაცნობისა და სინან ფაშის გადაყენების ამბავი

პურობა-დარბაზობის შემდეგ* [-1580-1581] ქვეყნის მფარველმა ფაფიშაჰმა რომ ინება ეკითხა სინან ფაშისათვის ზავის პირობები, მან მოახსენა, რომ ჩვენი ფაფიშაჰის მიერ უავგუსტოესად ნაგულეები პროვინციების მოცემამზე შაჰი თანახმაა და ემოჩილეება ფაფიშაჰის ნება-სურვილსო. თურქმენი იბრაჰიმ ხანი, რომელიც ნაბუთ აღას შემდეგ ელჩად ჩამოვიდა არზრუმში, აღნიშნულმა სინან ფაშამ თავის წამოსვლამდე უფრო ადრე და დაუყოვნებლივ სტამბოლში გაგზავნა. უკვე ერთ წელიწადზე მეტი დრო იყო, რომ იგი სტამბოლში გაჩერდა და უავგუსტოესი წინადაცვეთის დღესასწაულებში სეირსა და გარბობას ელოდებოდა. როცა მას უბრძანეს, რომ გვაცნობე შენი ელჩობის პირობებიო, მან თქვა: თქვენმა დიდმა ვეზირმა ჩვენს შაჰს მოსთხოვა საზავო საქმეებზე მოსალაპარაკებლად ნდობით აღტურვილი პირი. [შაჰმა] გამომაგზავნა მე, მწირი, და მითხრა—„ნახე, რისგან არის, რომ ფაფიშაჰი ზავს ითხოვს, [შემდეგ] მოდი და [საქმის] ვითარება მაცნობეო. ჩემი ელჩობა მხოლოდ ამაში მდგომარეობს. შემდეგ მოხდა ისე, რომ მე ერთ წელზე მეტია ლოდინში ვარ აქ და ბედნიერი ფაფიშაჰის აურაცხელ წყალობაში ჩავეფლე“. ამის შემდეგ ბედნიერმა ფაფიშაჰმა სინან ფაშას მოსთხოვა შაჰის წერილები და ყველა [ეს წერილი] გადაათვალიერა. მან გაარკვია, რომ [ამ წერილებში] სრულებით არ იყო ისეთი სიტყვები, რომლებიც რაიმე შედეგს მოგვცემდა. [ფაფიშაჰმა] გაიგო, რომ ელჩის გამოგზავნა სინან ფაშის დაჟინებითი მოთხოვნით იყო გამოწვეული. მან უყოყმანოდ გადაყენა სინან ფაშა. მდივანმწიგნობრის (რეჟის-ულ-ქუთთაზ) თანამდებობაზე მომუშავე [აწ] განსვენებულ მონლაჯიქს უთხრა: „შენ რომ იცოდი საქმის არსი, რატომ არ განუმარტე სარდალს, რომ ამ წერილებში არ იყო შედეგიანი რაიმე აზრიო. მას გემზე საკატორლო

* მხედველობაშია უფლისწულის წინადაცვეთის დღესასწაულობასთან დაკავშირებული პურობა-დარბაზობა, რომელიც 40 დღეს გრძელდებოდა.

სამუშაო მიუსაჯეს. სასახლეში განსაკუთრებული დანიშნულების (ე. წ. სელამ) ჩავუში და [აგრეთვე] რამდენიმე მრჩეველი და მოღვაწე კაცი იმავე გემზე საკატორლო სამუშაოზე გაამწესეს.

(II, 74-75):

**სიწვეუშ ფაშისათვის⁸⁰ დიდ-ვეზირობის თანამდებობის მიცემა
და დემთ-ი-ყივიჩაყიდან თემურ-კაფუში ჯარის გაგზავნა**

სინან ფაშის სიცრუე რომ გამომდევნა, მეორე ვეზირის [თანამდებობაზე მყოფ] სიწვეუშ ფაშას ვეზირობის ბეჭედი გადაეცა და [ამრიგად] იგი დიდი ვეზირი გახდა. ამ ხანებში დემთ-ი-ყივიჩაყზე გამოვლით ულაყით სტამბოლს ჩამოვიდა ოსმან ფაშისაგან [გამოგზავნილი] სანჯაყის ბეგი ბუდაქ ბეგი. ოსმან ფაშას ასე მოეხსენებინა, რომ ყიზილბაშიდან შირვანს ჩამოდის მუხანათი და ბოროტი ვინმე მეჭმედ ხანი. იგი ამბობს, რომ ჩვენმა შაჰმა დაზავებისა და მშვიდობიანობისათვის ფადიშაჰის სატახტო ქალაქს გაგზავნა თურქმენი იბრაჰიმ ხანი და ჩვენ შორის უკვე გადაწყვეტილია მშვიდობიანობის დამყარებაო. იგი კაცს უგზავნის მრლივ ზალ მეჭმედ ბეგს, რომელიც ძალიან მიაშიტი და ცბიერებისა და გაიძვერობისაგან შორს მდგომი კაცი იყო. ამიტომ ის გამოვიდა შესაგებებლად. წყეულებმა თქვეს, ეს დრო ძლიერ მოხერხებული დროაო, ხმლები დაატაკეს და საწყალი მეჭმედ ბეგი და კიდევ რამდენიმე მაძაცი მეომარი მიწაზე დაანარცხეს. ამ ამბავმა ბედნიერი ფადიშაჰი ძლიერ შეაწუხა. გამოიცა ბრძანება აღნიშნული იბრაჰიმ ხანის დაპატიმრების შესახებ. იბრაჰიმ ხანისა, რომელსაც უავგუსტოესი წინადაცვეთის დღეებში დიდი პატივი აღმოუჩინეს, გაეგზავნა პატიოსანი ბრძანება რუმელიის ბეგლარბეგს თავისი ეჟალეთის ჯარით გაემუროს თემურ-კაფუში. გაიცა ბრძანება დემთ-ი-ყივიჩაყის გავლით ჩავიდნენ თემურ-კაფუში—სამი ათასი იანიჩარი და სრულად საჭურველმტვირთველთა ასეული მათ ქეთხულანებთან ერთად და რუმელიის მარჯვენა და მარცხენა ალაბეგვი და ქოს-თენდილის, სილისთრისა და ნიკოპოლის სანჯაყები მათი ხელქვეითი ზანმებისა და თმშარის პატრონებთან ერთად. გაიგზავნა მანდვე აგრეთვე ოთხმოცდაექვსი ძუქი ხაზინა. შეიკრიბნენ ესენი კაფაში, სარღლად დაინიშნა კათას ბეგლარბეგი ჯაფარ ფაშა, რომელიც შორსმჭვრეტელი და ბრძოლებში გამობრძმედილი კაცი იყო. შემდეგ 990 წლის დიდებული შაჰანის შვიდში [= 1582 წლის 27. VIII.] კაფადან დაიძრნენ და ბაზ-ელ-ჰადიდში (დარუბანდში) გაემგზავრნენ. შერჩეულ ოქნა საჭურველმტვირთველთა ქეთხულან სინან ქეთ-

ხუდნ სრულიად საქურველმტვირთველია ნაწილებით და რუმელიის
ჯარიდან ექვსი ათასი რჩეული მეომარი; აღნიშნული ბუდაქ ბეგი
მხედართმთავრად დაინიშნა და წინ გაიგზავნა. (II, 75-76).

კაფადან [დაწეებული ვიდრე] თემურ-კაფუმდე დემთი-ყიგჩაყის
გადასარბენებისა და სადგურების შესახებ

კაფადან აიყარნენ და მეოთხე დღეს ქერჩის სრუტეში ჩავიდ-
ნენ. ეს ის ადგილია, სადაც აზოვიდან მომავალი და აქეთკენ მომ-
დინარე დონის წყალი შავ ზღვას ერთვის. ოცი მილი რაოდენობის
სიგანე აქვს; [ამ მდინარეზე] ძლივს გადავიდნენ ცხენით (?) ხუთი
დღის განმავლობაში. მეოთხე სადგურზე მიუახლოვდნენ ტამანის
ველზე მდებარე თემურქანდ წოდებულ ციხეს. იქიდან მეხუთე დღეს
მიადწიეს კუბანის სახელით ცნობილ დიდ მდინარეს. ჩერქეზებს
აქ ტივები გაეწყოთ. ამ მდინარეს ტივით გადავიდნენ. გადასასვ-
ლელი გამოსაღები ცხენის თავზე ხუთ-ხუთი ახმა და ურემზე თორ-
მეტ-თორმეტი ახმა გადაიხადეს. იქიდან მეოთხე სადგურზე ჩერ-
ქეზთა ვილჯეთში მდებარე გუმრუქანდ წოდებულ მხარეში ჩავიდ-
ნენ. აქაური ჩერქეზები ისეთი გაიძვერა ქურდები არიან, რომ
სახელურ და კალთა-მოუჭრელი ფარაჯა არ დაუტოვებიათ. თვალზე
სურმას ისვამდნენ, მაგრამ ფული, ოქრო რა იყო არ იცოდნენ.
ერთ მათგანს ერთ ადგილას უპოვია ორმოცი-ორმოცდაათი ოქრო
და ვილჯისთვის ორი არშინი ნარმის ფასად მიუცია. ასე გად-
მომცეს. იქ მტრედის კვერცხის სიმსხო სეტყვა მოვიდა. ისე რომ
ბევრის ცხენი დაფრთხა [სეტყვა] თავზე არ დამეცესო და მხედარი
ქვეითად დატოვა. იქიდან ჰეაჰათის ველად(?) წოდებულ ხეობაში
მივიდნენ. ეს არის უსასრულო ველი, რომელსაც არც ხევი აქვს
და არც გორაკი. მაგრამ აქაური ბალახი აბრეშუმს ჰგავს, ხოლო
ჯიხვები ჯოგებად დადიან. ყოველ ერთ-ორ ნაბიჯზე ყორე-ყორედ
აწყვია ჯიხვების რქა; ჯიხვები ყოველ წელიწადს იცვლიან თავიანთ
რქებს. აქ ჯიხვებს მოუნდებათ ხოლმე რქებით მაგრად ეხახუნონ
მიწას, რადგანაც მაგ ველზე მთა და ქვა არ არის. ადრე დაცვენილ
რქებს ხახუნ-ხახუნით ახალი რქები ემატება და ამის გამო დროთა
განმავლობაში მთელი გროვა ჩნდება და რჩება. ბოლოს, ეს უსას-
რულო ველიც ოც დღეში გადაჭრეს და მდინარის ნაპირით წავიდ-
ნენ. იქიდან ხუთ დღეში ბეშ დეფე-დ* წოდებულ ადგილას ჩავიდ-

* **بش** — ბეშ-დეფე ნიშნავს 'ხუთი გორა'; **ბეშ თაუ** — აგრეთვე = ხუთი
მთა. შეიძლება აქ ბეშთაუ = Пятигорск-ზე იყოს ლაპარაკი.

ნენ. აქ პატარა ტბებისა და დატბორილი ადგილების წყალს სვამდნენ. იქიდან კიდევ მეხუთე სადგურზე თერგად* წოდებული წყლისპირას დაბანაკდნენ. მაგრამ ამ წყლის მიდამოები ცის მწვერვალამდე ამართულან. აქ ტყიანი ადგილებია. თვითეული ამ ხეთაგანი თითქოს თანაზომიერად გაზრდილი ხურმისა და კვიპაროსის ხეს მოგაგონებს. იქიდან ყართაის სახელით ცნობილ ადგილას ჩავიდნენ. ჩერქეზთა ბეგები მოვიდნენ და თერგის წყალზე და ყართაის მდინარეზე რვა ადგილას ხიდი გააკეთეს. [ამ წყლებზე] სამ დღეს გადავიდნენ და შამხალის ვილჯეთში მივიდნენ. იქიდან გაემართნენ პირდაპირ თემურ-კაფუსაკენ (დარუბანდისაკენ) და, სხვათაშორის, სრულ ოთხმოც დღეს თემურ-კაფუსში (დარუბანდში) შეაღწიეს. ლსმან ფაშა მოვიდა შირვანს ლაშქრით, რომელსაც შეეგებნენ. დიდი დღესასწაული და გასართობები მოეწყო. რამდენიმე დღის შემდეგ საზამთრო ბინის თადარიგს შეუდგნენ; ზოგი ლერწმთან ადგილებში შევიდა და თავისი კარავი ლერწმით გადახურა. საქონლისათვის გაჩნდა ლერწმის ფარეხები. ზოგმა კიდევ ბუნაგები დათხარა; „ესეც გაივლის“-ო** ამზობდნენ და შიგ შედიოდნენ. ყველა შესაძლებლობის ფარგლებში შეუდგა თადარიგს. მაგრამ სურსათ-სანოვაგე მაინც მცირე იყო. ხორბალი და ქერი ორას-ორას [ახჩად] არ იშოვებოდა. ძალაუნებურად ყველა ცხოველი და ადამიანი იძულებული გახდა ბრინჯი ეჭამა. (II, 76-78)

ვაგზავნილი ისლამის ჯარის ჩასვლისას მომხდარი ამბების შესახებ

„რისალე-ი ბაბინჯე“-ს ავტორს „აზნუ“-ს შირვანის სამფლობელოსა და ბაბელ-ჰადინდის (=დარუბანდის) ვითარება დაწვრილებით აუწერია. ჩვენ მისგან მოკლედ გადმოვიღეთ ცნობები და დავწერეთ. მაღალი ალლჰის ნებით, იმ დროის შირვანის სამეფო ოსმალთა ხელში იყო. ლსმან ფაშა ვეზირის თანამდებობით და საკმაოდ მრავალი [ჯარით] მის [შირვანის] მცველად დარჩა. მომდევნო წელს (=1583 წ.) მანდ ჩავიდნენ ხანის ძმები და შვილი თათართა უსაზღვრო ლაშქრით*** და ბევრი ქვეყანა ააოხრეს.

* كبر — ბეგ-ია დაბეჭდილი, მაგრამ ეს კორექტურული შეცდომა უნდა იყოს كتر-თერგის ნაცვლად.

** წინწყლებში ჩასმული წინადადება ტექსტში სპარსულადაა მოცემული და ფრჩხილებშია მოთავსებული.

*** ლაპარაკია ყირიმელ თათართა ჯარის შესახებ.

შემდეგ კი თვითონ ხანი ასი ათასი თათრით მოვიდა და შირვანის სამფლობელოში, ყარაბაღსა და მულანში ერთი კორიანტელი ააყენა. ამჯერად კიდეც მოვიდნენ ამდენივე ათასი იანიჩარი, საქურველმტვირთველთა ნაწილები, რუმელიის და სივასის ჯარები თავიანთი ბეგლარბეგებით. შამხალი და დაღესტნის სხვა მელიქები და საქართველოს თავადები ერთმანეთს დაუკავშირდნენ. [ესენი ამბობდნენ] ეს ხალხი თანდათან მრავლდება; ვიდრე ესენი შირვანის ქვეყნების შემდეგ ჩვენს სამემკვიდრეო სამფლობელომდე მოვიდოდნენ, თუ ჩვენ ღრულად თადარიგი არ დავიჭირეთ, ეჭვი არ არის, რომ მათგან აობრება ჩვენც არ აგვცდება. შემდეგ ყველა შეთანხმდა და განჯის ხანს—იმამ-ყული ხანს წერილი მისწერეს და აცნობეს, რომ ესენი რამდენიმე ტომისაგან შედგებიან; ყოველ წელს თითო-თითო, ორ-ორი განაყოფი მოუვათ, ამეამდ მათთან ჩამოსული ერთი ბოლუქის ხალხი გრძელკალთებიან სუფიებს გვანან, მეორე ბოლუქის ხალხთა თავები კი ტლანქი დერვშის თავს მოგვაგონებს, შევკავშირდეთ სასწრაფოდ და ესენი მოვსპოთ, თუ არა ერთ-ორ წელიწადს კიდეც ასე თუ გაგრძელდა, ესენი ჩვენ ბოლოს მოგვიღებენ. შემდეგ იმამ-ყული ხანმა შაჰს მისწერა მათი შეთანხმებისა და შეკავშირების შესახებ. (II, 78-79).

ოქმან ფაშის დიდი ომი იმამ-ყული ხანთან

990 წელი [= 1582 წ.]. როდესაც შაჰმა გაიგო მათი ამგვარი შეთანხმება და კავშირი, მან უყოყმანოდ თვითონ აიღო მთავარსარდლობა და თავისი სახასო კორუჯიებიდან სამი ათასი კორუჯი გაგზავნა მასთან. ოთხი ხანი და ოცდაათი სულთანის ისე გაუშვა, რომ ჯარი მთლიანად ორმოცდაათ ათასზე ნაკლები არ გაუყოლებია. გაირკვა, რომ როცა მათ საქართველოსა და დაღესტნის ჯარები შეუერთდებოდა, ძალიან დიდი ლაშქარი შედგებოდა. ყველა ამათ შეკრებაზე დიდი შრომა გასწიეს; იმამ-ყული ხანის გარშემო შეიკრიბნენ. (II, 79).

სილისთრის* მმართველის იაქუბ ბეგის მოკვლისა და მისი ჯარის დამარცხების ამბავი

აღნიშნული ბეგი რუმელიის ჯარის მხედართმთავარი იყო. შაბურჩანად წოდებული ადგილის ახლო, ველზე, რომელსაც ნმჰა-

* ს ი ლ ი ს თ რ ა — ქალაქი ჩრდილო-აღმოსავლეთ ბულგარეთში, დუნაის მარჯვენა ნაპირზე.

ზნბადი* ჰქვია, [მისი ჯარი] ცხენებს აძოვებდა. უნდა გაჩერებულყო აქ ერთ-ორ დღეს და შემდეგ სარდალს უნდა დაწეოდა. ბოროტმა იმამ-ყული ხანმა, რომელიც თავის ჯართან ერთად შემახას ჩამოვიდა, ამათი ამბავი გაიგო. მან მაშინვე შეარჩია და გაგზავნა ექვსი ათასი შეიარაღებული, და საუკეთესო ყიზილბაში; ეს ჯარი გააყოლა რუსთემ ხანსა და დანიკი ბეგს, რომელნიც ცნობილი იყვნენ ორი გულადი ძმის სახელით. ამ დროს კი [იანკუბ ბეგი და მისიანები] გართული ყოფილან მამულების გაცვლით. სასწრაფოდ ცხენზე შესდნენ, თავიანთი ბარგი იქ დატოვეს და მტერს წინაღუდგნენ. მაღალი ალლაჰის მადლით, გამარჯვება რომ ამათ მხარეზე იყო, აღნიშნულ ბეგს ისეთი შემზარავი დარტყმა მოხვდა, რომ იგი წამებულებს შეუერთდა; ამ დროს ალაბ-ბეგიც დაეცა. [ისლამის] გმირებმა კვლავ გააცხოველეს ბრძოლა და ეს-ეს არის მტერზე უნდა გაემარჯვათ, რომ ორი დობრუჯელი ურჯულო და ურწმუნო მივიდა რუსთემ ხანთან და ახარა მას ბეგისა და ალაბ-ბეგის დაღუპვა. ყიზილბაშები დაბრუნდნენ და მუსლიმები წელში გატეხეს. ამ დროს შეიდი-რვა ასი კაციდან ზოგი იქვე დაეცა, ზოგი ტყვეობასა და სატანჯველში ჩავარდა. (II, 79-80).

ბრძოლა ოსმან ფაშასა და იმამ-ყული ხანს შორის და უკანასკნელის დამარცხება.

991 წლის 18 რებინ-ულ-ახირი [=1583 წლის 11. V.]. როცა სილისთრის ჯარიდან გადარჩენილები ოსმან ფაშასთან მოვიდნენ, ოსმანმა სხვა ისლამის ჯარიც შეკრიბა, დაამშვიდა და გაამხნევა იგი. ამ დროს საჭურველმტვირთველებმა და მისთანებმა თავი გამოიდვეს, რომ „უსათუოდ მიიღეთ ღონისძიებანი მტერზე შურის საძიებლად“-ო. რადგანაც ჯარს ამდენად მცირე ჯამაგირი ჰქონდა და, გარდა ამისა, სურსათ-სანოვაგეშიც გასაჭირს განიცდიდა, ოსმან ფაშა რამდენიმედ მობოდიშებისა და გამხნევების ხაზით ესაუბრა [ჯარს]. მაგრამ ყველამ ერთსულოვნად განაცხადა, რომ სამ-ოთხ თვეს შენგან არც სარგოს მოვითხოვთ და არც ერთი მარცვალი სანოვაგისათვისაც ლაპარაკს არ დავიწყებთ. რამდენადაც შეგვეძლება ფაღნიშაჰისათვის და შენი პირისწყალისათვის ყელაფერს ავიტანთ. თითო თავი გვაქვს და სარწმუნოების გულისათვის მასაც შევეწირავთო. [ყველაფერი ეს] ითქვა გულადი ოსმან ფაშის ბუნების

* შაბურანი და ნიჰანზადი (ნიხაბადი) შირვანში კასპიის ზღვის ნაპირას მდებარე ქალაქები იყო.

შესაბამისად. აღნიშნული თვის მეექვსე დღეს თემურ-კაფუდან (დარუბანდიდან) გამოვიდნენ და მთელ ჯართან ერთად ველზე გამარჯვების ბანაკები გამართეს. მეთვრამეტე დღეს ბაშ-დეფედ წოდებულ ადგილას დაბანაკდნენ. იმ დროს ყიზილბაშის რაზმები გამოჩნდნენ. სივასისა და რუმელიის ბეგლარბეგი ჩერქეზი ჰაადარ ფაშა⁶¹ თავისი ეპაღეთის ჯარით მარჯვენა ფალანგში დაინიშნა. კაფას ბეგლარბეგი ჯაფარ ფაშა რუმელიის ჯარით მარცხენა ფალანგში განწყდა. თვითონ ჯარის [განლაგების] შეცვლით უამრავი იანიჩრები წინ დააყენა და მათთან ერთად ოცდაათზე მეტი ზარბაზანიც დააწყო. მან შესანიშნავად ჩააზმა საჭურველმტვირთველთა ნაწილი თავის ყულუბთან ერთად აღმების ქვეშ. ამის შემდეგ ის საბედნიეროდ და სასიკეთოდ შეჯდა ცხენზე, რომელიც თავისი ბედითა და იღბლით ცნობილი იყო. ეს ცხენი ასაკით ოცდაათი წლისაზე მეტი იყო და ამდენ ომში არასოდეს მტრისათვის ზურგი არ უჩვენებია; როცა ის ამ ცხენზე იჯდა, ყოველთვის ლაშქრობაში გამარჯვებული და ძღვევამოსილი გამოდიოდა. [ეს ცხენი შეჯდომისას] თავის ადგილზე რომ გაჩერდებოდა, სულ ერთთავად ჭიხვინებდა და ფეხებს მიწაზე არტყამდა, მოუსვენრად იყო და მტერზე თავდასასხმელად ისწრაჟოდა. და ყოველ გალაშქრებისას ის ამ თვისებებს რომ გამოამჟღავნებდა, ამას მიიჩნევდნენ გამარჯვების სიმბოლოდ. ეს იყო იმ დროს მაღალი ალლაჰი საგან [ნაჩვენები] თავისებური ნიშანი. შემდეგ მტრის მხრიდანაც იმამ-ყული ხანი შაჰის კორუჯიკებთან ერთად ლოსმან ფაშის პირისპირ [დადგა]; ჰაადარ ფაშის პირისპირ ჰუსან ხანის ძე რუსთამ ხანი, ხოლო ჯაფარ ფაშის ჯარის საწინააღმდეგოდ გამოვიდა ბურჰანის ძე, რომელიც ჩვენი მხრიდან უკუქცეული და შირვანის მელიქთა ულუფაზე მყოფი ბედოვლათი მოლალატე ვინმე იყო. ამრიგად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს; მეწინავეებმა ორთავე მხრიდან შემოუარეს და, საერთოდ, საღამომდე განუწყვეტელი ომი და ბრძოლა იყო. ასე თუ ისე, ყიზილბაშთა რიგებში დამარცხების ნიშანი გამოჩნდა. მაგრამ ღამემ მოაღწია და [ამიტომ] აღარ გამოედევნენ; ღამით გამოედევნება მათ მიზანშეწონილად არ მიიჩნეეს. მაგრამ ორთავე მხარემ მაშხალეები აანთო და შუალამდე იბრძოლა. ისე რომ, ეს ბრძოლა შემდეგ იხსენიებოდა, როგორც მაშხალის ბრძოლა. ამის შემდეგ მხარეთა ჯარისკაცებმა მოილაპარაკეს, ორთავე მხრიდან ყარაულები გამოვიდნენ და ჯარი გაშემო დაიწყეს სიარული. მეორე დღე სამშაბათი იყო: მშვიდობიანობისადმი განწყვენენ და მხარეებმა ომი დროებით შეაჩერეს.

ოთხშაბათ დღეს, როცა დილის ეზანი იქნა წაკითხული, ყველამ ნამაზი შეასრულა და დაუყოვნებლივ ბრძოლისათვის მოემზადნენ. იმ მხრიდანაც ყიზილბაშის რაზმები უწინდელივით ცხენებზე შესხდნენ და პირისპირ მოვიდნენ. დაიწყეს ომი და ბრძოლა. როდესაც ჯარჯარ ფაშის რაზმიდან ცოტაოდენმა დამარცხებამ იჩინა თავი, რუმელიის გმირები ქოსთანდილის ბაირალით ერთბაშად და თვალის დახამხამებაში ისე ეცნენ და ეკვეთნენ მტერს, რომ ნებისთნე უნებლიეთ ყიზილბაშს პირი უკან მიაბრუნებინეს. ამის შემდეგ მუსლიმებმა ყოველი მხრიდან დროშები გააქანეს წინ და თვითვე ული გმირი გააფთრებულ ლომს დაემსგავსა; მათი თვალები სისხლმა მოიცვა. იმამ-ყული ხანმა დაუღრიალა [თავის ჯარიკაცებს]: ჰაი, თქვე მუხანათებო. რად გარბიხართ, არამი იყოს თქვენთვის შაჰის პურიო. [მიანც] არავინ არ გამობრუნდა უკან. ბოლოს, თვითონაც მარჯეთა ცხენს შეაჯდა, მოკურცხლა, გაუდგა გზას და გაუჩინარდა. სულ მოკლე ხანს ბრძოლის ველზე ყიზილბაშებიდან უკვე არავინ აღარ დარჩა. მხოლოდ მათი ლეშები ეყარნენ. მოკვეთილი თავები რომ დათვალეს, შვიდი ათას ხუთასი იყო. სარდლის ბრძანების თანახმად ამ თავებით კოშკი ააშენეს.

ლექსი: „მოედანი ისე დაეფარა ყიზილბაშთა ლეშს, რომ მელა, მგელი და ძაღლი თითოეულ ლეშს შეექცეოდნენ“.

ამ ლაშქრობაში მოსულ ყიზილბაშთა უმრავლესობა თავიანთი ოჯახებით მოსულიყო. მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ კაცი თავის ოჯახის წევრებთან ნამუსისათვის უფრო მტკიცედ იბრძოლებდა. მართლაც რომ ბრძოლაში სიმტკიცე არ დაკლებიათ, მაგრამ მაღალი ღმერთის შემწეობით გამარჯვების ქარმა მუსლიმთა მხარეზე დაიქროლა. დიდება ალლანჰს. (II, 80-82).

ქართველთა მელიქების დატყვევებისა და შემახის ციხის აშენების ამბავი

ურჯულთთა მთავარსარდალს იმამ-ყული ხანს საქართველოს მელიქებისათვის წერილები გაეგზავნა და ამ ლაშქრობაში მონაწილეობის მიღება შემოეკვეთა. ესენი [ქართველები] [ყიზილბაშთა?] დამარცხების ჟამს რომ მოდიოდნენ, კუბის მიდამოებში გზა-კვალი აბნევიათ და მთებს მოდებულან. ამ მიდამოების ხალხი მთლიანად მოჯანყე ხალხი იყო, მაგრამ [ჩვენთან] ხმლის შიშით ძალაუნებურად შეგობრობას იჩენდნენ. მაგ მიზეზით მოსული ქართველების უმრავლესობა გაეწყვიტათ და, რაც მათ ებადათ, წაერთმიათ,

ხოლო ორი მათი ბეგი და თხუთმეტამდე სახელოვანი „ძალი“ ხელ-ფეხშებორკილი მოიყვანეს. დახოცილ ქართველთა უამრავი [მოკვეთილი] თავები წამოაცვეს შუბებზე და ღირსეული სარდლის დივანში წამოიღეს. მაღალღირსეულმა სარდალმა მაშინვე გაუგზავნა ესენი ზაგემის მბრძანებლის ლევან ხანის შვილს. ბედნიერი ფედიშაჰის მოხარაჯეები რომ ხართ, ეს რას ნიშნავსო—უსაყვედურა. დაბოლოს, ომის შემდეგ შაბურნაბად⁸² წოდებული ქალაქის პირდაპირ დაბანაკდნენ და რამდენიმე დღეს დაისვენეს. იქედან სადგურიდან სადგურამდე იარეს და ქალაქ შემახაში ჩავიდნენ. 991 [წლის] ჯუმბა-ალ-ევეელის თხუთმეტს [=1583 წლის 6. VI.] დაიწყეს ციხის მშენებლობა და ორმოცდახუთ დღეში დაამთავრეს. ამის შემდეგ საქართველოსა და დაღესტნის ქვეყნებში შიშმა მოიკიდა ფეხი და ბეგები ყოველი მხრიდან ნაირ-ნაირი სასუქრებით ერთი-მეორეს ასწრებდნენ. მათგან ზოგ წარჩინებულს, როგორც ელჩს, კაფუ ქეთხუდას თანამდებობაზე ტოვებდნენ. ამის შემდეგ მოისურვეს დაეთვალაიერებინათ კეთილშობილი ვეზირის ნავთის საბადოები, რომელიც ბაქოვ წოდებული ციხის პირდაპირ მდებარეობდა. მანდ გაემგზავრნენ რამდენიმე ჯარით, იქიდან თემურ-კაფუში ჩავიდნენ და აქ ამ სიხარულში გაითენეს პატიოსანი დღესასწაული.

(II, 82-83).

როსმან ფაშის სტამბოლს გამგზავრებისა და ამ გზაზე მომხდარი ომის ამბავი

991 წლის შევევალის 4-ს [=1583 წლის 21. X.]. მას შემდეგ, რაც მამაცობით აღსავსე როსმან ფაშამ შირვანის მიწაზე ასეთი წესრიგი დაამყარა და ციხეებისა და ქვეშევრდომთა საქმე რომ ქალაპოტში ჩააყენა, მან მოისურვა ბედნიერების ზღურბლში [=სტამბოლში] გამგზავრება. თავის მოადგილედ ჯაფარ ფაშა დატოვა და მავ ქვეყნის ხალხი მის განკარგულებაში დარჩა. პატიოსანი დღესასწაულის მეოთხე დღეს ისინი აიყარნენ გასამგზავრებლად. გადაიარეს სადგურები და გადასარბნენ და, როდესაც კანლუ-სერინჯეს წყალზე დაბანაკდნენ, [გაირკვა, რომ] სტამბოლიდან შირვანის ჯარისათვის განკუთვნილი ხაზინა გამოეგზავნათ. ამის შესახებ გაეგო უბედურ რუსს და გზა გადაეჭრა. მამაცი როსმან ფაშა ისლამის ლაშქრით აღნიშნული მდინარის ნაპირას იყო დაბანაკებული. საღამო ჟამს, როდესაც [ჩვენი] გმირები აღლუპს ადიდებდნენ და იძახდნენ „აღლუპ, აღლუპ, იდილოს მისმა

სახელმა“ო, ავბედი რუსი აქ ახლო ყოფილა და ისლამის ჯარის ამბავი გაეგო. რუსები ტყიან შამბნარში შევიდნენ და იქიდან უთვალთვალებდნენ. დილით ადრე იმ ღრმა მდინარეზე გადავიდნენ; ოღონდ ერთმანეთთან ჭედვისა და ზედახოცვის გამო ჯარის მესამედი ჯერ არ გადასულიყო, რომ სროლა ატყეხეს; ბევრი დაჭრეს და ბევრი კიდევ წამებულთა გუნდს შეუერთეს. თურმე მათ ერთი რაზმი [ჯარისა] ამ შამბნარში დაეყენებინათ, აქ დაუმალავთ წართმეული სიმდიდრე და თვითონაც შეუფარებიათ თავი. შემდეგ [ისინი] ისლამის ჯარს გარსშემოერთყნენ და ორ დღეს მაგრად იბრძოლეს. [ბოლოს] წყეულ რუსებს დამარცხება აგემეს. შემდეგ აქაურობას მოშორდნენ და კიდევ ერთ ტყეს შეათარეს თავი. მანდაც იბრძოლეს შუადღის ახლო ხანებამდე. რადგანაც ამ რამდენიმე წყეულის მიზეზით უეჭველი იყო ბევრი მუსლიმის დაზარალება, ბრძოლას თავი დაანებეს და უმჯობესად მიიჩნიეს თავისი გზა გაეგრძელებინათ. იქიდან თერგად წოდებულ მდინარეს მიადგნენ და კვლავ დიდი ვაჭირვებით გადავიდნენ. იქიდან ბეშ-დეფუდ წოდებულ სადგურზე დაბანაკდნენ. ოღონდ ავბედმა რუსმა ეს ველები გადაწვა ისე, რომ ცხოველის საკვებად გამოსადეგი ერთი წვილი არ დატოვა. კიდევ ორი სადგურის მანძილზე სრულებით წყალი არ იშოვებოდა. ამიტომ დიდი გასაჭირი განიცადეს. შემდეგ დაბანაკდნენ კუბანად წოდებული დიდი მდინარის ნაპირას. იქ შეისვენეს. სამ დღეში ეს მდინარეც გადალახეს. ამ ადგილას შეიტყვეს, რომ ავბედმა რუსმა გზა გადაუჭრა შემახის ბეგლარბეგს (ზემოთ მოხსენებული ოსმან ფაშის ყოფილ ქეთხუდას), რომელიც სტამბოლიდან მოდიოდა ხაზინითა და მერივე იანიჩართ. ესენი დიდმა შიშმა მოიცვა. როცა დაინახეს ისლამის ჯარის გზაზე ამდგარი მტვერი და კორიანტელი. საკმაოდ შეშფოთდნენ; შემდეგ რომ პირისპირ შეხვდნენ, ყველამ დაივიწყა თავიანთი მოქანცულობა და გასაჭირი. იმ ადგილას ერთ მშვენიერ მდელოზე გაჩერდნენ. ამ გულწრფელი, მეგობრული შეხვედრის სიამოვნება ორ საათს გაგრძელდა. ჩამოტანილი ხაზინა ჩააბარეს ოსმან ფაშას; მან კიდევ დაანაწილა თითოეული ბოლუქისადმი განკუთვნილი სარგოები, ხოლო შემდეგ ეს ფული შირვანს მიმავალ ჯარისკაცებს დაურიგეს. მათ აქ გაიგეს, რომ ამ გზაზე ცხოველის საკვებად გამოსადეგი ბალახი არ მოიპოვება. სახელდიდებული ღმერთის ბრძანებით იმ დროს ისეთი ცივი ამინდი დადგა და სიცოცხლისათვის საშიში ისეთი ყინვა დაიჭირა და ქარი ამოვიდა, რომ რამდენიმე კაცი ძლიერ [სიცივეში] გაიყინა და საიქიოსკენ გზას გაუღდა. ყოველდღე შვიდას-

შვიდასი, რვაას-რვაასი ცხოველი იღუპებოდა. ამრიგად, თორმეტი დღე კუბანის წყლის ნაპირით იარეს, ბოლოს ფონის ადგილას რომ მივიდნენ, დაინახეს, რომ აღნიშნული მდინარე გაყინულიყო. ეს დიდი ტყიანი ადგილები იყო. ჯარმა დიდი ცეცხლი გააჩაღა; სიცივე დაძლეულ იქნა; აღნიშნული მდინარე ყინულით გადაიარეს. ბოლოს სარდლისათვის თემრუქის ციხიდან წაგები მოიტანეს; ისინი წაგებით გადავიდნენ. მეოთხე სადგურზე თემრუქის ციხეს მიაღწიეს. ზარბაზნები გაისროლეს, ზემსა და მხიარულებას მიეცნენ. აქიდან მეორე სადგურზე ტამანს ჩავიდნენ. მთელი ჯარი ყინულზე გადავიდა. დაბოლოს, ზოგიერთს, თავისი სიცოცხლის ვადა მიღწეულს ყინული ჩაუტყდა და დაიღუპა. შემდეგ ქერჩის სრუტეს მიაღწიეს, გადავიდნენ ყინულზე და [აქ] რამდენიმე დღე დაისვენეს. ამის შემდეგ მთავარ სადგურს—ქალაქ კაფას ჩავიდნენ. სამშობლოში წასვლის მსურველებს [ასეთი] ნება მიეცათ, ხოლო დამრჩომთათვის მოამზადეს საზამთრო ბინები.

(II, 83-86)--

ფერჰად ფაშის აღმოსავლეთის მხარეთა სარდლად დანიშვნის ამბავი

991 წელი [=1583 წ.]. რადგანაც გაირკვა, რომ ტყუილი იყო სინან ფაშის ნათქვამი იმის შესახებ, რომ მან ზავი ჩამოაგდო [ყიზილბაშებთან], სულთანატისათვის ჩვეული ნაშუსის შესაბამისად, საჭირო გახდა გაზაფხულზე სარდლის დანიშვნა და გაგზავნა. სიწვეუთ ფაშას ეწინოდა, რომ მისთვის არ ებრძანებინათ [სარდლობა] და, რადგანაც ესმოდათ, რომ ასეთი ბრძანების ღირსი ფერჰად ფაშა იყო, ეს უკანასკნელი გააპატიოსნეს ვეზირის თანამდებობით და სრულიად ისლამის ჯარის სარდალ-სპასალარად დანიშნეს. იმავე გაზაფხულს იგი აღმოსავლეთ [ანატოლიის] მიმართულებით გაემგზავრა.

(II, 86)-.

ერევნისა და მისდამი დაქვემდებარებული ციხეების აშენება

991 წელი [=1583 წ.]. გადასერეს სადგურები და გადასარბენები და ისლამის ჯარი ერევნის მიდამოში დაბანაკდა. უწინ, ლალა ფაშის დროს [ერევნის] შეესივნენ და მის მხარეთა უმრავლესობა აოხრებულ და იავარყოფილ იქნა. ერთი-ორი წლის განმავლობაში უწინდელზე უფრო კარგად გაეშენებინათ და არსად ნანგრევები არ დაეტოვებინათ. მის გარშემო მდებარე თითოეული სოფელი ქალაქებისა და დაბების მსგავსად სამას-სამას, ოთხას-

ოთხას კომლზე ნაკლები არ იყო. რადგანაც შპპ-ყული ხანი და შემდეგ კი მისი შვილი—თოქმეჯ ხანის სახელით ცნობილი მეჭმედ ხანი მოსახლეობასთან ურთიერთობაში სრულ სამართლიანობას იცავდნენ და კეთილი განწყობილება ჰქონდათ, ქვეყანა გაშენებულიყო. დროის უდიდეს ნაწილს ესენი ხარჯავდნენ სასიამოვნო და საამო სეირნობა-სიარულში. მხოლოდ, როდესაც გაიგეს ისლამის ჯარის მოსვლა, დაიბნენ და დაიფანტნენ. როდესაც სამართლიანი სარდალი აღნიშნულ ქალაქში შევიდა, ციხის აშენებას შეუდგა. თოქმეჯ ხანის სასახლეების გარშემო დიდი და მაგარი ზღუდე გააშენა; ორმოცდახუთ დღეში [მშენებლობა] დაამთავრეს. [ერევნის] ბეგლარბეგობა ვეზირის რანგით მისცეს ვანის ბეგლარბეგს ჯიღლა-ზადე აქსუფ ფაშას⁸², რომელიც განსვენებული სულთან სულემანის პატიოსან ჭარემში იყო აღზრდილი. იგი ცნობილია მამაცობითა და გმირობით. იყო ვანის ბეგლარბეგი. ამ ადგილას გამჩენი ღმერთის ამგვარი წყალობა ათასობით ვინმეებისათვის ჭკუისსასწავლი და სამაგალითო შეიქნა. ჯიღლა-ზადე განსვენებული სულთან სულემანის სასიამოვნო და დაახლოებული [პირი იყო]. ხოლო [სულთან სულემანის დროის] უფლისწულის, მისი აღმატებულების სულთან სელემის სასახლის სამზარეულოში საკულინარიო საქმეებში დიდი დამსახურება [სწორედ] ფერჰად ფაშას მიუძღოდა. მაგრამ სააქაო ქვეყანაში დოვლათი და დიდება რომ მოგივა, ასე მოგივა და რომ წაგივა, ასე წაგივა. (II, 86-87).

ერევნის ციხის აშენების შემდეგ მომხდარი ამბების შესახებ

აღნიშნულ ეპოქაში საჭირო და მნიშვნელოვან ციხეთაგანი— შურაგელის ციხე რომ სათანადო მეციხოვნეებითა და საჭურველით უზრუნველყვეს, ყარსის ციხისაკენ გაემგზავრნენ. იქიდან ყარა-არტანანს⁸³ ჩავიდნენ და ესენიც [ადგილობრივი მეციხოვნე ჯარი] სურსათ-სანოვაგითა და ხაზინით სავსებით დააკმაყოფილეს. დიარბეჭირის ბეგლარბეგსა და თბილისს სურსათ-სანოვაგე გაუგზავნეს. ისინიც მშვიდობითა და ნადავლით გამდიდრებულნი დაბრუნდნენ. იმიტომაც რომ ზამთარი ახლოვდებოდა, საზამთრო ადგილისაკენ, ესე იგი, სამოთხისადარ არზრუმისაკენ გაემგზავრნენ და გასაზამთრებლად საჭირო თადარიგი დაიჭირეს. ამ კურთხეულ წელს ისლამის ჯარი მშვიდობიანობისა და კეთილდღეობის ვითარებაში იყო. არც ერთხელ არ გაუწყენიანებია მტერს და არც სურსათ-სანოვაგის სიმცირე და სიმწარე განუცდია და იყვნენ სრულ სიამოვნებასა და განცხრომაში. (II, 87).

ადნიშნული სარდლის [სარდლობის] მეორე წლის ამბები და ადება და დაპყრობა ლორისა და გორისა.

993 წელი [=1585 წ.]. როდესაც გაზაფხულმა მოაღწია, ისლამის ჯარს ნაბრძანები ჰქონდა სამეთო ლაშქრობის [ჩატარება], ჯარის შეკრებას დიდი გულისყურით მოეკიდნენ. უაფგუსტოეს ბანაკში ჩავიდნენ. შემდეგ მალაღირსეულმა სარდალმა დაიპყრო და შეაკეთა ლორის ციხე, დანიშნა მისი ბეგლარბეგი და შეავსო ციხე დამატებითი სამხედრო საჭურველით. შემდეგ გორის ციხი—სათვისაც მოამარაგა სამხედრო მასალა, როგორც საჭირო იყო. იმ მხარეს, ე. ი. საქართველოს საზღვარზე რაც ციხეები იყო, საჭიროებისდა მიხედვით, ზოგ [ციხეს] ჯარი დაუმატა, ზოგში-კი შესაკეთებელი ადგილები შეაკეთა და არავითარი ნაკლი [ციხეებში] არ დაუტოვებია. (II, 87-88).

დიდი ვეზირის მეჭმედ-ფაშის⁸⁴ ძის ჰასან-ფაშის [საქართველოში] შესევა და ნადავლის ხელში ჩაგდება

იმავე წელი [993=1585 წ.]. როდესაც გორის ციხეში მივიდნენ, ზემოხსენებულ ჰასან-ფაშას⁸⁵ თავიანთი ლაშქრით შეუერთდნენ სივასისა და რუმის ბეგლარ-ბეგი დიდი ვეზირის სინან-ფაშის-ძე მეჭმედ-ფაშა და ყარამანის ბეგლარ-ბეგი მეორე მეჭმედ-ფაშა. უაფგუსტოეს ჯარში ღამით თავდასხმის მსურველ გმირებს [ამის] ნება მიეცათ და გაიგზავნენ. შეესივნენ საქართველოს გორიდან სამი-ოთხი მანძილის სიშორეზე. უამრავი და უსაზღვრო ნადავლი იშოვეს და ტყვეებიც წამოასხეს. ისე რომ ხუთი ათასი კომლი,—[მთელი] ტომის მოსახლეობა, გამოირეკეს და თან წამოიყვანეს. სხვა ძვირფას ნივთებს კი დასასრული არ უჩანდა. (II, 88).

ისლამის ლაშქრის თბილისში ჩასვლა და ალექსანდრე მეფისაგან ხარაჯის აღება

როცა ისლამის ლაშქარი ქონებითა და ნადავლით აღივსო და დაკმაყოფილდა, ზემოხსენებული მანძილიდან თბილისს მოვიდნენ და [აქ], როგორც საჭირო იყო, მომარაგდნენ სამხედრო საჭურველითა და ტყვია-წამლით. ლევან ხანის შვილის—ალექსანდრე ხანზე დადებული იყო [ხარაჯა]: ოცდაათი აქტი აბრეშუმი და რამდენიმე ყმაწვილი და უბადლო [სილამაზის] მხევალი; [აიღეს და] წაიტანეს. კიდევ რამდენიმე ისპირის მიმინო და რამდენიმე

კიდევ ბალაბანი წაიყვანეს. ეს ალექსანდრე მეფე, თავისი აზრით, შცოდნე და გაგებული კაცი იყო; ისე რომ თავის ბეჭედზე ამოტვიფრული ჰქონდა ჰაფიზ შირაზელის ლექსის შემდეგი ხანა:

„არც ხიდირის სიცოცხლე დარჩენილა და არც

ისქენდერის [ალექსანდრე მაკედონელის] სამფლობელო,

[ამიტომ] ნუ ემდური უმსგავსო ქვეყნიერებას, დერვიშო!“

ქაფირთა ენაზე ისქენდერს უმთავრესად ალექსანდრეს ეტყვიან. ამოდენა ეტყვებით იყო შეაყრობილი. (II, 88-89).

**ზემოაღნიშნული სარდალი [ფერჰად ფაშა] მომხიბლველ
თავრიზს რომ ჩავიდა**

[994 წ. = 1585-1586]... საქართველოსკენ ზედიზედ ჯარი გაგზავნა და ადრე დამორჩილებულთაგან ხარაჯა და ბაჟი ააღებინა. დასტური მიეცათ მართველობისა. მათ შორის მოვიდა ლევან ხანის ძის ალექსანდრე ხანის ხარაჯა და ძღვენი, აგრეთვე [მოვიდა] სიმონ ცბიერის გადასახადი. და ბაჟი. მათი მორჩილება და დაქვემდებარება დადგინდა. (II, 108-109).

**თემურ-კაფუს, შირვანის, თბილისისა და ერევნის ციხეთა
საბრძოლო მასალა**

როდესაც ისლამის ჯარი მომხიბლველ ქალაქ თავრიზში დაბინავდა და ისვენებდა, ლევამოსილმა სარდალმა აკრძალა ძილი და მშვიდობა; ყველა მხარეს ჯარი გაგზავნა და საჭირო ღონისძიებათა რიგიანად ჩატარებაზე ზრუნვისაგან მოსვენება არ ჰქონდა. ყიზილბაშებისაგან ახლადდაპყრობილი თემურ-კაფუს, შირვანის, თბილისისა და ერევნის ციხეთა საბრძოლო მასალით ჯეროვნად მომარაგების დასრულებაზე დიდი მუშაობა გასწია. ზოგ [ციხეში] ხელახლა დანიშნა ისეთი ბეგლარბეგი, რომელიც საქმეს [უკეთესად] გაართმევდა თავს, ზოგ ციხეს კიდევ საბრძოლო მასალის ნაკლოვანებანი შეუქსო. თითოეული ამ ციხის თადარიგი რომ დაიჭირა, ზამთრის მოახლოების გამო საზამთრო ბინების, ე. ი. სიხარულის-მომნიჭებელ არზრუმის მიმართულებით გზას გაუდგა. (II, 109).

**მეორე წელს განჯის აღებისა და ყიზილბაშთან ზავის
დადების ამბავი**

995 წელი [= 1586-1587 წწ.]. როდესაც გაზაფხული დაბრძოლის დრო დადგა, ისლამის ჯარმა ყოველის მხრიდან იწყოდენა და უავგუსტოეს ბანაკში შეიკრიბა. მალაღირსეული სარდა-

ლი [ამჯერად] გაემგზავრა განჯისა და ბარდავის დასაპყრობად და, მაღალი ალღაშის შემწეობით, ჩავიდა თუ არა, შეძლო [ამ ციხეების] დაპყრობა. დაიმორჩილა აგრეთვე მათ გარშემო მდებარე სოფლები და დაბები. [ამ ადგილების] ბეგლარბეგობა დამსახურებულად ჩაეთვალა და ებოძა ანატოლიის ეპარქიის მფლობელს ხანდი ჰასან ფაშას⁸⁶, რომელიც მეჭმედ ხანის დროს დიდი ვეზირი გახდა, თავის ტოლთა შორის შურს იწვევდა და [ბოლოს] მოკლულ იქნა. ბოლუქისათვის საჭირო რაოდენობის ყულუნს ჯარი ჩაუწერა და დანიშნა დეფთერდარი, რომელსაც ევალებოდა, ამათი [ყულუნს ჯარის] სარგოს გამოწერის გარდა, ყოველწლიურად ასორმოცდაათი აუქი აბრეშუმის გაგზავნა. სხვა სამეურნეო საჭიროებათა და საბრძოლო მასალათა მომარაგების შემდეგ მოსალაპარაკებლად შაჰისგან ჩამოვიდნენ ნდობით მოსილი ელჩები. რადგანაც [შაჰი] თავისი ძმისწულის ჰადარ მირზას თავდებად გამოგზავნის საფუძველზე ზავს ითხოვდა, აღნიშნული სარდალი დაბრუნდა გასაზამთრებელი ადგილისაკენ და საქმის ვითარება მოახსენა უზენაეს მართებლობას. ვინაიდან ფადიშაჰმაც კეთილინება გამოიჩინა სურვილი კანონიერი ზავის ჩამოგდებისა, მან [სარდალმა] ფადიშაჰის ნების შესაბამისად ზავი და მშვიდობა ჩამოაგდო. სამსახურებრივი მოვალეობის დასრულების შემდეგ საცხოვრებლად და დასასვენებლად იგი მშვენიერებამოსილ არზრუმში გაჩერდა.

(II, 109-110).

გარძვერა ყიზილბაშმა დრო იშოვა მშვიდობიანობის საზიანოდ და მშვენიერ თავრიზზე რომ გაიმარჯვა 1012 წელს

[— 1608-1604 წწ.]

არზრუმის ეპარქიით გავეზირებული საათჯი ჰასან ფაშა⁸⁶ შავ მხარეში დანიშნეს სარდალად ზოგიერთ ყაჩაღთა [ბრძოს] გასანადგურებლად. აღნიშნული წლის დასაწყისში ზემოხსენებული [ჰასან ფაშისა] და ერევნის ბეგლარბეგის შერნფ ფაშისაგან მოხსენებები და საჩივრის წერილები შემოვიდა. [იწერებოდნენ] რომ ყიზილბაშმა დრო იხელთა და თავრიზზე გაიმარჯვა. დაწვრილებით ეს ამბავი ასეა: ზარხოშ⁸⁷ ფაშა⁸⁷ თავრიზის ბეგლარბეგი იყო. კარნიარუქის ციხე და მისი ოლქის სახასო ქონება თავრიზის ფალანგის [ჯარის] ოჯაქლიქად ითვლებოდა. ამიტომ ხსენებული ციხის ოჯაქლიქის წესით მემკვიდრეობით მფლობელი ქურთთა ემირი ალა-ედ-დინ ბეგი, თავრიზის ფალანგის შემოტევით განაწ-

ყენებული, მორჩილებიდან გამოვიდა. ამ მიზეზით ზემოხსენებული ჯალნ ფაშა და თავრიზის ჯარის მეთაური ჰასან ალა თავრიზის ჯარით წამოვიდნენ მის საწინააღმდეგოდ და კარნიჯარუჯის ციხეს ალყა შემოარტყეს. ჰუქარის მმართველმა ზეკერია ბეგმა ჯართან ერთად თავისთან წაიყვანა ნახიჩევანის ჯარის ნახევარი და შერბფ ფაშის ქეთხუდნ—ჯოსმან ქეთხუდნ და ალყაშემორტყმულებთან მოვიდა. ერთ თვემდე ურტყეს და აღნიშნულ ციხეზე გაიმარჯვეს. იმ დროს აღნიშნული ჯალნ-ედ-დინ ბეგის ძმიშვილი სეფფ-ედ-დინ ბეგი და ხანი აბდულ ბეგი შაჰთან წავიდნენ და ზომების მისაღებად დახმარება ითხოვეს. თან გააგებინეს, რომ თავრიზის ჯარი ციხიდან გამოვიდა და ციხე ცარიელი დარჩა. შაჰმაც უყოყმანოდ სამი-ოთხი ყონახი ერთად აქცია* და ზოგის გადმოცემით—ექვს დღეში, ზოგის მიხედვით კი ათ დღეში ისტაჰანიდან თავრიზს ჩავიდა, რაც ერთი თვის სავალია. თვრამეტი დღე ალყა შემოარტყა; ჯალნ ფაშამ კი აღნიშნული ჯალნ-ედ-დინ ბეგი დაიჭირა და რომ მიჰყავდა, გაიგო, რომ ყიზილბაშმა თავრიზს ალყა შემოარტყა. მან არ იცოდა, რომ შაჰიც მათთან ერთად იყო; დაარტყა ყიზილბაშს და მაღალი ალღაშის მადლით მოწინავე რაზმები დაამარცხა და გაანადგურა. შემდეგ კიდევ რამდენიმე [ყიზილბაშთა] რაზმმა წამოიძახა: „შაჰ, შაჰ“ და მასზე რომ წამოვიდნენ, მან [ჯალნ ბეგმა] აღნიშნულ ჯალნ-ედ-დინს კისერი მოჰკვეთა. მაგრამ ყიზილბაშმა სძლია მათ, დაამარცხა და გაწყვიტა. ჯალნ ფაშა აქვე ჩაუფარდათ ხელში; ტყვედ ჩავარდნენ აგრეთვე ჯოსმან ფაშის ხელქვეითები ხალნლ ფაშა⁸⁸ და მაჰმუდ ფაშა⁸⁹. როდესაც შაჰთან მიიყვანეს ესენი ჯაფარ ფაშის კაცებიაო და მოაკვლევინა. [ყიზილბაშებმა] უთხრეს [ისლამის ჯარს]: ჯალნ ფაშა თავრიზის დასაცავად გამოგზავნეს, აი თქვენნი ფაშა რა დღეშია, იგი ჩვენი ტყვეა, თქვენ ვისგან ელით შველასო. [ამის შემდეგ] მუსლიმებმა ციხე ნებით ჩააბარეს.

მაგრამ ნებით ჩაბარების სამაგიეროდ მათ ურჯულოება გამოიჩინეს და საწყალ ხალხს ბევრი სიკვდილი მიაცენეს. ჯალნ ფაშამ შემდეგ ბევრი სინანული გამოთქვა თავის-თავზე და მაგ მდგომარეობაში მოკვდა. მისგან დარჩენილი [ქონება] მისივე ელჩის მეშვეობით გაეგზავნა სტამბოლში მის მემკვიდრეებს. მაგრამ მთავარმადეფთერდარმა ბაქი ფაშამ⁹⁰ შარიათის მიხედვით [ეს ქონება] ხაზინას გადასცა. (II, 258-259).

* ე. ი. ისეთი სიჩქარით, რომ სამი-ოთხი დღის სავალს ერთ დღეს გადიოდა.

იმავე წელს [= 1603-1604 წწ.] საწათჯი ჰასან ფაშის სარდლად დანიშვნისა და გამჩენის ნებით მისი გარდაცვალების ამბავი

როცა ამ არასასიამოვნო ამბავმა სტამბოლს მიადწია, მოითხოვირეს და, რადგანაც ის ახლოს იმყოფებოდა იმ ადგილებთან, სარდლად დანიშვნის შესახებ ბრძანება ზემოაღნიშნულ საწათჯი ფაშას გაუგზავნეს. ხოლო აღნიშნულმა [სარდალმა] შორად [მყოფ] ყველა ჯარის ნაწილებს პატიოსანი ბრძანებები დაუგზავნა. იგი დიდ ბეჯითობას იჩენდა მათ შესაქრებად. ამასობაში გზააბნეულმა შაჰმა ნახიჩევანი აიღო და ერევანს ალყა შემოარტყა. ალყა რამდენიმე თვეს გაგრძელდა. რომელიმე საქმე დაუსაბამობაში არ უნდა იქნეს წინასწარ განსაზღვრული, რადგანაც ასეთი საქმე სიზმრისმაგვარი რამ იქნება. დაბრკოლება და უსიამოვნება აურაცხელი გაჩნდება. ამ ადგილას მაღალი ალლჰის განგებით გარდაიცვალა ჰასან ფაშა და სიიქიოს ეწია. (II, 259-260).

1013 წელს [= 1604-1605 წწ.] ყიზილბაშის გამარჯვება ნახიჩევნის ციხეზე

როცა გზააბნეულმა შაჰმა თავრიზზე გაიმარჯვა, ნახიჩევანზე მან ზუ-ლ-ფუჟარ ხანი გამოგზავნა. ნახიჩევანი ერევნის ეპლეთში შედიოდა. როცა შერბფ ფაშამ დაინახა, თუ რა მდგომარეობაში იყო თავრიზი, მის დასაცავად სამასამდე მომარი განაწესა. მაგრამ ალყის შემორტყმის შემთხვევაში წინააღმდეგობის გაწევის ვარაუდი არ იყო; ამიტომ განიზრახეს შიგ მყოფი ჯარი გამოეყვანათ, ციხისთვის ცეცხლი წაეკიდებინათ და დაენგრიათ იგი. როცა ციხესთან მივიდნენ, შიგ განლაგებულმა ბედოვლათებმა თქვეს: ჩვენ უფრო ადრეც შაჰის მონები ვიყავითო და ციხიდან არ გამოვიდნენ, [ციხე] ზუ-ლ-ფუჟარ ხანს გადასცეს. (II. 260).

იმავე [1013 = 1604-1605 წწ.] წელს რომ გზააბნეულებმა ერევნის ციხე დაიპყრეს

როდესაც საქმე ასე დატრიალდა, გზააბნეულმა შაჰმა თავრიზის მხარეში მობინადრე ქურთისტანის ხალხი მიიმხრო და გარემო შემოიკრიბა. მასთან მივიდა [აგრეთვე] საქართველოს ჯარებიდან ალექსანდრე ხანის შვილი ლევან ხანი და სიმონის შვილი ლუარსაბ ხანი თავიანთი ჯარით. ადგა და ერევანს ალყა შემოარტყა. ეს ალყა გაგრძელდა სრულად ცხრა თვე და ათი დღე.

რამდენიმეჯერ ლალუმები ჩააწყო და იერიშებზე გადავიდა. ხუთი ცალი ფარანის ზარბაზანი ციხის ქვეშ ეწყო, მაგრამ [კიდევ] ხელახლა ჩამოასხმევინა. თითოეული მათგანი ორმოცდაათ ოყა ქვას ისროდა. ის კი არა, რადგანაც ციხეზე დაცემული ქვა მუსლიმებს ხელის წისკვილისთვის სჭირდებოდათ, იყო შემთხვევები, რომ ერთმანეთში ეს ქვა სამ-სამ ყურუშად იყიდებოდა. მაგრამ ალყაშემორტყმულ [მუსლიმ] გმირებს აქლემისა და ცხენის ხორცის ჭამისაგან ავადმყოფობა გაუჩნდათ და ბევრი მათგანი ღონემიხდილი და უძღური დარჩა. ერთხელ წყევულებმა ლალუმი გადაადგეს. მუსლიმებმა ამაზე არაფერი იცოდნენ. დილა-ადრიან შიდაციხესა და გარეციხეს შუა რამდენიმე ათასი ყიზილბაში გამოჩნდა. იმ დროს გარეთა ციხეში მყოფმა მუსლიმებმა ვერაფერთარი ზომები ვერ მიიღეს და გაოგნებულნი რომ იყვნენ, უცბად ხმალი მოიქნიეს და სულ მცირე დროის მონაკვეთში ათას რვაასი კაცი დაყარეს. [ამ დროს] გავრცელდა ხმა ისლამის ჯარის სარდლის ცხონებული სწაჯის გარდაცვალების შესახებ. ამ მიზეზითაც ისლამის ჯარის ხელი და ფეხი უძრავი დარჩა. სრული ათი დღის შემდეგ შიდაციხე ნებით ჩააბარეს. ამ დროს შაჰი შერფ ფაშას დიდი პატივისცემით მოეპყრო იმამ რიზას მუთვეელრეზ თანამდებობა მისცა. როცა მისმა სიცოცხლემ დასასრულს მიაღწია, [სამსახურიდან] მოხსნასა და დანიშნაზე ზრუნვას თავი დაანება და ასე გავიდა [მისი] დრო. სხვა ჯარისკაცებს გამოუცხადა: ვისაც უნდა ჩემი ყული იყოს, ვისაც უნდა ოსმალოსთან წავიდესო. ის კი არა, ხიდირ ფაშის შვილმა მეჭმედ ფაშამ სამას-ოთხასი კომლი თავის ჯალაბობით თან წამოიყვანა, შაჰთან ხალხი გააყოლა და მშვიდობიანად მიაღწევინა ყარსამედ. ციხე-ერევანი დაწვა, გააოხრა და მიწასთან გაასწორა.

(II, 260-261):

**1014 [=1605-1606 წწ.] წელს განჯასა და შირვანში
ყიზილბაშის შემოსევის ამბავი**

აღნიშნულ წელს გზაკვალდაბნეული შაჰი განჯაზე დაიძრა. განჯის ბეგლარბეგად სწარი აჰმედ ფაშის⁹¹ ქეთხუდუნ მეჭმედ ფაშა იყო. სრულ ექვს თვეს ალყაშემორტყმული იყო. იყო დღედაღამ შეუწყვეტელი ბრძოლა; შემდეგ დახმარება ვერ მიიღეს და დანებდნენ. ამის შემდეგ აიყარნენ და შირვანზე წავიდნენ. სრულ შვიდ თვეს ალყაშემორტყმული შირვანიც სასიცოცხლო იმედისაგან ძლიერ შორს იყო. ბოლოს, ესენიც დანებდნენ. მაგრამ, მიუხედავად იმისა,

რომ თვითონ დანებდნენ, გზადანებულმა შაჰმა ისლამის ლაშქრის ნახევარზე მეტი გაწყვიტა; ასეთივე მუხანათობა უყო განჯის ჯარს. აი, ათი-თორმეტი წლის განმავლობაში წამოზრდილი ისლამის მალიარებელი [ახალგაზრდები] გააქრეს და ეგ ურჯულო ორი წლის განმავლობაში ყველაზე გამარჯვებული გამოვიდა. შედეგი ცნობილი გახდა; ეს იყო ჩაგვრისა და არეულობის წლები. ყიზილბაშის მიერ თავრიზისა და ნახიჩევანის დაპყრობა სულთან მეჰმედ ხანის⁹² დროს მოხდა, სხვებისა კი სულთან აჰმედის დროს⁹³. ყიზილბაშთა ამბები და ჩიღლაზადეს სარდლობა ქრონიკის მიხედვით არაა, იგი ცალკე დაიწერა. (II, 266-267).

საქართველოს მედიქ მოურავის⁹⁴ (عراق) მიერ კარჩიკაის მოკვლა და საქართველოს დამორჩილება, 1034
[=1624-1625 წწ.] წელი

ხსენებული მოურავად წოდებული მედიქი დიდი მედიქი იყო, რომელიც სრულიად საქართველოს სახელმწიფოს ქეთხუდად და შაჰაბბასის მეგობრად იყო ცნობილი. ზოგ საჭიროებათა გამო ზემოხსენებულ მოურავს ორი-სამი ხანისა და მათი ჯარის თანხლებით შაჰი საქართველოში აგზავნის. თურმე საქართველოს მიერ შაჰის საწინააღმდეგოდ [გაწყული] ერთგვარი ურჩობა მოურავსვე მოეწყოა ყიზილბაშზე შურის საძიებლად. მოხერხებული შემთხვევა რომ მიეცა, კარჩიკაი და მასთან მყოფი ხანები დახოცა და ერთი-ორი ათასი ყიზილბაშის ჯარს თავი მოჰკვეთა. ზემოხსენებული წლის რამაზანის 27-ე დღეს [=1625 წ. 3. VII.] ოსმალთა ჯარის [ბანაკში] მოვიდნენ [მოურავის კაცები] მისი [მოურავის] შვილითურთ და საქართველოს ზოგი მედიქთაგანი კარჩიკას და სხვა ყიზილბაშთა თავებითა და მოენე ტყვეებით, საყვირებითა და დიდი დაფებით და ორას-სამასი ბაირალით.

მათ [მოურავის ელჩებმა] სიტყვა-სიტყვით ასე მოახსენეს: ასეთი მოხერხებული შემთხვევა ოსმალთა სამეფო გვარეულობას არ მისცემია და ყოველგვარი დაყოვნების გარეშე მიიღეთ ზომა და ისწრაფეთ, რომ ისლამის ჯარითურთ ამ ქვეყნისაკენ გაემგზავროთ. უეჭველია, რომ, როგორც კი ყარაბაღს, განჯას, Երջ-ს* და შირვანს ჩახვალთ, ყველა ეს [ქვეყნები] მაშინვე დაგმორჩილებიან. არ არის საჭირო ლაპარაკი იმაზე, რომ ესენი ყიზილბაშ-

* ვფიქრობ, რომ Երჯ-ი დამაზინჯებული Եბრ-ი, ე. ი. ბარდავი უნდა იყოს.

თან მწყარალად არიან, [რადგანაც] თვითონ სუნიტ-მუსლიმებს ეკუთვნიან. ამის შემდეგ სულ ადვილია არდებილისა და მეშქედის იოლად აღება და ყიზილბაშის ქვეყნისათვის ცეცხლის წაქიდება. და თქვენ სრულებით ნუ გაფიქრებთ აქლემები და ჯორები და სურსათ-სანოვავისა, ზარბაზნებისა და სხვა საქურველთა გადატანისათვის საჭირო მზრუნველობა. [რადგანაც ასეთები] რამდენიც მოგესურვებათ აქ მოიპოვება. მაღალი ალღაშის მადლით ისლამის ჯარი იმდენ სიმდიდრესა და ნადავლს ჩაიგდებს ხელში, რომ ქვეყნის დასასრულამდე სალაპარაკო დესტანად⁹⁵ გადაიქცეს. როცა ისინი ჰაფიზ-ფაშასთან⁹⁶ ამოვიდნენ, მეც იმასთან ვიჯექი. მოურავის წერილობითი პატაკი მიაწოდეს და მისი შინაარსი ვრცელი ახსნა-განმარტებებით მოახსენეს. განსვენებული ჰაფიზ-ფაშა უცნაური ხასიათის ვეზირი იყო. მისგან ბევრი მოწყალეობა მიმიღია და ურიცხვი კეთილი საქმე მახსოვს, მაგრამ რასაც ვწერ, ესეც სიმაართლეა და ბოროტება და ცილისწამება არ არის. მაღალი ალღაშია ამის მოწმე. ამით არავითარი გადაჭრილი პასუხი არ მისცა. რამდენიმეჯერ მოვიდნენ და წავიდნენ, ხეირიანი პასუხი ითხოვეს, მაგრამ გამგზავრებაზე არც „წავალ“ და არც „არ წავალ“ არ თქვა. მეც ძალიან დაბეჯითებით ვუთხარი [ფაშას], რომ ასეთი მოხერხებული შემთხვევა მეორედ ხელში არ ჩაგვივარდება. მეთქი. ჩვენო, ბედნიერებით მოსილმა ფადიშაჰმა ბაღდადის დაპყრობა შემოგვიკვეთა და საქართველოსა და შირვანს გამგზავრება ნაბრძანები არა გვაქვსო. ჩვენმა ბედნიერებით მოსილმა ფადიშაჰმა რომ იცოდეს, რომ მოურავი მოგვევლინა და, რომ შესაძლებლობა არის. მტრებს შორის ასეთი დიდი განხეთქილება ჩამოვარდეს, მაშინ [ფადიშაჰი] თქვენ, უპირველესად ყოვლისა, იქ გაგვზავნიდათ და, შეიძლება, გადაეწყვიტა და თვითონ თავის თავზეც კი აეღო ომის წარმოების სიძნელები მეთქი. ჩვენ ამნაირი გამოცდილება გვაქვს: ვიდრე ენგურუსის (انگوروس) ბრძოლებში მტრებს შორის ფოჩაი (فوجاي) არ გამოჩნდა, ქაფირები ვერ დავამარცხებთ და მათ ქვეყანაში ერთი ნაბიჯით წინ ვერ წავიწიეთ. თუ ამ შემთხვევას ხელიდან გავუშვებთ, ქვეყნის დასასრულამდე სანანებლად გვექნება მეთქი, ვუთხარი. არაფერი არ გამოვიდა. უქანასქნელი მისი პასუხის იყო, რომ თქვენ ჯერ ჩემი ხასიათი არ გცოდნიათ. მე ვიდრე რომელიმე წამოწყების წარმატებით შესრულებაში არ დავრწმუნდები, ამ მიმართულებით ერთ ნაბიჯსაც არ გადავდგამო. მაშ, დიდებულმა სულთნებმა, გინა პატიოსანმა ვეზირებმა, რომლებმაც ამოდენა საღვთო ომი და დაპყრობა წარმატებით ჩაატარეს, წინა

დაწინ] იცოდნენ, რომ გაიმარჯვებდნენ და იმიტომ მიდიოდნენ? ომში გამგზავრებისას სარდლისათვის სიმამაცე და მაღალ ალღაპზე სრული მინდობა არის საჭირო. ან ეხლა ბაღდადში რომ ჩახვალთ, წამდვილად იცით, რომ დაიპყრობთ და გაიმარჯვებთ-მეთქი?— ვუთხარი. მაღალმა ალღაპმა ინებოს, ასეც იქნება, ჩემი მტკიცე რწმენა ასეთია და, შეიძლება, [ამაში] ექვი სრულიადაც არ მეპარებოდესო— მითხრა. მართლაც, საქმე იმაშია, რომ იოლი დაპყრობები მუდამ ისე ხშირად მეორდებოდა, რომ ჩვენც ასეთი რწმენა გვექონდა ჩანერგილი. ამის გამო იყო, რომ მან დაიჩემა [ამ საქმის] გადადება. შემდეგ იანიჩართა ალა—ხუსრეე-ალასთან შევეცადე და ვუთხარი, რომ, თუ თქვენ თვითონ არ წახვალთ, იზრუნეთ და კარგად მომზადებული და მრავალრიცხოვანი ჯარი მინც გაგზავნეთ-მეთქი. ჩვენ სარდლის ხელქვეითები ვართ და რასაც [სარდალი] გვიბრძანებს, იმას შევასრულებთო. ჩემთვის უეჭველი გახდა, რომ მას [ხუსრეე-ალას] ჰაფიზის გამარჯვება [და წარმატება] არ უნდოდა. ამავე მიზეზით მაღალმა ალღაპმა თვით მასაც არ გაუმარჯვა. საოცარია, რომ შემდეგში, თავისი სარდლობის დროს, მან [ხუსრეემა], მოურავი, მისი მგელი და [მოურავის მხლებლები] ორმოცამდე კაცი ერთბაშად დახოცა. შაჰს რომ ათასი აუქი ახჩა მიეცა, ან რომელიმე შემოსავლიანი მხარე რომ ებოძა, არ იზამდა; [ხოლო აქ] არც ალღაპის შეეშინდა და არც სისხლს მოერიდა და ასეთი აშკარა ჯალათობა ჩაიდინა. იმ დროს შაჰ-აბბასის გამეფებიდან ორმოცი წელიწადი შესრულდა. სინამდვილე ის არის, რომ ამ ორმოცი წლის განმავლობაში [შაჰს] ასეთი მძიმე დანაკლისი არ ჰქონია. მოურავის მეოხებით და მოურავთანვე ბრძოლაში დაიღუპა და განშორდა წუთისოფელს შვიდი სახელოვანი ხანი, რომელთა ტოლები ყიზილბაშის ქვეყნებში არ მოიძებნებოდა. მათ შორის იყვნენ ერთი კარჩიკაი, ერთი შირვანის ხანი—იუსუფ-ხანი, ერთი ემირგუნე და სხვები.

(II, 403-406).

დიშლენ ჰუსეინ-ფაშა⁹⁷ ჯარითურთ [ჯერ] სარდალთან და
 ოქიდან აბაზასთან⁹⁸ რომ მივიდა და შემდეგ მისი მოკვლა
 [1626-1627 წწ.]

მაღალღირსეულ სარდალს სჭირდებოდა ერთი წარჩინებული ვეზირი, რომელიც ჯარს გაუძღვებოდა წინ. ვინაიდან [დიდი ვეზირის] მოადგილე გურჯი მეჰმედ ფაშა ამბობდა: „ღმერთმა ნუ ქნას, რომ ეს სამსახურიმე დამეკისროს“-ო და ან დავალებას თავს.

არიდებდა. ამიტომ [სარდალმა] მოიყვანა დიშლენ ჭუსეან-ფაშა და [ეს სამსახური] მას უბრძანა. [ეს უკანასკნელი] გამოცდილი და ამაგდარი კაცი იყო. მისმა საკმაო რაოდენობის ჯარით ჭარმალ ჰალაბს. წასვლამ სახელოვან სარდალში უსახლერო სიხარული და აღფრთოვანება გამოიწვია. თვითონ [სარდალი] უმაღლეს კარავში გამოვიდა და ბაღდადში გასამგზავრებლად საჭირო სამზადისს შეუდგა. მაგრამ [ამ დროს] საზღვარზე მყოფი ბეგებისაგან მოვიდა წერილები, რომლებიც შევლას ითხოვდნენ და იწერებოდნენ, რომ ყიზილბაშმა ახალციხეს ალყა შემოარტყა და დახმარება თუ არ აღმოგვეჩინა, საქმე გართულდებაო. შემდეგ მან მაშველ ძალად გამოყო ვილახეთების მფლობელი შვიდი სახელოვანი ბეგლარბეგი თავიანთ ვილახეთში მყოფი ჯართურთ. ეს ბეგლარბეგები მასზე [სარდალზე] უფრო ახლოს იყვნენ [ახალციხესთან] და ზემოხსენებული ჭუსეან-ფაშა დანიშნა მათ ძლევამოსილ სარდალად და გაამგზავრა. [სარდალმა] აბაზა-ფაშასაც გაუგზავნა პატიოსანი ჭუქმი იმის შესახებ, რომ, როცა [ჭუსენ-ფაშა] არზრუმს ჩავიდოდა, აბაზაც არზრუმის ჯარით თან გაყოლოდა მას. როცა არზრუმში ჩავიდნენ აბაზამ— „ბატონი ბრძანდებითო“ თქვა და ლაშქრობისათვის მოჩვენებითი მზადება დაიწყო. [აბაზა-ფაშას] უფიქრია, რომ ესენი ახალციხეში კი არ მიდიან, არზრუმში მოვიდნენ იმისათვის, რომ რაიმე ხრიკი მოუწყონ მას და მოაშორონ ამ ქვეყანას. მან გაპართა წვეულება და მოსული მეთაურები და ბეგლარბეგები დაპატიჟა, ხოლო მთელ თავის ჯარს უბრძანა შეიარაღებულიყვნენ და მზად ყოფილიყვნენ მისი განკარგულებისათვის. ჩვენს ჯარს ასეთი ვერაგობისა და გაიძევრობისაგან დაზღვეულად მიაჩნდა თავი და, როდესაც თითოეული მათგანი [ან] ქუჩაში დადიოდა [და ან] თავისი საქმიანობით იყო გართული, უცბად ციხის ერთი კარიდან გამოვიდნენ და ჩვენი ჯარის დარბევას მიჰყვეს ხელი. ერთი საათის განმავლობაში ყველაფერი განიივეს და რაც მათ გააჩნდათ, ყველაფერი მოჯანყეთა ნადავლად გადაიქცა. მოულოდნელი [თავდასხმისაგან] შეშფოთებულ ასკერთაგან ზოგი უუნაგრო ცხენს შეახტა, ზოგი [იქვე] მყოფ აქლემს შეაჯდა და სარდალთან გაიქცნენ. ორი დღის შემდეგ მივიდნენ და მომხდარი ამბავი შეატყობინეს. და სარდალმა რომ ეს შემადრწუნებელი ამბავი გაიგო, თქვა: „რა გაეწყობა, რაც მოხდა, მოხდა“; რალა ქნას; მოვიდა და ციხის აღება მოიწადინა და იმ ყაჩაღების ძირფესვიანად აღმოფხვრასა და დამორჩილებას შეეცადა. მაგრამ არც ზარბაზნია და არც სხვა საჭირო საჭურველთაგან მცირეოდენი რამე; მხოლოდ ქართველი მელიქ მოურავის

მეორე მოტანილი ზარბაზნით დაიწყო სროლა. ზამთარი დადგა, [ამდენი] დრო ტყუილად დაქარგა. შემდეგ უმწეო, სასოწარკვეთილი და შეწუხებული ადგა და წამოსვლა არჩია. ამრიგად ამ ლაშქრობის შედეგი და შინაარსი ეგ იყო. (II, 408-409).

**ხუსრევ-ფაშა რომ დიდ-ვეზირი და სარდალი გახდა და
1038 წელს [=1628-1629 წწ.] არზრუმისა და ახალციხის
ციხეები რომ დაიპყრო**

როცა ეს არასასიამოვნო ამბავი ზღვისა და ხმელეთის ფნდი: შაჰის პატიოსან ყურამდე მივიდა, მან მაშინვე გადაწყვიტა სახელოვან დიდ-ვეზირად და სარდალად დაენიშნა ხუსრევ-ფაშა, რადგანაც დარწმუნებული იყო მის გულადობასა და [აგრეთვე] იმაში, რომ ის [ქარგად] უხელმძღვანელებდა ძლევამოსილ ჯარს. შემდეგ [დიდი ვეზირის] მოადგილის რეჯებ-ფაშის⁹⁹ დასტურით გაიცა ფირმანი, რათა დინარბექირის ვილჯეთის ბოძებით მას კეთილად-დაცული სტამბოლიდან დაუყოვნებლივ გაეგზავნოს უაფგუსტოესი ბეჭედი. შემდეგ კეთილადდაცულ თოქათში ჩავიდნენ და საჭირო საქმეთა გასაკეთებლად დიდი შრომა და ჯაფა გასწიეს. ამ დროს ცნობა მოვიდა, რომ აბაზა მისგან [სარდლისაგან] ძალიან დაშინებულია და განზრახვა აქვს შაჰს მორჩილება გამოუცხადოს და [არზრუმის] ციხე გადასცესო. რადგანაც ძნელი იყო ზარბაზნის, ჯაბახანისა და სხვა საჭირო მასალათა [სასწრაფოდ] გადატანა, ამიტომ ესენი უკან მოიტოვა [რომ შემდეგ უკან დაედევნებინათ], ხოლო თვითონ დაუყოვნებლივ და ტვირთშემსუბუქებული ძლიერ სასწრაფოდ გაემგზავრა. რამდენიმე ათასი იანიჩარი კიდევ ჩქარმავალ ცხენებზე შესვა და მშვენიერებამოსილი არზრუმის ახლო ჩამოხტა. 1038 წლის წმინდა მუჰარრემის მეშვიდე დღეს [=1628 წ. 6. IX.] ციხეს ალყა შემოარტყეს და იანიჩრები იმავე დღეს სანგრებში ჩასვეს. მეორე დღისათვის ზარბაზნებიც მოაწოდეს. ზარბაზნები წაიღეს და სხვა მრავალგვარი ღონისძიებაც იხმარეს. სხვათა შორის დაიწყეს ვითომ კეთილი გულით გადმობირება ყაჩაღებისა და იმათი, ვინც სეგბანების¹⁰⁰ [წილაბ] ქვეშ მცდარ გზაზე შემდგარებს იყვნენ მიტმანსილი. ამ [ღონისძიების] წყალობით, შიგ ციხიდან გამორბოდნენ ხუთ-ხუთნი, ათ-ათნი და მორჩილებას აცხადებდნენ. ვინაიდან ყოველ მათგანს საბოძვარი შეხვდა მათი მოლოდინის მიხედვით და, ამგვარად, მათ უმრავლესობას შესაძლებლობა მიეცა მორჩილების გამოცხადებისა, აბაზა იძულებული გახდა არზ-

რუმის წარჩინებულთაგან, ულემებიდან და შეიხებიდან ექვსი კაცი გამოეგზავნა და პატიება ეთხოვა. თანახმად თქმულებისა, რომ „პატიება გამარჯვების მოვალეობაა“, პატიოსანმა სარდალმა აპატიო და ხსენებული თვის მეცხრამეტე დღეს [1628 წ. 18. IX.] [აბაზა] გამოიყვანა ციხიდან და ფადიშაჰის ციხე უწინდებურად ისლამის ლაშქრის ხელში გადმოვიდა. იქიდან ახალციხეში გაგზავნეს კაცი და ისიც დაიპყრეს. (II, 409-410).

ერევანში სამეფო გალაშქრების მოკლე მიმოხილვა, თავრიზისა და ანის მხარეთა აოხრება და 1044 წლის კურთხეული რამაჯუნის პირველში, შაბათ დღეს [=1633 წლის 18. II.] [ხუთნის] უავგუსტოესი გამგზავრება

...ყარსის გზით გაემგზავრნენ ერევნისაკენ, გადასერეს გზები და კეთილად დაბანაკდნენ ერევნის ახლო. მემთხვევით, ჯარისკაცთა სივალე გზა სწორედ ციხეზე გადიოდა. ამდენად ძნელად [გასავლელი] ადგილები იყო და ციხიდან თავის არიდება, ესე იგი, ძლევამოსილ [ჩვენს] ჯარის ნაწილებს ცოტა ოდნად შორ მანძილზე განდგომა არ შეეძლოთ. ამიტომ ციხიდან ყიზილბაში გაძლიერებით ისროდა ქვემეხებსა და ზარბაზნებს. თვითონ [ყიზილბაში?] ბედნიერი ფადიშაჰის ძლევამოსილობის [შესახებ] ცნობებს მიიღებდა, გაიქცეოდა და მოუსვამდა. მაგრამ ჩვენი ბედნიერი ფადიშაჰი იოტისოდნად არ შეიცვლიდა ნირს; მშვიდად, დინჯად და ფადიშაჰისებური იერიითა და სიმტკიცით კეთილინება თავის სამეფო კარავში დაბანაკება.

ზანგის წყალზე გადასვლა, ფადიშაჰის სიმამაცე. ციხესთან ახლოა მდინარე ზანგი*, რომელიც დიდი მდინარეთაგანია. იმ დროს ძლიერ აღიდებული იყო. ზიდის გაკეთების შესაძლებლობა არ იყო. ამიტომ მთელი ჯარი იბულებული შეიქნა ძალ-ღონე მოეკრიფა და ფეხით გადასულიყო. ბედნიერი ფადიშაჰიც ზემოთ მოხსენებულის შესაბამისად თავის თოხარიც ცხენზე შემჯდარი ცდილობდა გადასულიყო მდინარეს. ამ დროს სამეფო

* نهر دیکي — მდინარე დიკი, ვეიქრობთ, გრაფიკულ დამახინჯებათა შედეგია. უნდა იყოს نهر زنگي ან زنگي, ე. ი. მდინარე ზანგი, რაც გეოგრაფიულადც გამართლებულია. ჩვენ ამ ადგილას ყველგან دیکي ზანგ'ად გვაპზრინავთ (პირველ ა ასოსთან წერტილია გამოტოვებული, მეორე ასოს კი ქვემოდან აქვს მოწერილი ორი წერტილი, ზედა ერთი წერტილის ნაცვლად).

ამალაში მიმავალი სოლაკთა რაზმიდან ერთი [მეონარი] მდინარის
ძნელად გასასვლელ ადგილს წააწყდა. ეს კეთილი კაცი—სოლაკი
[მეფის მცველი] წყალმა წაიღო. ის ნამდვილად წყალს მიჰქონდა
და ცხადი იყო, რომ დაიხრჩობოდა. დაინახა თუ არა ეს ბედ-
ნიერმა ფაქტმა, გაჰკრა ცხენს დეზები და წყალწაღებულს შუა
წყალში დაეწია. თავისი ბედნიერი მარჯვენა ხელი კისერში ჩას-
ჭიდა სოლაკს და, თითქოს, ვაშლიაო, კურთხეული ხელით დაჭირა
და წყლიდან ნაპირს გამოიყვანა. მას ხელიდან არ უშვებდა და ვიღ-
რე სამშვიდობოს არ გამოიყვანა, მისთვის ხელი არ მოუშორებია.
როცა სოლაკმა ფეხი მიწას დააბიჯა, ბედნიერმა ფაქტმა ცუდ შუა
ხელი, ერთი მუჟა ოქრო აჩუქა და, ამრიგად, სოლაკი ორგვარად
გააცოცხლა. ერთი ისა, რომ დახრჩობას გადაარჩინა და მეორე—
უწყალობა შეუდარებელი სიმდიდრე, რომელიც სიკვდილამდე [საქ-
მარისი იყო]. ამოდენა ისლამის ჯარმა, რომლის სიმრავლე და
ზღვარი ყოველგვარი აღრიცხვის გარეშეა, ყველამ ერთად შეძახი-
ლებით ქება-დიდება აღავლინა ზეცაში. ამის გამო ისლამის ჯარში
დიდი ყიფინა და ვიწვიში ატყდა; ბევრს მდინარე ზანგის ოდენა
ცრემლი წამოუვიდა, ბევრმა ქუდი მოიხადა და აღთქმა და ფიცი
დადგა, რომ ფაქტისათვის თავსა და სიცოცხლეს შესწირავდა.
იმ სადგურიდან საქმეში გამოცდილთაგან და წარჩინებულთაგან
რამდენიმე პირი წავიდა და სამეფო ჯარისათვის ბანაკისა და ბედ-
ნიერი ფაქტის სამეფო კარვის მოსაწყობად შესაფერისი ადგი-
ლები დაათვალიერა: მეორე დღეს ადგნენ და შერჩეულ და დანიშ-
ნულ ადგილებზე კარვები გამართეს. შემდეგ ბედნიერმა და გამარ-
ჯვების საყრდენმა ფაქტმა ჯარის ნაწილები დარაზმა და
მწყობრში ჩააყენა. ისეთი ზინეთი იყო და იმოდენა ძლიერებისა
და გამარჯვების ნიშანი [ჩანდა], რომ შორსმჭვრეტელ ზეცას ამის
მსგავსი არაფერი უნახავს. [ფაქტი] ბედნიერ საათს სამეფო
კარავეში შებრძანდა. შემდეგ გადაუღებლივ და დაუყოვნებლივ და-
აწყებინეს სანგარების თხრა. [თალების განლაგებულობა ასეთი იყო:]
რუმელის ეაღლეთის [ბეგლარბეგი] ვეზირი ჯანფულადზნდე მუს-
ტათფა ფაშა¹⁰¹, თავრიზის სამსახურში მყოფი და მარჯვენა ფალან-
გის ჯარით აღნიშნული ეაღლეთის ვალღ, ვეზირი გურჯი მეჰმედ
ფაშა და ამ ორ დიდ სანგარს შორის დიდვეზირი გულადი მეჰმედ
ფაშა და აწინდელი დიდვეზირი, ბედნიერი და ღირსეული ვეზირი,
მისი აღმატებულება მუსტათფა ფაშა, რომელიც იმ დროს გააპა-
ტიოსნეს იანიჩართა აღაპ თანამდებობაზე დანიშვნით; ციხის ერთ
კუთხეში საპირისპირო სანგარი გააკეთეს და ოცი დიდი ზარბაზ-

ნით დღედაღამე მტერს მოსვენებასა და საშველს არ აძლევდნენ; ისეთი დიდი შეუპოვრობითა და თავგამოდებით ურტყამდნენ, რომ ამაზე უფრო მეტის წარმოდგენა არ შეიძლება. მართლაც, მუს-ლიმმა გმირებმა რამდენ სიტყვით უთქმელ მხნეობასა და თავდა-დებას არ მიმართეს. ბედნიერი ქვეყნის თავშესაფარი ფადიშაჰი რუმელიის ფალანგზე მდებარე სანგარში თავიანთი ბედნიერი ფე-ხით რამდენიმეჯერ შებრძანდა და მისთვის სასურველი ზარბაზანი თავად ამოიღო ნიშანში და გაისროლა. ის მუჰა-მუჰად ურიგებდა ოქროს ამ ადგილას მყოფ მუსლიმ გმირებს, რომლებიც გაამდიდრა და გააბედნიერა, რაც შეეხება იმას, ფადიშაჰი რომ [ბრძოლის დროს] კისრულობდა. არც ისტორიაში ნახულა და არც ვინმეს-გან გაგონილა, რომ სახელოვანი ფადიშაჰი სანგარში ჩავიდეს ან ზარბაზანი ნიშანში ამოიღოს. და რუმელიის ფალანგის ქვემოთ კიდევ არზრუმის ბეგლარბეგი ქუჩუქ აჰმედ ფაშა¹⁰² რამდენიმე ზარბაზანს უმიზნებდა იმ არამზადა მტერს. რომელიც ციხის ქონ-გურებიდან ჩანდა და შეუწყვეტლივ ურტყამდა ქონგურებსა და სათოფურებს. ჭკუამახვილი და საქმეში გამოცდილი დელი ჭუსეან ფაშის¹⁰³ სახელით ცნობილი კაფუდან ფაშა, რომელიც განთქმული უღლემთაგანი იყო, მაღალი გორაკიდან შიდა და გარე ციხეს შაჰურ ზარბაზნებს ურტყამდა. იმდენ გულმოდგინებასა და თავდა-დებას იჩენდნენ, რომ ქონგურებზე, სათოფურზე ან ციხის ქუჩებში რა წამსაც გამოჩნდებოდა ყიზილბაში, [უბრალოდ] თითის აწე-ვისაც ვერ მოასწრებდა. მურთაზნ ფაშა¹⁰⁴ ქვედა ბოლუქის სიფა-ჰნებთან და აღაებთან ერთად თოფრაკ-ყალასკენ საყარაულო სამსახურს ეწეოდა. მისი აღმატებულება ვეზირი მუსნა ფაშასა¹⁰⁵ და მისი აღმატებულება ქენან ფაშას¹⁰⁶ უზენაესი კარის მუთაფერ-რიკაებთან ერთად მისი უდიდებულესობის ქვეყნის საფარველი ფადიშაჰის სამეფო კარვის დაცვა ჰქონდათ დავალებული. თითო-თითო ღამეს, მორიგეობით მაგ სამსახურს ასრულებდნენ. ასეთი მისაღები და შესანიშნავი წესითა და რიგით დღედაღამე რომ გულმოდგინებითა და თავდადებით მუშაობდნენ, მეცხრე დღეს ალყაშემორტყმულმა არამზადა ყიზილბაშებმა და მაგათ, ვითომ, ხანებმა—უბედურებმა პატიება ითხოვეს და უზენაესი ხელისუფლე-ბის სადავეების მპყრობელს და ებოქათა ფადიშაჰს მიაშურეს შეწყ-ნარებისათვის. შაჰის მსროლელთა ნაწილის ალა მირ-აბდ-ულ-ფეთთაჰ ალ დილაადრიან ფადიშაჰს ეახლა და თავყანისცა. ოსმალთა კეთილი ადათის შესაბამისად მას მიაართვეს ძვირფასი [საპატიო] ხალათი და ნება დაერთო თავის ქვეყანაში გამგზავრე-

ბისა. უზენაესი ნებართვა მიენიჭა აგრეთვე ყველა იმათ, ვისაც სურვილი ჰქონდა ყიზილბაშთა ქვეყნებში წასვლისა. იმისათვის რომ ისინი [ყიზილბაშები] მშვიდობიანად გამგზავრებულიყვნენ და დაცული ყოფილიყვნენ ნადავლის მადებარი ისლამის ჯარისაგან, მათ მიუყენეს მასაქიზები და კორუჯიები [მცველები] და ასე გაამგზავრეს თავიანთ ცოდვილიან სახლებში. ერევნის ოლქის ხანმა და მის მიდამოებში ძალაუფლების პატრონმა ემირგუნე ხანმა ისურვა ფადიშაჰის სამსახურში ყოფნა და ასეთი პირობით გადასცა ციხე-ბედნიერ ფადიშაჰს გაუმართა ნადიმი, სადაც სპარსული წესის მიხედვით ჯემინებური სმა და ქეიფი იყო მოწყობილი. თავის შესაძლებლობის შესაბამისი რაოდენობის ძღვენი და უხვი ქონება მიართვა. ბედნიერმა ფადიშაჰმა ძლიერ ისიამოვნა სპარსული ყიდის ნადიმითა და მის საპატივცემლოდ გამართული ამ განუმეორებელი წეს-ჩვეულებით. [ფადიშაჰი] დიდი პატივისცემით მოეპყრო, ყოველნაირი მფარველობა გაუწია; თვით მას [ხანს] ჭარმალი ჰალაბის ეშალეთი უბოძა, ხოლო მის ქეთხუდუას მურად აღას შამის ტრაბლუსის საბეგლარბეგო. (II, 430 და 435-438).

ერევნის აღების შემდეგ მომხდარი ამბების შესახებ

როდესაც სახელოვანმა ფადიშაჰმა ერევნის ციხე შემოიმტკიცა, წარჩინებულმა ვეზირმა მურთაზ ფაშამ აღნიშნულ ციხეს ჩაუწერა ათი ათასი ყული, ხოლო თვითონ დაინიშნა მის ციხისთავად. აღნიშნულ [ვეზირს] ჩააბარეს ყულის ჯარისათვის საკმარისი რაოდენობის სურსათ-სანოვაგე და ხაზინა. ციხე შეაკეთეს, ზარბაზნებისაგან დანგრეული ადგილები ციხისა, როგორც რიგი და წესია, გაამაგრეს. ამ საქმეში, ან [ციხის რომელიმე] შენანგრევი იოტისოდენა ზიანი არ დაუტოვებიათ. (II, 438-439).

შეუღარებელი ვეზირის, მისი აღმატებულების ქენან-ფაშის მიერ ახალციხის დაპყრობა

გულადი ვეზირი, მისი აღმატებულება ქენან ფაშა იყო ღვთისმოსავი ადამიანი, რომელსაც ღვთისმოშიშობასა და კრძალულებაში მსგავსი არა ყავდა. [ამ] დაპყრობათი შემდეგ მას დაევალა ახალციხის აღება და საკმარისი რაოდენობის ჯარი მიეცა. მაღალი-აღლავის შემწეობით მან გაიმარჯვა, ციხე დაქვემდებარებული-ადგილებით აიღო და გაიხარეს. (II, 439).

ქვეყნის საფარველმა ბედნიერმა ფაღიშაჰმა თავრიზისაკენ
გამგზავრება რომ ბრძანა

მას შემდეგ, რაც ერევნის ციხისათვის საბრძოლო მასალებისა და ახალციხეში მიმავალი ჯარისათვის საომარი საჭურვლის მომარაგება დაამთავრა, ბრძანება გასცა სასწრაფოდ გამგზავრებულ იყვნენ თავრიზისაკენ. ერევნიდან აიყარნენ, აღვირები თავრიზის მიმართულებით გასწიეს და შეთქმულნი დღეს გულწარმეტაც თავრიზში გამართეს კარვები. აღნიშნული ქალაქის ოთხივე მხარე, მისი კეთილნაშენი შემოგარენი, მისი მარჯვნივ და მარცხნივ მდებარე სამოთხისებური ადგილები ისლამის ჯარის შესვლის შედეგად მიწასთან გასწორდა და ქვა ქვაზე აღარ დარჩა. ჯარისკაცებიდანაც არავინ არ იყო, რომ ნაღველი არ აეღო. მას შემდეგ, რაც ქვეყნის მპყრობელმა ფაღიშაჰმა დაათვალიერა თავრიზის მშენებლობის ტატნობზე თაღებით აღმართული სასახლეები და, განსაკუთრებით, შაჰის სასახლე-სადგომი, რომლის მსგავსი არსად იპოვება, გამოიცა ბრძანება იმის შესახებ, რომ [ყველაფერი ეს] იყოს მხოლოდ მტერზე გამარჯვებისა და მტრის განადგურების გამომწვევი მიზეზი და [ყველაფერი] მიწასთან გასწორდა. და საერთოდ ეს წარმტაცი ქალაქი—აზერბაიჯანის ეს დედაქალაქი, (სადაც სამ დღეს შეჩერდნენ) და მისი მიდამოები—მთლიანად განადგურებულ და აოხრებულ იქნა. შემდეგ გამობრუნდნენ და ერევნისაკენ გამართნენ. [ამ დროს] ერევნის ველი წითელი და თეთრი ფერის სამეფო კარვებით, უთუოდ, საქვეყნო შურის გამომწვევი იყო. ამ ადგილას მისი აღმატებულების ვეზირი ქენან ფაშის შიკრიკი მოვიდა და ფაღიშაჰთან დაახლოვებულ პირებსა და სრულიად ისლამის ჯარს ახალციხის ციხის დაპყრობა ახარა. ამავე ადგილას დიდი ვეზირის მეჭმედ ფაშის დიდ-ვეზირობის თანამდებობას არფალიკის წესით რუმელიის ევალეთიც დაუმატეს და შეუერთეს.

(II, 439-440).

შენი მკვნი ბ.ე. ქართული
თარგმანისათვის

1. ბაიბურთი — არზრუმის ვილაიეთში სანჯაყის ცენტრი იყო. იგი მდებარეობს არზრუმის ჩრდილო-დასავლეთით 100, ხოლო ტრაპიზონიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 90 კილომეტრზე. ჭოროხის ორთავე ნაპირასა და არზრუმისა და ტრაპიზონის შემაერთებელ გზაზეა¹.

2. სანჯაყი (თურქ. Sancak) — ცდროშა²; სადროშა, რომელზედაც დაყოფილი იყო ვილაიეთი. სანჯაყ-ბეგი (Sancak beği) — სადროშოს, სანჯაყის მმართველი ბეგი.

2^o. ბურჰან ალ ნუსულთანი ხალნლ ფედიშაჰის ძე — პროფ. ვლად. მინორსკის მიხედვით — სულთან ხალნლის ძე, დარუბანდის დინასტიის შირვანის შაჰთაგანია, რომელიც ყიზილბაშთა მიერ დაპყრობილ შირვანზე გაემართა და ბრძოლა დაუწყო ალქან მირზას (იხ. ქვემოთ შენ. 6. ბურჰანის შესახებ და.: И. П. Петрушевский, Азербайджан в XVI-XVII веках წიგნში Сборник статей по истории Азербайджана, გვ. 267-268; В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда X-XI веков, მოსკოვი, 1963, გვ. 174). ო. ფენდიევის მიხედვით ბურჰან ალ ნუსულთან II-ის შვილია, რომელიც შირვანში იყო 1548-1551 წწ. (იხ. О. А. Эфендиев, Образование азербайджанского государства сефевидов в начале XVI века, ბაქო, 1961, გვ. 133).

3. შაჰ-ისმაცენლი — სეფიანთა ირანის შაჰი 1502-1524 წლებში.

¹ კამუს-ულ-ა'ლამ, I. 1280. იხ. აგრეთვე EI, I, 614. მიუხედავად ჩვენი დიდი სურვილისა, ქართულ თარგმანში რამდენიმე საკუთარი სახელი და ტერმინი უშენიშვნოდა და განუმარტებელი დარჩა, ეს იმიტომ, რომ სათანადო სპეც. ლიტერატურა თბილისის წიგნთსაცავებში არ აღმოჩნდა, ხოლო იმ ხანებში მივლინებით გამგზავრება ვერ შეეძლო. აქვე მინდა აღვნიშნო ისტ. მეცნიერებათა კანდიდატის ნოდარ შენგელიას დაუხარებელი და თავაზიანი დახმარება, რომელიც მან გამიწია ამ შრომის წარმოებაში გადაცემისას ჩემი თბილისში არყოფნის დროს (1963 წ. ზაფხული). მან მანქანაზე გადააბეჭდვინა ამ შრომის შენიშვნები და დაურთო ისინი თარგმანის ტექსტის სათანადო ადგილებს.

3. შ ა ჯ რ უ ხ ი — ბურჰან ჯალის ბიძაშვილი, სულთან ფარრუხის ძე. შარვანშად იქნა აღზევებული ბურჰან ჯალის მცირეწლოვანობის გამო (В. Ф. Минорский, დასახელებ. ნაშრომი, გვ. 174; И. П. Петрушевский, Ширван при последних ширваншахах, Сборник статей по ист. Азербайджана, 265).

4. შ ა ჯ - თ ა ჯ მ ა ს ფ ი (= შ ა ჯ - თ ა მ ა ზ ი) — სეფიანთა ირანის შაჰი 1524-1576 წლებში.

5. შ ე მ ა ხ ა, შ ა მ ა ზ ი, შ ა მ მ ა ზ ი ა — ქალაქი თანამედროვე აზერბაიჯანში. შირვანის სახანოს დედაქალაქი (იხ. EI, IV, 412; აგრეთვე: В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда X-XI веков, გვ. 30, 38, 106-107, 118, 164, 172 და სხვ.).

6. ა ლ კ ა ს მ ი რ ზ ა — ფეჩევი (I, 267-288) ალკას მირზაზე მოგვითხრობს 954 (1547-1548) წლის ამბებში: შაჰ-თამაზის უმცროსი ძმა, რომელიც შირვანის მმართველი (ვალე) იყო. ზოგი მისი მოქმედება შაჰ თამაზის სურვილების საწინააღმდეგო იყო და ამიტომ, როცა გაიგო, რომ მან ჯარი დაძრა შირვანისაკენ, ალკასი თავისი ამაღლის რამდენიმე წევრთან ერთად გაიქცა და შირვანის სამფლობელო დატოვა. ყვიჩაყთა ველის გავლით ის ჩავიდა ყირიმს, საიდანაც გაემგზავრა ოსმალეთში და ბოსფორში ამოყო თავისულთანმა ალკასი დიდი ზეიმითა და პატივით მიიღო, ძალიან უხვად დასახუქრა, როგორც ოქრო-ვერცხლით, ისე ყოველგვარი სამოსლითა და საპატიო ხალათებით. ალკას მირზამ შემდეგ დაიწყო საჩივარი თავის ძმაზე და ფაღლიშაჰი შაჰ-თამაზთან სალაშქროდ წააქეზა.

ჯალე ეფენდი წერს, ამბობს ფეჩევი, რომ მარტო სულთნის მეუღლის მიერ ნაჩუქარი საქონლის ღირებულება 10.000 ოქრომდე იქნებოდაო. (ფეჩევენს ჯალე ეფენდი, ცხადია, ცნობილი თურქი ისტორიკოსი, „ნუსრეთნამეს“ ავტორია, რომელიც 1599 წ. გარდაიცვალა). საინტერესოა, რომ ფეჩევენს საკმაოდ დაწვრილებით აქვს ჩამოთვლილი ალკასისადმი მიროთმეული საჩუქრები, რომელიც ძლიერ მრავალფეროვანია და ძვირფასიანი; და ბილოს შენიშნავს, რომ ასეთი ოდენობისა და ხარისხის საჩუქარი თვით ფაღლიშაჰისათვისაც იქნებოდა საკადრისიო. ფეჩევენ ამასთანავე ერთად ამბობს, რომ ეს იყო გაუმართლებელი ხარჯი, გაღებული იმ კაცზე, რომელიც აქ მოვიდა არა სუნიტების ხათრით, არამედ თავისი თავის გადასარჩენად.

გაცემულ იქნა ბრძანება ლაშქრობისათვის გასამგზავრებლად. ალკასი რამდენიმე დღით ადრე გააგზავნეს. ულამა ფაშა, რომელიც

ყიზილბაშთა ტერიტორიაზე დიდხანს იყო ნამყოფი, ძლიერ საზრი-
ანი და მოხერხებული კაცი იყო, ბოსნიაში ვაღნის თანამდებობი-
საგან გაათავისუფლეს, დაუნიშნეს ალქანის ლაღანდ, უბოდეს არზ-
რუმის ვილნიეთი და თან გააყოლეს მას. ალქანს მირზაზე იხ. აგრეთ-
თვე: И. П. Петрушевский, Азербайджан в XVI-XVII веках в
„Сборнике статей по истории Азербайджана“, 266-267; В. Ф.
Минорский, История Ширвана и Дербенда X-XI веков, мос-
კოვი, 1963, გვ. 174; *سلسله جلیلی*, II, 295.

7. არფალიკი (თურქ. arpa ქერი + აფიქსი lik, arpalık—
ქერისა, საქერო) აქ ნიშნავს ქერის ფულს. არფალიკი ფეოდა-
ლური სისტემის დროინდელი ტერმინია და ეწოდება იმ ადგილ-
მამულს, რომელიც ებოდებოდათ ლაშქრობაში ცხენოსანი ჯარით
მონაწილე სიფაჰნებსა და სხვა დიდ მოხელეებს, როგორც დამა-
ტებითი შემოსავლის წყარო ცხენების გამოსაკვები ქერის საფასუ-
რის სახით. შემდეგში საარფალიკო მამულის შემოსავალი, ნაღდად
ზუ ნატურით, ეძლეოდათ დამსახურებულ სახელმწიფო მოღვაწე-
ებსა და მაჰმადიანთა სწავლულებს—ულემებს (ულემა), უკვე რო-
გორც საცხოვრებელი სარჩო, ულუფა. ქართულ წყაროებში არფა-
ლიკის შესატყვისი „სარჩო“ უნდა იყოს. ეგნატაშვილი ბე-
რის „ახალი ქართლის ცხოვრებაში“, მაგალითად, ნათქვამია: „და
მიშინ გაუგზავნა ბატონმა თეიმურაზ ხონთქარსა კაცი, შეეხვეწა და
სთხოვა სარჩო. ზხონთქარმა სხვა ველარა გააწყო რა და მისცა
გონიასა და ახალციხესა და გარეშემო მისსა მამული სარჩოდ“
(ხაზი ჩვენია. იხ. „ახალი ქართლის ცხოვრება“ აკად. ივ. ჯავახი-
შვილის რედაქციით, გვ. 145₁₉₋₂₃). ან კიდევ, ხონთქარმა იბრაჰიმმა
„მოსცა სარჩოდ სანჯახები“ (იქვე, გვ. 147₁₄₋₁₅). ი. თბილელსაც
აქვს ამის შესახებ: „სხვაც გვიბოძა მამულები, სარჩო—კარგი
სანჯახები“ (დიდმოურავიანი, გ. ლეონიდის რედაქციით, გვ. 58,
429) და სხვაგან. არფალიკზე უფრო დაწვრილებით იხ. EI-ში
E. Giese-ს წერილი, ტ. I, გვ. 477; M. Z. Pakalın, Osmanlı tarih
deyimleri ve terimleri sözlüğü, I, გვ. 84-87.

8. ყიზილბაშ-ი —თურქული კომპოზიტი (kızıl—წითელი
და baş—თავი); ნიშნავს „წითელთავ“-ს. ასეთი სახელი შეერქვა
ირანის სეფიანთა შაჰების ქვეშევრდომებსა და, უმთავრესად მაინც,
ჯარებს, რომელნიც წითელი ფერის თავსაბურავს ატარებდნენ.
ზოგიერთი თურქი ისტორიკოსი, მაგალითად, მუსტაფა ნაჰმან
(გარდაიც. 1716 წ.) kızılbaş-ის ნაცვლად ხმარობს sürh-i ser-ს³,

³ M. N. Özün, Edebiyat ve teşkid sözlüğü. ანკარა, 1954, გვ. 162.

რაც სპარსულად იმავე წითელთავას ნიშნავს (سرخ წითელი², ხოლო سر თავი³). შემდეგში ყიზილბაშ-ი საერთოდ შეერქვა უკვე ყველა შიიტური გაგების ისლამის მალიარებელს (მონა-ელთა სექტას)⁴.

9. ლაღა მუსტაფა ფაშა. თვით იბრ. ფეჩევენს საინტერესო ბიოგრაფიული ცნობები აქვს ლაღა ფაშაზე თავის „თარახ“-ში: იგი ბოსნიელი სოკოლოვების გვარიდანაა, ძმაა ვეზირი ხუსრეფ (ხოსრო) ფაშისა. შემდეგ აღნიშნულია, რომ პირადი ნიჭის წყალობით მან გაიკვლია გზა სასახლეში ჯერ მინარხობისა, შემდეგ კი ჩაშნაგირბაშის თანამდებობის მისაღებად (სასახლეში საკულისინარიო საქმეთა უფროსი). შემდეგ სანჯაყბეგობა მიიღო და მერე ფადიშაჰთან ლაღას თანამდებობაზე აიყვანეს და სელიმ უფლისწულის აღზრდა მიანდევს. ფეჩევენ ამბობს, რომ ლაღა ფაშა ამის შემდეგ დიდი ხრიკებისა და ფანდების ქსელს აბამდა სასახლეში, ცდილობდა ტახტი მის აღზრდილს სელიმს რგებოდა და არავითარ შემთხვევაში სხვას არა. დარწმუნებული იყო, რომ, თუ ამას მიაღწევდა, დიდგვირობის თანამდებობა მას არ აცდებოდა. მაგრამ „ხარბს მოაკლდესო“ ნათქვამია და მასაც ამ თვალსაზრისით ცხოვრებამ არ გაუმართლა. შემდეგ ლაღა ფაშა რიგ-რიგობით ვანის, არზრუმის, პალაბის (=ალეპო), შემდეგ (8 წელიწადს) დამასკოს ბეგლარბეგი იყო. მან ვეზირობის წოდება მიიღო და კვიპროსის დასაპყრობად გაგზავნილი ლაშქრის სარდლად დაინიშნა. ლაღა ფაშა ხელმძღვანელობდა ირანელებთან ლაშქრობებს. არც ერთ სარდალს არ მიუყენებია ყიზილბაშთათვის იმდენი ვნება, რამდენიც ლაღა ფაშამ⁵.

სიჯილ-ი რუმან-ის ავტორი მ. სურეჟაჰან ი. ფეჩევენს გარდა სხვა წყაროებიც აქვს გამოყენებული და ზოგ რამეში ავსებს ფეჩევენს ცნობებს:

მუსტაფა ფაშა, მეტსახელები: ლაღა, ყარა—ბოსნიელი სოკოლოვიჩების გვარეულობიდანაა. სასახლეში მას მიენდო უფლისწულსულთან სელიმის აღზრდა, მისი ლალობა (აქედანაა ქართულ წყაროებში, რომ მარტივად ლაღა ფაშად იხსენიება). ამდროს ვეზირის წოდების მინიჭებას რომ ელოდა, გაგზავნილ იქნა ყარაფუზლას

² H. Зәринәзадә, Фарс дилиндә азәрбајҗан сөзләри (Сәфәвиләр дөврү, Баქო, 1962, გვ. 357-358.

³ იხ. ىجوى خاىس, I, გვ. 442 და II, გვ. 20.

სანჯაყბეგად. შემდეგ თემეშვარის ბეგლარბეგობა მიიღო. შემდეგ რიგრიგობით მან მიიღო ჯერ ვანის, არზრუმისა და შემდეგ ალექსანდროპოლის ვალის თანამდებობა. შემდეგ რვა წელიწადს დამასკოს ვალნი იყო. შემდეგ ვეზირის რანგით იემენის სარდლად დაინიშნა. მიიღო მეექვსე რანგის ვეზირის წოდება. დაინიშნა კვიპროსის ლაშქრის სარდლად. ირანთან ომებშიც სარდლად ეგ იყო. შემდეგ მეორე ვეზირის წოდება მიიღო და 988 წლის ჯუმად-ლ-ახირის ხუთში ან, შეიძლება, ოცდასამ რიცხვში (= 1580 წ. 18. VII, ან 5. VIII.) გარდაიცვალა. ელშობის ჯამეს ეზოშია დასაფლავებული (სტამბოლში). რუსთამ და მეჰმედ სოკოლლი ფაშებს ძლიერ ეშინოდათ მისი ოინებისა. ფარჰად ფაშის შვილები მისი გერები არიან⁶.

ლალ მუსტაფა ფაშის სამხედრო და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობისა და მისი ბიოგრაფიის შესახებ ბევრი ცნობა აქვს ცნობილ ორიენტალისტს იოსებ ჰამერს თავის „ოსმალეთის იმპერიის ისტორიის“ II ტომში⁷. საინტერესოა ლალ მუსტაფა ფაშაზე აგრეთვე აზრი აკად. ე. თაყაიშვილისა, რომელიც შემდეგს წერს: „XVI საუკუნეში სპარსელები და ოსმალები სამკედრო-სასიციოცხოვრებლად ებრძოდნენ ერთმანეთს სამცხე-საათაბაგოს დასაპყრობად. სპარსეთში ამ დროს მთავრობდნენ შაჰ თამაზი და (შემდეგ) ხუდაბანდა, ოსმალეთში კი სულეიმან დიდი, შემდეგ სელიმ მეორე და ბოლოს მურად მესამე, რომელსაც ჰყავდა შესანიშნავი სარდალი ლალ ფაშა. ეს ლალ ფაშა 1578 წ. საქართველოში მოვიდა დიდი ჯარით, საქართველოს მთავრებმა ბრძოლა ვერ გაუწიეს და დამორჩილება ამჯობინეს“⁸. უნგრელმა ისტორიკოსმა პროფ. ლ. ფეკეტემ დაბეჭდა სიძველეთის დამწერლობით შესრულებული და სტამბოლის თოფკათის სასახლის მუზეუმში დაცული ერთი დოკუმენტი, რომელიც ლალ ფაშას განეკუთვნება და შეიცავს საყურადღებო ცნობებს ამ მხედართმთავარზე⁹.

თურქეთის საისტორიო საზოგადოების ორგანოში თურქმა მეცნიერმა შერაფეთინ თურანმა 1958 წ. დაბეჭდა დიდი გამოკვლევა ლალ მუსტაფა ფაშაზე სათაურით: „შენიშვნები და დოკუ-

⁶ სიჯილ-ი 'ოსმან' IV, 377.

⁷ J. v. Hammer, GOR, II, გვ. 472-503.

⁸ სამი ისტორიული ქრონიკა, გამოცემული ე. თაყაიშვილის მიერ. თბილისი, 1890, გვ. 129-130.

⁹ I. Fekete, Die Siyaqat-Schrift in der türkischen Finanzverwaltung, I, ბუდაპეშტი, 1955, გვ. 394.

მენტები ლაღლ მუხტათჲ ფაშის შესახებ¹⁰. ავტორი საკმაოდ ვრცლად განიხილავს ლაღლ ფაშის მოღვაწეობას, მოჰყავს მრავალი დოკუმენტური¹¹ და ნარატიული ხასიათის მასალა და საინტერესო განზოგადოებები აქვს. პირველ თავში მოთხრობილია მუხტათჲ ფაშის ლაღობა და ამ დროს მისი როლი სულთნის ტახტის დასაკავებლად უფლისწულთა შორის გაჩაღებულ კიდილში. მეორე თავში განხილულია ლაღლ ფაშის სანჯაყბეგობისა და სხვადასხვა ადგილას მისი ბეგლარბეგობის ამბები. შემდეგ, მესამე თავში ლაღლ პარაკია მისთვის ვეზირის წოდების მინიჭებისა და იემენში ლაღლ-რობის დროს სარღობაზე. მეოთხე თავში განხილულია ლაღლ ფაშის გაღაშქრება კვიპროსის დასაპყრობად. მეხუთე და უკანასკნელ თავში ავტორი გვიყვება ლაღლ ფაშის ირანში გაღაშქრებაზე. ამ გაღაშქრების ცენტრალური მომენტი—ეს არის 1578 წელს საქართველოში, ჩიღდირის ველზე მომხდარი დიდი ხოცვა-ჟლეტა ოსმალებსა და ირანელებს შორის. გაიმარჯვეს ოსმალებმა, რომლებიც აქედან გაემართნენ თბილისისაკენ, ადვილად აიღეს იგი და შემდეგ შეესივნენ შირვანს¹².

ლაღლ ფაშის „მოღვაწეობა“ საქართველოში ქართული მატია-ნის მიხედვით: (ლაღლ ფაშამ) „ამოწყვიტა სამცხე“, „მოადგამგელციხეს“, „მუხრანს დაღა“, „გორი გაამაგრა“, „მას გადასცა დაუთხანმა ქართლის ციხენი“, „მან კარი აღაშენა“¹³. შდრ. აგრეთვე: ქსა ორას სამოცდა ექვსა ლაღლ-ფაშა გამოვიდა, რომელი არს ლაღლ გამზრდელი ხუანტქრისა¹⁴.

9. ყაზავათი ← არაბ. *قزاق* — მუსლიმთა საღვთო ომი (შდრ. ქართულში ყაზავათ—ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, I, თბ., 1948, გვ. 515).

10. არნაბუდი — იგივე არნაუდი, არნაუტი. თურქულ წყაროებში და თანამედროვე თურქეთშიც ბალკანეთის ალბანელები არნაუდების სახელით არიან ცნობილი. ალბანეთს თურქები ედა-

¹⁰ Dr. Şerafettin Turan, Lala Mustafa Paşa hakkında notlar ve vesikalar. Türk Tarih Kurumu. Belleten. ტ. XXII, № 85-88. ანკარა, 1958, გვ. 551-593.

¹¹ იხ. იქვე სრულად მოტანილი ლაღლ ფაშისადმი მიწერილი ჭუქმები, გვ. 565, 566, 569 და სხვაგანაც.

¹² Turan, დასახ. ნაშრომი, გვ. 581-593.

¹³ ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი... პროფ. ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი, 1959. გვ. გვ. 372, 523, 524, 526, 372, 522, 523, 372, 525-

¹⁴ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, 277.

ზიან Arnautluk-ს, რაც სპარსულ დოს ნიშნავს. ამ შემთხვევაში ფეჩევი არსაუღდა ტომს არ უნდა გულისხმობდეს. ირკვევა, რომ ქართულში არსაუღი || არსაუღი საერთოდ ჯიუტსა და თავნება კაცს ნიშნავს. ცხინვალელი მოქალაქის გ. ჩოჩიევის მოწმობით არსაუღი ქართლში თავნება კაცს ნიშნავს. „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ არსაუღი ასეა განმარტებული: 1. ისტ. ბალკანეთის ალბანთა თურქული სახელწოდება, 2. გადატ. კერბი, ჯიუტი, უსაქიელო. (ზღრ. აგრეთვე: J. W. Redhouse, A Turkish and English Lexicon, სტამბოლი, 1921, გვ. 74).

11. მუსა ფაშა „ცნობილი ყოფილა ყიზილ აჰმედლუ-ს მეტსახელით. დაწინაურების შემდეგად ბეგი გახდა. შემდეგში არზრუმის ბეგლარბეგის თანამდებობა მიიღო. მაგ მხარეში სიდარბაისლე და პატივისცემა ვერ დაიმსახურა. მოკლულ იქნა საქართველოდან რომ მიემგზავრებოდა 951 წელს“ (= 1544-1545)¹⁵. ასეთია მუსა ფაშის შესახებ მოკლე ცნობები „სიჯილის“ ავტორისა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს ცნობა სავსებით ემთხვევა ი. ფეჩევის თხრობას იმ ნაწილში, სადაც ფეჩევი ამბობს: „რამდენიმე ათას წყევულ ქართველ არაბულთაგან არზრუმის ბეგლარბეგს მუსა ფაშას მოულოდნელად დაესხა თავს, მოჰკლა ისიც და ბევრი ისლამის სარწმუნოებისათვის მებრძოლი გმირიც“¹⁶. ოღონდ „სიჯილის“ ავტორის თარიღი განსხვავებულია ფეჩევის თარიღისაგან. ამ შემთხვევაში ფეჩევის თარიღი—955 წ. (1548-1549) უფრო სანდო უნდა იყოს, ვიდრე „სიჯილის“ 951 წელი (1544-1545).

12. ბარაკანის ციხე — იხ. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, III; ფარაკანი (ციხე-ქალაქი), გვ. 505, 568.

13. ბანაკის ციხე — იხ. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, III, გვ. 560 (ფანაკი).

14. სამალარის ციხე. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ის გეოგრაფიული პუნქტია, რომელიც „გურჯ. ვილ. დიდ დავთარში“ وصالو-დ არის აღწერილი. იხ. „დავთარი“, III, გვ. 355 (ზღრ. აგრეთვე იქვე, გვ. 413 და 594).

15. ახას ციხე — გვხვდება აგრეთვე „გურჯ. ვილაიეთის დიდ დავთარში“ (იხ. წ. III, გვ. 593-595). 1923 წ. გამოცემულ „საქ. ისტორიულ რუკაზე“ საურამეთის სამხრეთ-დასავლეთით აღნიშნულია ახას. „ვერობული რუსეთის სპეც. რუკაზე“ ახას იღბის დასავლეთითაა ნაჩვენები.

¹⁵ სიჯილ-ი..., IV, 521.

¹⁶ ი. ფეჩევი, იქვე, გვ. 26-27.

16. აჰმედ ფაშა, მეორე ვეზირი — სიჯილ-ის ავტორის მიხედვით „აჰმედ ფაშა ეროვნებით არნაუდია (ე. ი. ბალკანეთის ალბანელი). ცნობილი ყოფილა მეტსახელით ყარა; ძმა ცნობილი რუსთემ ფაშისა. აღზრდა მიიღო სულთნის სასახლეში. აქვე მიიღო კაფუჯი-ბაშის თანამდებობა, შემდეგ იანიჩართა ალა გახდა. 936 წ. (1529-1530) სამსახურიდან გათავისუფლდა. შემდეგ რუმელიის ბეგლარბეგობა მიიღო. შეერთო სულთნის ქალიშვილი ფატმა. შემდეგში ვეზირის რანგში იქნა აყვანილი და წლების განმავლობაში მეორე ვეზირის თანამდებობაზე იყო. 960 წ. (1552-1553) დიდ-ვეზირად დანიშნეს, ხოლო 962 წ. (=1554-1555) იგი მოჰკლეს¹⁷. ეს აჰმედ ფაშა ფეჩევესთანაც და „სიჯილ“-შიაც მეორე ვეზირის თანამდებობით იხსენიება¹⁸.

17. **يېنيچرى** — (თ. yeniçeri) ქართულში იანიჩარად, ან, უფრო ადრე, ძველი თურქული ფორმის დაცვით, ენგიჩარად (იანგიჩარად) არის გადმოსული. იანიჩარი სიტყვისიტყვით „ახალ ჯარს“ ნიშნავს. იანიჩარი — ოსმალეთის სახელმწიფოს რეგულარული ჯარია, სულთან ორხანის მიერ შექმნილი 1330 წელს და სულთან მაჰმუდის მიერ გაუქმებული 1826 წელს.

18. **غریب** — ღურება¹⁹ (← არაბ. غریب — მრავლ. غریب) ცხენოსანი ჯარი, რომელიც გამაჰმადიანებულ უცხოელთაგან იყო შედგენილი. **كجوب** — ბრლუქი — „ასეული“ — თურქ. **سپه** — ზმნიდან — **سپهسالار** „ვანაყოფი“, „ნაწილი“, „სამხედრო ნაწილი“ (შდრ. რუს. პოლკ-ი. ღურება²⁰ ჯარი ორი ბოლუქი იყო — აესარ (არაბ.) „მარცხენა“ და აემინ (არაბ.) „მარჯვენა“^{18a}.

19. თორთუმი — ჰამერის რუკაზე, მაგალითად, აღნიშნულია ოლთისის (Olti) სამხრეთით, თორთუმის წყალთან ახლო (Portum)¹⁹. დიდევხირი აჰმედ ფაშა საქართველოში რომ სალაშქროდ გამოემგზავრა, პირველად თორთუმის ციხე აიღო „დიდი ბრძოლით“ — ვახუშტის ყველგან თორთომი აქვს. თორთუმ ფორმა თურქულ წარმოთქმასთანაა შეგუებული (თურქულში, როგორც წესი, ღია ბაგისმიერი „ო“ პირველი მარცვლის შემდეგ ვიწრო „უ“-ს გვაძლევს): თორთომის მდინარე, თორთომის ხეობა, ციხე თორთომისა

¹⁷ სიჯილ-ი... I, 198.

¹⁸ იხ. აქვე, გვ. 27.

^{18a} GOR, II, 241; M. Z. P a k a l ı n, Osmanlı tarih-deyimleri ve terimleri sözlüğü, I, 680-681,

¹⁹ იხ. GOR, II, 304 და 305 გვერდებს შუა მართკუთხედიანი რუკა.

და სხვ²⁰. თორთუმ სახელი ამჟამადაც შენარჩუნებული აქვს ამ ძველ პუნქტს²¹. შამს-ედ-დინ სამინ-ს მიხედვით; თორთუმი არზრუმის ვილაიეთსა და სანჯაყში, მის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს და სახელი თორთუმის წყლისაგან დაერქვა. სამხრეთით უძვეეს თვით არზრუმში, სამხრეთ-აღმოსავლეთით—ბასიანი, დასავლეთით ბაიბურთი, ხოლო ჩრდილოეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით—საქართველო²².

20. ნიხახ-ი. ი. ფეჩენის „ისტორიის“ დაბეჭდილ ტექსტში ამ ადგილას წერია خاج, რაც ნიჯაჰ-ად შეიძლება წავიკითხოთ; მაგრამ ნიჯაჰ. ნაჯაჰ და მისთანათა სახელით სამხრეთ საქართველოში შესაბამის ტერიტორიაზე გეოგრაფიული პუნქტი არ არის. სამაგიეროდ სპეციალურ რუკებზე თორთომიდან აღმოსავლეთით, დაახლოებით თორთოჰსა და ოლთისს შუა აღნიშნულია პუნქტი Нихах-ი. ამდენად, ი. ფეჩენის ნიჯაჰ-ი კორექტურული შეცდომაა, ან ტექსტის გადამწერის მიერ უყურადღებობით აღრევა დიაკრიტიკული წერტილებისა—მეორე უ ასოზე ქვევით დაუსვამს წერტილი, ხოლო მეოთხე უ ასო კი უწერტილოდ დაუტოვებია. სწორი ფორმა, რომელიც რამდენიმე რუკით დასტურდება, იქნება خاج ნიხახ-ი²³. შამს-ედ-დინ სამინს ენციკლოპედიის მიხედვით ნიხახ-ი (خاج) თორთუმის ყადა-ს ცენტრია მდინარე თორთუმზე და არზრუმიდან ჩრდილო აღმოსავლეთით 45 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს²⁴. ნიხახის ციხის დასაპყრობად ოსმალთა ლაშქარი თორთომის ციხიდან წამოვიდა.

21. ლივანას ხეობა — ი. ფეჩენის დაბეჭდილ ტექსტში ليوانا دره—divana deresi „ლივანა“ს ხეობა წერია. როგორც ეს

²⁰ აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 140: შდრ. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 62, 63, 64.

²¹ იხ. რუსული რუკა 1:2.000.000 მასშტაბისა „Турция“, მოსკოვი, 1955 წ.

²² შამს-ედ-დინ სამინს قاموس الاعلام — III, გვ. 1685-1686.

²³ იხ. წიგნი: Карцов, Генерального штаба полковник. Заметки о курдах, თბილისი, 1896 და ამ წიგნისადმი დართული რუკა სათაურით: Расселение курдов, составлено Генерального штаба полковником Карцовым; იხ. აგრეთვე ე. წ. Специальная карта Европейской России—81, Кавказиის სამხრეთით არის Нихах-ი; შდრ. ჩვენი: იბრაჰიმ ფეჩენი საქართველოს შესახებ. „ენიშვი“-ს მონაბე, V-VI, თბილისი, 1940, გვ. 372.

²⁴ قاموس الاعلام, III, გვ. 1685-1686.

თავის დროზე აღინიშნა²⁵, მართალია აკად. ნ. ბერძენიშვილის შენიშვნა იმის შესახებ, რომ აქ ჩვენ უნდა გვეკონდეს ლივანა და არა დივანა. მართლაც არაბული ა და ქ ასოები ადვილად ირევა ერთმანეთში და, ამდენად, უეჭველად გვეჩვენება, რომ აქ ლაპარაკია ლივანაუს (اڤان-س) და არა اڤان-س ხეობაზე; ეს მით უფრო, რომ ლივანაუს სახელით ამ მიდამოებში არ არის გეოგრაფ. პუნქტი. ჰამერის რუკაზე მაქახლის (შეცდომით: Machitsch) სანჯაყის სამხრეთით და არტანუჯის (Ardenutsch) დასავლეთით აღნიშნულია — liwana-ს (ლივანა) სანჯაყი²⁶. ლაზისტანის საფაშოში, რომლის მთავარი ქალაქიც აქარის საქართველოსთან შემოერთების წინა წლებში ბათუმი იყო, ითვლებოდა 11 ყაზა; აქედან ერთი ლივანაუს ყაზა იყო²⁷.

22. ზენამეთ-ი, არაბ. زمامت — იყო სახელწოდება წყალობის სახით გაცემული იმ მიწის ნაკვეთისა, რომლის წლიური შემოსავალი შეადგენდა 20.000 ახჩიდან 90.999²⁸ ახჩას. ზენამეთის მფლობელ პირს ზანში ეწოდებოდა, ზანში-ი → زمي, მრავლ. ზუმენ სამაჯ — ზენამეთის მფლობელი.

23. მუშ-ი — ბითლისიდან ჩრდილო-დასავლეთით 65 კილომეტრის მანძილზე მდებარე ქალაქი (შ. სანში, კამუხს ალ-ალამ, ტ. VI, გვ. 4478).

24. ახლატი. ხლათ-ი — ვანის ტბის ჩრდილო-დასავლეთ ნაპირზე მდებარე ცნობილი ქალაქი (შ. სანში, კამუხს ალ-ალამ, I, 46: Памятники эпохи Руставели, გვ. 289).

25. ჩობან ქოფრუს — چوبان کوفرس (ჩობანის, ე. ი. მწყემსის ხიდი) იხსენიება დიდგვიზირის საქართველოს მიმართულებით გაგზავნის შესახებ ცნობაში. ამ ხიდის გავლის შემდეგ, ნათქვამია ცნობაში, ჰასან-ყალასთან ახლო დაბანაკდნენ. საფიქრებელია, რომ ეს ჩობან-ქოფრუს ის პუნქტია, რომელიც რუკაზე აღნიშნულია ჰასან კალა-ს (Хасан-кала) რამდენიმედ სამხრეთით М. Чобан-керпи-ს სახელწოდებით; (керпи ← თურქ. ხალხური kərpi). ამ პუნქტის ცოტა დასავლეთით Керпи кеи (თ. kərpi kəyü) სოფელია²⁸. ყველა. ეს პუნქტი მდებარეობს არზრუმის ჩრდილო-დასავლეთით და საქართველოს მიმართულებით.

²⁵ იხ. ჩვენი: იბრწინე ფჩივენი საქართველოს შესახებ. „ენიშკის მოამბე“, V-VI. თბილისი, 1940, გვ. 373.

²⁶ HÖR, II, რუკა 304-305 გვერდებს შუა.

²⁷ Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Аджаре, პეტერბურგი, 1878, გვ. 20.

²⁸ იხ. რუსული მსხვილმასშტაბიანი რუკა: Г. 9 — Виляет Эрзерум.

26. ჰასან კალა (حسن قلعاسي) — „როცა ჩობან-ქრფრუ გაიარეს და ჰასან-ყალასთან ახლო დაბანაკდნენ“... ჰასან კალა მდებარეობს არზრუმის აღმოსავლეთით; უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, არზრუმის ჩრდილო-აღმოსავლეთით. რუსულ რუკაზე ასეა აღნიშნული—Х а с а н-к а л а. А х а-ს სამხრეთითა და შრეც-ის ჩრდილოეთით²⁹. ვახუშტის მიხედვით ჰასან კალა ცველი ქართული პროვინციის ბასიანის ტერიტორიაზეა და ჰასან-კალა იდენტიფიცირებულია ქ. ბასიანთან: „ხოლო ოლთის-ნარიმანისა და იდის სამხრით არს... ბასიანი რახსისა ანუ არაზის სათავესა ზედა... პირველად ეწოდა ქალაქსა ამისსა ბასიანი... ხოლო აწ უწოდებენ მას ქალაქსა ასანყალას და არს საშუალ ბასიანისა, არაზის კიდესა ზედა, ჩრდილო კერძ, არა დიდი ქალაქი...“³⁰ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თურქეთის თანამედროვე რუკებზე ჰასან კალა არ ჩანს, არზრუმის აღმოსავლეთით კი წერია Пасинлер, რაც იგივე ბასიანია თურქული წარმოთქმით, ოღონდ მრავლობით რიცხვში (ალბათ, ბასიანი ორი ან მეტი იყო, ვთქვათ, ზემო და ქვემო ბასიანი). თურქეთის 1:3.000.000 მასშტაბიან რუსულ რუკაზე Pasinler-ის გარდა მის ჩრდილო-აღმოსავლეთით არის Pasin syfay-ც, რაც ქვემო ფასინს (ბასიანს) ნიშნავს³¹. ჰამერს Hasan kalasi-ც აქვს და Pasin-იც (=ბასიან-ი)³². პლ. იოსელიანსაც იდენტიფიცირებული აქვს ბასიანი და ჰასან-ყალა: ბასიანი (ჰასან-ყალა). იხ. მისი I'opoda... გვ. 38.

27. ფერჰანდ ფაშა — აღბანელია. სასახლის სამსახურში დაწინაურდა და კაფუჯი-ბაშიობა და მირაზხორობა მიიღო. შემდეგ იანიჩართა ალას თანამდებობაზე დაინიშნა. 992 წ. (=1584) სამსახურიდან წავიდა. შემდეგ რუმელიის ვალწ გახდა და შემდგომ კიდევ ირანზე გალაშქრებისას მთავარსარდლად დაინიშნა. სამსახურის გულმოდგინედ შესრულებისათვის ვებზრობა ებოძა. ირანელებთან წარმოებული ომი გამარჯვებით დაამთავრა და დიდი სახელი მოიხვეჭა. 999 წ. (=1590) სადრაზხამად დაინიშნა, რვა თვე-

²⁹ იხ რუსულ მსხვილმასშტაბიან რუკაზე—Г. 9. აგრეთვე რუკაზე: Спец. карта Европейской России—81.

³⁰ აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თ. ლომოურისა და ნ. ბეოქენიშვილის რედაქციით. თბ., 1941, გვ. 138 (შდო. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. II, თბ., 1948, გვ. 63).

³¹ იხ. 1949 წელს გამოცემული რუსული რუკა 1:1.000.000 მასშტაბისა. მოსკოვი.

³² ჰამერი, GOR, II, რუკა 304-სა და 305 გვერდებს შუა.

ში—1000 წლის დასაწყისში (=1591) სამსახურიდან განთავისუფლებულ იქნა. შემდეგ სადრანჯამის მოადგილის თანამდებობაზე დაინიშნა მეორე ვეზირის წოდებით. 1003 წლის პირველი ჯუმადის თვეში (=1595 წ. 12. I—10. II.) მეორედ დაინიშნა სადრანჯამის თანამდებობაზე. (ამავე წლის) შევევლის თვეში (=1595 წ. 9. VI—7. VII.) გადააყენეს და 1004 წ. (=1595-1596) გარდაიცვალა³³.

28. ლემდიე (عمادیه) — ვანის ვილაეტიში სანჯაყის ცენტრი იყო. ქ. ვანიდან სამხრეთით 150 კილომეტრის, ხოლო ქ. მოსულიდან ჩრდილოეთით 80 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს³⁴. მართლაც ეს პუნქტი—Имадийе II Имадия — აღნიშნულია რუკაზე ზუსტად მოსულთან ახლოს და მის ჩრდილოეთით და ვანიდან დაშორებით, მაგრამ მის სამხრეთით. ამჟამად ეს ქალაქი ერაყის ტერიტორიაზეა ქ. აკრის ჩრდილო-დასავლეთით³⁵.

29. თახთ-ი სულემან (تخت سليمان) სულემანის (=სოლომონის) ტახტი. ამ გეოგრაფიული სახელწოდების ადგილი ბევრგან არის დადასტურებული. „Мирза мой соопница мне, что трон во Соломона в Персии несколько. В числе их есть один между Рештом и Кавшином. Он расположен высоко в горах и пробираться туда могут только опытные горцы—настухи, хорошо знающие горные тропинки³⁶. Тахте-Сулейман (Тахт-и Сулейман)—горный массив в горах Эльбрус на С. Ирана. Вершина. Барир, или Аламкух...³⁷ თურქული ექვსტომიანი ენციკლოპედიის ავტორი შამს-ედ-დინ სამინ თახთ-ი სულემანს უჩვენებს აგრეთვე ავღანისტანის აღმოსავლეთით ინდოეთის საზღვარზე და შენიშნავს, რომ იგი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გაჭიმული სულემანის მთის უმაღლესი მწვერვალია³⁸. ასეთი სახელწოდების პუნქტი აზერბაიჯანშიც ყოფილა: Гандзақ, город в Азербайджане, отстоящий с развалинами Тахт-и Сулейман, на Запад от Зенд-

³³ სიჯილ-ი ოსმან... IV, 17.

³⁴ იხ. შამს-ედ-დინ სამინ-ის კამუს ალ-ა'ლამ, ტ. V, გვ. 3206.

³⁵ იხ. Карта Турции (масштаб 1:2.200.000), 1945 წ., აგრეთვე 1955 წლისა.

³⁶ Ю. Н. Марр, I. Добавление к статье „Тегеранские литературные впечатления“. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 99-თბილისი, 1962, გვ. 53.

³⁷ ВСЭ, II. გამოც., ტ. 42, გვ. 18.

³⁸ შამს-ედ-დინ სამინ, قاموس الاعلام III, სტამბოლი, 1891..

ჯანა³⁹. ი. ფეჩენოსთან მოხსენებული თახთ-ი სულემან-ი სადღაც: საქართველო-თურქეთის ისტორიულ საზღვრებთან ახლო უნდა ყოფილიყო. რუკებზე ვერ დაიძებნა.

30. ოლთისი⁴⁰—მიმერ ტაოში მდებარე ძველი ქართული ქალაქი. „ქალაქი ოლთისი გაშენებულია ორივე ნაპირზე ოლთისის წყლისა“⁴¹. „მოუვიდა კაცი პატრონს ყვარყვარეს, ოლთისს აღარ დააყენეს, აზრუმს მიიყუანეს“⁴². „ბექა ოლთისს დადგომილიყო“⁴³. და სხვ.

31. მეჭმედ ფაშა, ტაველი—ზოსნიელია. სოკოლის ე. ი. [როგორც თურქები თარგმნიან ამ საგვარეულოს სახელს], შევარდნიშვილთა საგვარეულოდან იყო. სულთნის სასახლეში მსახურობდა. გამოვიდა სასახლიდან კაფუჯიბაშიობის წოდებით. 953 წ. (1546-1547) დაინიშნა რუმელიის ვალის თანამდებობაზე, ხოლო შემდეგ ვეზრობა მიიღო და უფლისწული სელემის სიძე გახდა. შემდეგ სარდლად დაინიშნა. მეორე ვეზრის წოდება მიიღო 972 წლის ზნ-ლ-კანდეს თვეში (1565 წლის 31. V-29. VI.) სადრანზამი (პრემიერ-მინისტრი) გახდა. 987 წლის შაზანის თვეში (1579 წ. 23. IX—21. X.) მოჰკლეს. იყო ფრიად მორწმუნე, გონიერი და საზრიანი სახელმწიფო მოღვაწე, რომელმაც მთავრობის თამყდლომარეობა გადაუდგომლად გასწია სამი სულთნის დროს⁴⁴. მისი მეტსახელი არაბული كج نيشانغس გრძელს. მან განიზრახა ვოლგასა და დონს შორის არხის გათხრა და. ამრიგად, კასპიისა და აზოვის ზღვების ერთმანეთთან დაკავშირება, რასაც ოსმალთათვის ექნებოდა დიდი სამხედრო მნიშვნელობა. ეს საქმე წამოიწყეს კიდევაც. თუ როგორ წარიმართა ეს წამოწყება, მოთხრობილია აქვე: გვ. 31-33.

32. ითილი, ითილის წყალი—მდინარე ვოლგა.

33. ჩერქეზ კასიმ ბეგი — „სიჯილ-ი ოსმანნი“-ში უკვე ფაშად იხსენიება. წერია, რომ ის ჩერქეზია, საფინანსო უწყებებში მუშაობდა და მეორე რანგის დეფთერდარობა მიიღო. შემდეგ კა-

³⁹ Вопросы и решения Вардапета Анании Ширакца, армянского математика VII века. Издал и перевел Н. А. Орбели. Петроград, 1918, стр. 63.

⁴⁰ გურჯისტანის ვილნაჟეთის დიდი დავთარი, III, გვ. 595.

⁴¹ ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, ბარიზი, 1938, გვ. 46-47.

⁴² ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ქრონიკა, გვ. 106.

⁴³ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 526.

⁴⁴ სიჯილ-ი..., IV, 122-123.

ფაში იქნა დანიშნული პირველად ვალნის თანამდებობაზე. სოკოლი მეჰმედ ფაშასთან მსახურობდა, მონაწილეა ასტრახანზე გალაშქრებისა. კასპიისა და შავი ზღვის შემაერთებელი არხის მშენებლობას ხელმძღვანელობდა და იმ ხანებში გარდაიცვალა⁴⁵.

34. კათას სანჯაყი-კათა—შუა საუკუნეების ქალაქი ყირიმის ნახევარკუნძულზე, დღევანდელი ფეოდოსია⁴⁶.

34^a. ბალიკლადი და მენქუბი (غاسلق და منكب) ყირიმის მიწა-წყალზე მდებარე პუნქტებია. ბალაკლავა—ქალაქია, ბალაკლავის რაიონის ცენტრი ყირიმის ოლქში, შავი ზღვის ნაპირზე (БСЭ, II გამოცემა, ტ. 4, გვ. 102). ჰუსეინის „ბედაჲნ ულ-ვეჯაჲნ“-ის შენიშვნებში ბალაკლავა და მენქუბი ასე იხსენიება: „აზოვის დაპყრობა და გალაშქრება მენქუბზე (ბალაკლავაზე)“ (об. Бедаян ул.-века² и², Издание текста, введение и общая редакция А. С. Тверитиновой. Аннотированное оглавление и указатели Ю. А. Петросяна, I, მოსკოვი, 1961, გვ. 56). იხ. იქვე, „О завоевании крепости Менкюб“.

35. ალთიფარმაქ მეჰმედ — უსქუბიდანაა. ბაირამიეუს სექტის შეიხის ჯაფერ ბაბას მიმდევარი იყო. მან ღრმად შეისწავლა შარიჲთისა და სექტანტობის საკითხები. შემდეგ სტამბოლში ჩავიდა და ფათიჰის ჯამეში თეფსირებსა და ჰადისებს ასწავლიდა. აქიდან ეგვიპტეში გადავიდა და მანდაურ სწავლულებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. გარდაიცვალა 1623-1624 წ. სამივე (არაბულ, სპარსულ, თურქულ) ენას დაუფლებული იყო ისე, რომ ლექსების წერა შეეძლო ყველა ამ ენაზე. თეფსირებისა და ჰადისების შესახებ და ისტორიული ხასიათის ბევრი თხზულება დარჩა (Istanbul kütüphaneleri tarih-coğrafya yazmaları katalogları. ნაკვ. V, 1945, გვ. 391).

35^a. კასპიის ზღვა ფეჩვენსთან კულზუმის ზღვად იხსენიება. ამავე დროს მუსლიმურ წყაროებში კულზუმის ზღვად (بحر قزق) ცნობილია მეწამული (წითელი) ზღვა (بحر احمر) შდრ. Ал-Куздум—средневековый арабский порт на Красном море (греч. Klysma) юговосточнее Суеи в Суецком заливе. И. Ю. Крачковский, Географич. ср., III, 1954 გვ. 41). ირკვევა, რომ თურქული قزق—კულზუმი←ბერძ. Κλίσμα (შდრ. რუს. клизма, რყნა) ჩაკეტილ, დახურულ ზღვასაც ნიშნავს (საპირისპიროდ

⁴⁵ სიჯილი-ოსმან, IV, 48.

⁴⁶ იხ. EI, II, გვ. 660.

كمان-ისა, რომელიც ლია ზღვა და ოკენენა). ამდენად ცხადია; რომ კასპიის ზღვას, რომელსაც სხვა სახელებიც აქვს, კულ ზ უ მ ი ს ზღვაც რქმევია⁴⁶. (შლრ. ვ. ბართოლდი, EI, II, გვ. 604).

36. დერბენდი (სპ.) → ქართ. დარუბანდი, დარუბანდის კარი, არაბ. — ალ-ბაზ, [ბაზ-ალ-აბუვბ (ზქეთა-ბქე), ბაზ-ალ-ჰანდი (რკინის კარი), მონღ. — კახულგა, სამხ. — ჩორ, თურქ. — თემურ-კაფუ, დემურ-კაფუ (რკინის კარი) — ცნობილი ქალაქი დაღესტანში, კასპის სანაპიროზე⁴⁷.

37. ისქენდერ ორრქიანი — ალექსანდრე მაკედონელი.

37^a. ფერსახ-ი فرسخ — (სპ. فرسخ-ის არაბიზებული ფორმა) „ოთხი საათის სავლელი მანძილი, ე. ი. 5.000 მეტრის ჭიგრძე; ალაჯი, სამი მილი“ (შ. სამირუ კამუს-ულ-თურქი, 988).

38. თემური — იგულისხმება თემურ-ლენგი, რომელიც იყო გათურქებული მონღოლი ბარლასის ტომისა; თემურ-ლენგი პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა XIV ს-ის II ნახევარში; გარდაიცვალა 1405 წ.⁴⁸.

39. თოხთამიში — ოქროს ურდოს ხანის, ზინგის-ხანის შთამომავალი; გარდაიცვალა 1406 წ. დაბადების წელი უცნობია⁴⁹⁻⁵⁰⁻⁵¹.

40. აზაკი — რუსულად აზოვი, ქალაქი მდ. დონის მუხე ზღვაში შესართავთან.

41. სარაი-Saray — ალბათ ივარაუდება ოქროს ურდოს დედაქალაქი, რომელიც XIII საუკ. იყო გაშენებული ვოლგის ქვემო წელში. ჰაჯჯი თარხანი — თანამედროვე ასტრახანი⁵². აკად. ვ. ბართოლდი თანამედროვე ასტრახანს აიგივებს ჰაჯჯი-თარხანთან, მაგრამ ი. ფეჩენ ცალ-ცალკე ახსენებს ادراراي — ადარაპანსა

⁴⁶ იხ. ش سامی — قاموس ترکی، გვ. 1079; شاماني-س-وفيق پاشا, გვ. 1283; И. Х. Дворецкий, Древнепереческо-русский сл., Москва, 1958, გვ. 956.

⁴⁷ EI, I, 979-985; В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда. X-XI веков, М., 1963, стр. 119.

⁴⁸ А. Ю. Якубовский, Тимур (опыт краткой характеристики), Вопросы истории, № 8-9, 1946, გვ. 49-52. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან პროფ. ვ. გაბაშვილის რედაქციით, 1957, თბ., 215-225.

⁴⁹ Греков В. Д. и Якубовский А. Ю., Золотая Орда и ее падение, 1950.

⁵⁰ Насопов А. Н., Монголы и Русь. მ.-ლენინგრადი, 1940.

⁵¹ Тизенгаузен В. Г., Сборник материалов, относящихся к истории Золотой Орды, ტ. 1-2; პეტერბურგი, მოსკოვი-ლენინგრადი, 1884-1941.

⁵² იხ. EI, I, გვ. 513.

(რაც ასტრახანი უნდა იყოს) და حاجی ترخان — ჰაჯჯინ-თარხანს. (იხ. ფეჩენის ისტორია, I, 472). ყარასუ (Kara-su “შავი წყალი”) — ეს უნდა იყოს ყირიმში მდებარე ქალაქი Karasybaazar, რომელიც ახლა Белогорск-ის სახელითაა ცნობილი (БСЭ, II გამ., ტ. 20, 139 და ტ. 4, 455.).

42. აკქერმანი — ბესარაბიის ქალაქი, აკქერმანი აკად. ბართოლდით ნიშნავს „თეთრ ციხეს“⁵³.

42^a. ვალახია, اقلق|اولاخ — რუმინეთის ძველი სახელი. ხშირად გვხვდება ბულდან-თან, რაც მოლდავეთია — بغدان|اولاق ქართულშიც გვხვდება: „ივლახ-ბულდანი წაართვეს ხონთქარს“ (ე. ი. რუმინეთი და მოლდავეთი) (იხ. ბესიკი. თხზულებანი. აღ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით. თბილისი, 1962, გვ. 136).

43. ხუსრეგ (ხოსრო) ფაშაზე სიჯილ-ი ოსმანში ასეთი ცნობებია მოცემული: „ხუსრეგ ფაშას მეტსახელად ქოსას უწოდებდნენ. ჯერ 960 წ. (=1552-1553 წ.) იყო ზინთაბის ბეგი, ხოლო შემდეგ ბეგლარბეგი. 970 წ. (=1562-1563) უჭირავს დამასკოს ვალის თანამდებობა, საიდანაც ის გადადგა 971 წ. (=1563-1563). 975 წ. (=1567-1568) დიარბექირის ვალის თანამდებობაზე დაინიშნა. 978 წ. (=1570-1571) ამ თანამდებობიდანაც გადადგა, შემდეგშიც ხშირად იცვლიდა ვილაფეთებს; ეკავა ვალის თანამდებობა არზრუმში 988 წ. (=1580-1581), მეორეჯერ დიარბექირში 990 წ. (=1582), ალეპოში 992 წ. (=1584), ხოლო 994 წ. (=1585-1586 წ.) მას ვხედავთ ვანის ვალის თანამდებობაზე. 995 წ. (=1586-1587) მოკლული იქნა ირანელებთან ომის დროს“. ი. ფეჩენსთან ხუსრეგ ფაშა ვანის ბეგლარბეგად მოხსენებულია 985 წ. (=1577-1578), ხოლო სიჯილ-ის მიხედვით კი ამ თანამდებობაზე ის ინიშნება 994 წ. (=1585-1586 წწ.). ვფიქრობთ, რომ ი. ფეჩენის თარიღი უფრო სწორია (სიჯილ-ი... II, 273).

44. მეჰმედ ხუდაბენ დე — სეფიანთა ირანის შაჰი 1578-1587 წწ-ში.

45. მეჰმედ ფაშა, „მეტსახელები: ემირ, შერბფ. ყიზილბაშების სეფილითაგანი იყო. ოსმალეთს ჩამოსვლისას საფინანსო უწყების სამსახურში შევიდა. დაწინაურების შემდეგ დეფთერდარიობა მიიღო. 1000 წ. (1591-1592) მთავარი დეფთერდარი გახდა. მომდევნო წელს სამსახურიდან გადააყენეს. 1003 წლის ზნ-ლ-კა-დას თვეში (=1595 წ. 8. VII—6. VIII.). მეორეჯერ დეფთერდარად დაინიშნა და 1004 წ. (=1595-1596) კვლავ გაათავისუფლეს

⁵³ El, I, 237.

სამსახურიდან. შემდეგში მან მიიღო დანიშვნა ეგვიპტეში **ვალს** თანამდებობაზე. ორი წლისა და ორი თვის შემდეგ, 1006 წლის **ზ-ლ-კადას** თვეში (=1598 წ. 5. VI-4. VII:) კვლავ გადააყენეს სამსახურიდან. 1008 წ. (1599-1600) ეგვიპტის რანგით კუბენიშნი გახდა. 1010 წ. (=1601-1602) ის დაინიშნა ერევნის ვალს თანამდებობაზე. სპარსელებმა 1012 წ. (=1603-1604) ერევანს ალყა შემოარტყეს და ერევნის ვალმა ამ ალყას ერთ წელიწადს გაუწია წინააღმდეგობა და კარგი სახელი გაითქვა. 1013 წ. (=1604-1605) ტყვედ ჩაუვარდა სპარსელებს და იქვე გარდაიცვალა⁵⁴. ი. ფეჩენსა და მ. სურეჯანს ცნობები მთლად არ ემთხვევა ერთმანეთს: ფეჩენს „თარნიხ“-ის მიხედვით მეჭმედ ფაშა ექვს თვეს იყო ალყაშემორტყმული, ხოლო „სიჯილ“-ში ვკითხულობთ „მთელ წელიწადს“. „სიჯილ“-ში არც ისაა ნათქვამი, რომ ეს მეჭმედ ფაშა სარი აჰმედ ფაშის (იხ. აქვე) ქეთხულან იყო. ფეჩენს მეჭმედ ფაშის ზემოხსენებული მეტსახელები არ აქვს მოტანილი. ჩვენს ხელთ არსებული ლიტერატურის მიხედვით ამჟამად ძნელია საბოლოოდ დადგინდეს ერთი და იგივე პირია, თუ არა „სიჯილ-ი“სა და ფეჩენს მეჭმედი.

46. სულთან სულეიმანი — ოსმალთა სულთანი (1520-1566 წწ.).

47. თიმარი იყო ბოძების წესით ვაცემული მამული, რომლის წლიური შემოსავალი შეადგენდა 3000 ახჩიდან 19,999 ახჩას.

48. თოქმეჟ ხანი — ყიზილბაშთა ჯარის მთავარსარდალი. (იხ. GOR, ტ. II, გვ. 480).

49. ხუსრევ (ხოსრო) ფაშა. „ბოსნიელია. სულთნის სასახლეში დაწინაურებით ჯერ სამეფო ჩოხადარი, ხოლო შემდეგ სილაჰდარი გახდა. 1033 წ. (=1623-1624) მიიღო იანიჩართა ალას თანამდებობა და 1036 წ. (=1626-1627) ამ სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ დიარბექირის ვალს თანამდებობაზე დაინიშნა, შემდეგ იზმირში გაიგზავნა და 1037 წლის შაბანის თვეში (=1628 წ. 6. IV.-4. V.) საღრჯანბად დაინიშნა და მთავარსარდალი გახდა. ბაღდადის ლაშქრობაში ვერაფერი საქმე ვერ გააკეთა. 1040 წლის რები-ულ-ფეველის თვეში (=1630 წ. 8. X.-6. XI.) გაათავისუფლეს შემდეგ თოქათს ჩავიდა და იქ შაბანის თვის 28-ს (=1631 წ. 2. IV.) გარდაიცვალა“⁵⁵.

50. მირლივან (میرلوان) — იგივეა, რაც სანჯაყ-ბეგი, საღროშოს მეთაური.

⁵⁴ სიჯილ-ი... IV, 139-140.

⁵⁵ სიჯილ-ი..., II, 274.

50. ჩილდირ-ზე იხ. „დავთარი“, III, გვ. 379 და შემდ. სიტყვის ეტიმოლოგიაზე იხ. ჩვენი: სამცხე-საათაბაგოს ტოპონიმოიკისა და ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი, „თბ. სახელმწ. უნი-ტის შრომები“, 41, გვ. 184.

51. ველი და ველისციხე (არტაანისა). აქ დაბეჭდილია ასე „ველენ“, მაგრამ ეს უთუოდ კორექტურული ან გადამწერის შეცდომაა. Hammer-ის „Geschichte“-ს თურქულ თარგმანში სათანადო ადგილას სქოლიოში მთარგმნელს მოჰყავს შემოკლებულად ფეჩევენის ისტორიიდან მოთხრობა ჩილდირის ბრძოლის შესახებ და აქ ასე კი არაა, ასე-ა. როგორც ჩანს, მთარგმნელს—علاء محمد-ს ფეჩევის ისტორიის ეს ადგილი შეუმოწმებია რომელიღაც ხელნაწერთან⁵⁶. ასე დაახლოვებით არტაანსა და ჩილდირის ტბას შუა რუსულ რუკაზე Вель, ხოლო ქართულებზე ველი-ს სახელით ნაჩვენები ადგილია. ე. თაყაიშვილის ცნობით, სოფ. ველი მდებარეობს ერუშეთიდან 10 ვერსის მანძილზე სამხრეთისაკენ, მტკვრის ნაპირზე. მისივე აზრით, ველი (=სწორე, ვაკე ადგილი) ეწოდა ამ სოფელს იმიტომ, რომ არტაანის ეს ზონა სწორია. ველთან ყოფილა პირველხარისხოვანი ციხე, რომელიც ქაჯისციხესა და მგელციხესთან ერთად დიდ როლს ასრულებდა სამცხე-საათაბაგოს ისტორიაში. ველისციხე სოფლის დასავლეთითაა, მტკვრის მალალსა და კლდოვან ნაპირზე⁵⁷. ი. ფეჩევი მოგვითხრობს, რომ არტაანიდან დაძრული ოსმალთა ჯარი პირველად სწორედ ამ ველისციხეს მოადგა და დაიპყრო იგი 1578 წ. 9. VIII-ს. ველი ცნობილი ისტორიული პუნქტია: „გურგაქ შემოგუშწყო და ველი მოგუცა“, „ქაჯის ციხე, ველი და თეთრ-ციხე წაგუართუს ურუმთა“⁵⁸; ჰამერის მიერ თურქული წყაროებიდან შეცდომით ამოწერილი Wele-ც (die Schlösser Wele...) ⁵⁹ სწორი არ არის და უნდა გასწორდეს ველ-ად.

52. დერვინ შაშა—ბეგობის დროს დიდი დამსახურება გამოიჩინა, 976 წ. (=1568-1569) დამასკოს, ხოლო 978 წ. (=1570-1571) ალექსანდრიის ბეგლბეგის თანამდებობაზე იყო. 983 წელს (=1575-

⁵⁶ دولت عثمانیه تاریخی VII, გვ. 62.

⁵⁷ ე. თაყაიშვილი, Материалы по археологии Кавказа, XII, გვ. VIII, 70, 71.

⁵⁸ სამი ისტორიული ქრონიკა, გამოცემული ექ. თაყაიშვილის მიერ, თბილისი, 1890, გვ. 93, 98; შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 273; უფრო დაწვრილებითი ცნობები ველზე იხ. გურჯისტანის ვილაჟეთის დიდი დავთარი, III, თბილისი, 1958, გვ. 531-532.

⁵⁹ GOR, II, 431.

1576) ის დაინიშნა დიარბეჭირის ვაღის თანამდებობაზე. 985 წელს (=1577-1578) გათავისუფლებულ იქნა სამსახურიდან და შემდეგ გარდაიცვალა⁶⁰. თვით იბრ. ფეჩევის თავის „ისტორიაში“ საინტერესო მონაცემები აქვს დერვინზე ფაშაზე: „წარმოშობით ბოსნიელი სოკოლოვების, ე. ი. შაჰინოღლუების (ქ. = „შევარდნაძეები“) გვარეულობიდან იყო. «ამ ცოდვილი მწირის» [ე. ი., ფეჩევის] დედის ღვიძლი ძმა იყო. ამ დიდებული გვარეულობიდან გამოვიდა ორი დიდგვნირი, ხუთი ჯიდევე ვეზირის წოდების მქონე სახელმწიფო მოღვაწე, ხოლო ათამდე ბეგლარბეგის თანამდებობის მქონე სახელმწიფო კაცი. ბეგები და სხვა წარჩინებულები ჩვენს მიერ აღრიცხული არ არის. ღლიერ გაბედული და გულადი, ცხენოსნობაში დიდად დახელოვნებული იყო⁶¹».

53. ლაშინი მაჰმუდ ჩელები (1471-1531). „შვილია ბაჰაზიდ II-ის ხაზინადრის ბრუსელი ნაკკაშ ალნაზედ ოსმან ეფენდისა. ლაშინი მურიდი იყო ერთი სუფისტი ნაკიშბენდრელი შეიხისა, რომელიც ბუხარიდან იყო გამოსული. ცნობილი პოეტი და მთარგმნელი (განსაკუთრებით სპარსულიდან), ანეკდოტების კრებულის შემდგენელი, რუმის, ე. ი. ანატოლიის ჯამბ-დ ცნობილი“⁶².

54. ოსმან ფაშა, მეტსახელი გრუნლ (ქ. „გული“). ფეჩევისთან მოტანილია შამის სახელიც—ოზთემურ ფაშის ძე. „სიჯილ-ის“ ავტორიც ოზთემურ ფაშის ძედ იხსენიებს. „სასახლეში დაწინაურდა; 976 წლისათვის (=1568-1569) სასახლის მთავარი მეკარისა და უმცროსი მირზახორის თანამდებობებზე მუშაობდა, 975 წელს (=1667-1668) იემენის ბეგლარბეგობა, ხოლო 979 წ. (=1571-1572) დიარბეჭირის ვაღის თანამდებობა მიიღო და 983 წ. (=1575-1576) სამსახურიდან გათავისუფლდა. ამავე დროს დანიშნულ იქნა სარდლად ირანელებთან ლაშქრობაში. სარდლობის თანამდებობაზე ყოფნის დროს მან ოსმალთა სახელმწიფოს გაუწია უდიდესი სამსახური და ძლიერ გაითქვა სახელი. 992 წელს (=1584) სადრაჩხაში (მთავრობის თავმჯდომარე) გახდა. 993 წ. (=1585) გარდაიცვალა

⁶⁰ სიჯილ-ი 'ოსმან, II, 328.

⁶¹ თა'რინ-ი ფეჩევი, II, 41-42.

⁶² სიჯილ-ი 'ოსმან, IV, 86; Акад. В. А. Гордлевский, Избранные сочинения, II, Москва, 1961, გვ. 344; А. Крымский, История Турции и ее литературы от расцвета до начала упадка. Москва, 1910, гв. 113-116; В. Д. Смирнов, Очерк истории турецкой литературы. Всеобщая история литературы, IV, гв. 477.

თავროზში⁶³. ი. ფეჩენე მას ახასიათებს, როგორც „მამაც ხმლის-პატრონსა და კეთილი ბუნების ვეზირს“, „სიჯილის“ ავტორი არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ ეს ოსმან ფაშა შირვანის აღების შემდეგ შირვანის მმართველად, ე. ი. ვალის თანამდებობაზე დაარჩა იქ⁶⁴.

55. ბაჰრამ ფაშა, მეტსახელი — საღირ (صاغیر — ყრუ). „სულთნის სასახლეში გამოიზარდა. 979 წ. (=1571-1572) სახელმწიფო დავთარს განაგებდა. შემდეგ ბეგობა მიიღო. 977 წელს (=1569-1570) სივასის ბეგლარბეგი იყო, 978 წ. (=1570-1571) არზრუმისა, ხოლო 985 წ. (1577-1578) დინარბეგიის ბეგლარბეგი გახდა. 987 წელს (=1579-1580) გათავისუფლებულ იქნა ამ თანამდებობიდან და გაგზავნილ იქნა თბილისში, სადაც ის გარდაიცვალა“⁶⁵. ჩილდირის ცნობილი ბრძოლის დროს, ე. ი. 1578 წელს, ბაჰრამ ფაშა ი. ფეჩენესთან არზრუმის ბეგლარბეგად არის დასახელებული, ხოლო „სიჯილ-ის“ მიხედვით 1578 წელს ის დინარბეგიის ბეგლარბეგია.

56. აჰმედ ფაშა მოითხზნდე — სიჯილ-ი ოსმან-ის ავტორის მიხედვით „კანცელარიის მწერლობიდან დაწინაურდა და იანიჩართა მდივანი გახდა. 965 წლის ზნ-ლ-ჰიჯჯეს თვეში (=1558 წ. 14. IX.—13. X.) მთავარი დეფთერდარის თანამდებობა მიიღო. 968 წლის საფარის 8-ში (=1560 წ. 29. X.) დათხოვნილ იქნა სამსახურიდან. შემდეგში მან ბეგლარბეგის თანამდებობა მიიღო ჯერ, 985 წ. (=1577-1578), მარაშისა, ხოლო მერე ალუბოსი და დინარბეგიისა. გარდაიცვალა 990 (=1582) წლის შემდეგ ხანებში“⁶⁶.

57. მანუჩარ ათაბაგზე (ქაიხოსრო და დედისიმედის შვილი) მეჰმედ სურემაჯს სიჯილ-ი ოსმან-ში შემდეგი ცნობა აქვს მოცემული: „მუსტაფა ფაშა — მანუჩეჰ — ქართველია; როცა

⁶³ სიჯილ-ი... III, 416.

⁶⁴ ფეჩენის ისტორია, II, 49.

⁶⁵ სიჯილ-ი ოსმან, II, 32.

⁶⁶ სიჯილ-ი ოსმან, I, 203. მოითხზნდე ادايتاب او سو. 'თმა', 'ბეწვი' და სპ. تافتن 'ქსოვა'. ამგვარად, اويتاب თბის, ბეწვიდან მოქსოვილი ან დაწნული ჩული და მისთანანი'. აგრეთვე ამგვარი ნივთების მოქსოვილი და გამყიდველი (اذايتاب — სპ. 'შვილი'). სპ. اويتاب შემდეგში თურქული اوتاف და اوموس تركي — شمس الدين سامي. იხ. მოგვცა (იხ. მოითაბ-ი მოგვცა (იხ. سامس الدين سامي. გვ. 1425 და 1435. შდრ. ბულგარული საგვარეულო სახელი მუთაფ-ჩი-ევი-ი).

ლწლ მუსტაფე ფაშა ირანთან ომის დროს ლაშქრის სარდალი იყო, (მანუჩარი) მის (ლწლ ფაშის) წინაშე გამაჰმადიანდა და მას ებოძა ბეგლარბეგის თანამდებობა. 990 წელს (=1582), დაგვიფაროს ალლჰმა, ისევე ქრისტიანობაში მოიქცა. სურსათ-სანოვანის ალაღის ხელმძღვანელები ხნდომ მეჰმედი და ბოსნიელი მეჰმედ ფაშები კარავში დაჭრა და გაიქცა. ტყუილ-უბრალოდ დაკარგა სააქაოცა და საიქიოც და დაიღუპა⁶⁷. ხნდომ მეჰმედ ფაშის ბიოგრაფიაში „სიჯილ-ის“ ავტორი მართლაც წერს, რომ 988 წ. (=1580 წ.), როცა ამ ფაშას სურსათი მიჰქონდა ირანელებთან მებრძოლი ჯარისათვის, მანუჩარ ფაშამ იგი დაჭრა⁶⁸. მეორე ბოსნიელი მეჰმედის დაჭრის შესახებ კი მის ბიოგრაფიაში არაფერია ნათქვამი⁶⁹.

58. დავით ხანი—იგივე დაუთ-ხანი. „1569 წ. ყიზილბაშებმა დაამარცხეს ქართლის მეფე სიმონ ლუარსაბის-ძე, ტყვედ ჩაიგდეს იგი და სამეფო ხელისუფლების გაუქმების მიზნით ქართლში თავიანთი მოხელე, სიმონის გამაჰმადიანებული ძმა, დაუთ-ხანი გაიჩინეს. დაუთ-ხანის ბატონობის დროს ყიზილბაშებმა თბილისი და ქვემო ქართლი აღწერეს და დივანს დაუქვემდებარეს. ქართლის მოხელე დაუთ-ხანი ირანის შაჰს წელიწადში 20.00 დუკატს უხდიდა ხარკად“⁷⁰. 1578 წ. დაუთ-ხანი გადაუდგა ირანის შაჰს ქართლის ციხეები ხონქარს ჩააბარა და თვითონ ოსმალეთში გაიქცა. ქართლს სიმონ I დაეპატრონა. ე. ი. დაუდ-ხანი ქართლს განაგებდა 1569-1578 წწ.

59. მეჰმედ ფაშა—„სოლჰ ფერჰანდ ფაშის შვილია. სანჯაყბეგის თანამდებობიდან დაწინაურებით კასტამუნის ბეგლარბეგად იქნა დანიშნული. 985 წ. (=1577-1578) ყარსის ბეგლარბეგობა მიიღო. 987 წ. (=1579-1580) მონაწილეობდა ირანის ომში. 990 წ. (=1582) დაინიშნა დიარბექირის ვლწს თანამდებობაზე. 992 წ. (=1584) მოკლულ იქნა ირანის ომში. მამაცი, მართალი და გონიერი კაცი იყო“⁷¹.

⁶⁷ სიჯილ-ი ‘ოსმანნი, IV, 378.

⁶⁸ იქვე, 125.

⁶⁹ იქვე, 124. მანუჩარ ათაბაგის მიერ მეჰმედ ფაშის დაჭრის ამბავი თომაზო მინადლის მიხედვით მოთხრობილი აქვს პროფ. გ. ტივაძეს სტატიაში: „სამცხე-საათაბაგოს ბრძოლა თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ“. გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1949 წლის 46, 47 და 48 ნომრებში (20. XI, 27. XI და 4. XII).

⁷⁰ საქართველოს ისტორია, I, მაკეტი, თბ., 1956, გვ. 282-283.

⁷¹ სიჯილ-ი ‘ოსმანნი, IV, 124.

60. ალექსანდრე ლევანთს ძე (1574-1605) — კახეთის მეფე.

61. ზაგემი და გრემი. ზაგემი თურქულ წყაროებში კჯ ფორმით გვხვდება; Hammer-ი შეცდომით ხან Sagum-ად, ხან კიდევე Sakuui-დ კითხულობს⁷². გრემის სახელი ალბათ ფეჩვენს გამომცემელს ძლიერ დაუმახინჯებია და كوك (გვემ)-ად გადმოუცია; თუ აქ კორექტურული შეცდომა არ არის, მაშინ, საფიქრებელია, რომ გადამწერს კ ასო არეული ქონდეს ვ.ში. Hammer-ს გრემი Kerum-ად აქვს გადმოცემული (...der Schlösser Sakuni und Kerum)⁷³. „საბუე-გრემის წყალი, გამომდინარე დიდოეთსა... ამ წყალზედ არის გრემი, რომელი ქმნეს ქალაქად ქრისტესსა ჩუგე და განდგომილებისა კახთ მეპატრონეთა, და მყოფობდენ მუნ. აწცა არს შენობა და ეკლესია შეუუმუსრაფი, ოდეს მოაოხრა შააბაზ, მიერით არს დაბა და არლარა ქალაქი“...⁷⁴; „რამეთუ მაშინ იდგა გრემს“⁷⁵.

62. ქართველ მეფეთა ჩამომავლობის შესახებ თქმულების გადმოცემისას ი. ფეჩვენს ტექსტში⁷⁶ ერთი ადგილი, ჩვენი აზრით, დამახინჯებულადაა დაბეჭდილი. აქ ლაპარაკია რომელიღაც სახელოვან და სრულიად საქართველოს მფლობელ მეფეზე, რომელსაც გარდაცვალების შემდეგ ვაჟიშვილი არ დარჩა. სამაგიეროდ მას ჰყავდა ძლიერ ლამაზი ქალიშვილი, რომლის სახელიც ასეა დაბეჭდილი: كسروا = ნმრო(უ) დო(უ)რიალ. ჩვენ გვგონია, რომ امر დამწერლობაში დედან ხელნაწერზე უნდა ყოფილიყო امر თამარ. პირველი კ ასოს ორი წერტილი გადმოწერმა ალბათ ერთ წერტილად მიიღო, ასეთი აღრევა არაბულ დამწერლობაში საერთოდ შესაძლებელია. შემდეგ, მომდევნო ვ ასო გაუგებარია, თითქოს არ იყო აქ საჭირო; ეს ლაფსუს კალამი უნდა იყოს, თუ, რა თქმა უნდა, აქ კორექტურულ შეცდომასთან არა გვაქვს საქმე. ან არადა, შეიძლება ვ აქ ო'ს გადმოსცემდეს და გვექონდეს امر — თამარო, რაც აგრეთვე გამორიცხულად არ შეიძლება ჩაითვალოს. შემდგომი كسروا „დორიალ“ უთუოდ كسروا-ია,

⁷² GOR, II, 483 და III, 43.

⁷³ GOR, II, 483.

⁷⁴ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურცხა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941, გვ. 99-100.

⁷⁵ ქართლის ცხოვრება, II, 383.

⁷⁶ ფეჩვენს „ისტორია“, II, 44-45.

რაც დოდფალად (ე. ი. დედოფალად) უნდა იქნეს წაკითხული. მესამე 2 (რ) ასოს ნაცვლად დედანში 2 (დ) უნდა ყოფილიყო. ისიც ცნობილია, რომ გრაფიკულად ამ ორი ასოს ერთმანეთში აღრევა ხშირად ხდება. მეოთხე ასო 2 (ი) კი არა, უთუოდ სამწერტილიანი 2 (ფ) ასოა. არაბულ დამწერლობაში ერთ-, ორ- და სამწერტილიან ასოთა ერთიმეორეში აღრევაც, განსაკუთრებით არამუსლიმურ სახელთა გადმოცემისას, ადვილად შესაძლებელია. ამდენად აქ სამი წერტილის ნაცვლად, უთუოდ შეცდომით, გვაქვს ორწერტილიანი 2. ამ ვითარებათა გათვალისწინებით ჩვენთვის უმჯველი იყო, რომ ი. ფეჩვენს „ისტორიაში“ დაბეჭდილი 2 *اسرا* უნდა წაკითხულიყო *اسرا* ად.— თამარ (ო?) დოდფალად (← დედოფალ)⁷⁷. ფეჩვენს „ისტორიის“ ხელნაწერ ნუსხებში ვერ შევამოწმეთ, რადგანაც ასეთები ჩვენში არ მოიპოვება. ი. ფეჩვენს „ისტორიიდან“ არ ჩანს ამ თქმულების წყარო, მაგრამ საფიქრებელი კია, რომ ფეჩვენს ეს ლეგენდა მასზე ადრინდელი მეწატიანეებისაგან ჰქონდეს აღებული. აქ კი პირველ რიგში საგულისხმო იყო XVI საუკ. ისტორიკოსი „აღწერა ჩელები (გარდაიცვ. 1599), რომელიც ლაღა მუსტაფა ფაშას ახლდა საქართველოსა და, საერთოდ, კავკასიაში გალაშქრებათა დროს და შედარებით უფრო ახლო იცნობდა ქართველებს. მართლაც „აღწერის თავის თხზულებაში — *اسرا* ან მოტანილი აქვს ეს ლეგენდაც⁷⁸. ვ. სმირნოვი ამბობს, რომ შემდეგდროინდელი ისტორიკოსები ყოველთვის იყენებდნენ „აღწერას (XVI საუკ.) და, როგორც ზემოთაც ითქვა, ამ შემთხვევაშიც ჩვენი ი. ფეჩვენს უთუოდ „აღწერის ამ ლეგენდას ემყარება. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მათ შორის (ე. ი., „აღწერასა და ფეჩვენს ლეგენდებს შორის) განსხვავებაც არის. სახელდობრ:

⁷⁷ ფეჩვენს „ისტორია“, II, 44-45.

⁷⁸ ამჯერად ჩვენ ვისარგებლეთ „აღწერის მიერ მოტანილი ლეგენდის იმ რედაქციით, რომელიც პროფ. ვ. სმირნოვმა 1903 წ. გამოსცა თავის ცნობილ ქრესტომათიაში: *Образцы произведений османской литературы в извлечениях и отрывках* (პეტერბუგი. 1903 წ.), გვ. 25-27. ამ ქრესტომათიაში გამოცემული ნაწყვეტები „აღწერის ისტორიული თხზულებებიდან (ზემოხსენებული ლეგენდის გარდა „თბილისის ციხის დაპყრობა“, „ოსმან ფაშის დანიშნა შირვანის ბეგლარბეგად“ და სხვა, სულ 8 გვერდი—გვ. 25-32). პროფ. ვ. სმირნოვს თვითონ აქვს გამოცემული ეს ნაწყვეტი ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერის მიხედვით (იხ. ვ. სმირნოვის დასახელებული ნაშრომი, გვ. VI).

“წლწ ჩელებიწ მიხედვით თამარს დაებადება ვაჟი, ხოლო ი. ფეჩე-
 ვნს ცნობით—ქალიშვილი. წლწ წერს, რომ თამარი იყო თამარ
 (sie!) ვახტანგ მეფის ქალიშვილი (ფეჩევის თამარ დედოფლის
 მამის სახელი სულ არ უწერია). წლწს ლეგენდის მიხედვით წმწ-
 რახორად წოდებული ვაჟი „თავიანთი შარიწათის წესებით“ და-
 ქორწინდება თამარზე, ფეჩევის ლეგენდაში ამზე ლაპარაკი არ
 არის⁷⁹. ფეჩევის ვარიანტში თამარ დედოფალს უნდა დასაჯოს
 ამირახორი და ამიტომ ნანადირევის მოსატანად მას ისეთ სახი-
 ფათო ადგილას აგზავნის, რომ იგი იქ იღუპება. ეს ამბავი წლწს-
 თან არ არის და სხვ. გარდა ამისა წლწს ლეგენდის ვარიანტი
 გაცილებით ვრცელია ფეჩევისსაზე. ამგვარ სხვაობებს კიდევ იბოვის
 კაცი ამ ორ ვარიანტს შორის. მაგრამ შეიძლება ეს სხვაობები ჩვენ
 არ მივიჩნიოთ დაბრკოლებებად იმისათვის, რომ ი. ფეჩევის ლე-
 გენდისათვის წყაროდ ვივარაუდოთ წლწს „ქუჟან-ულ-ნახარ“-ში
 მოთავსებული თქმულება. ი. ფეჩევიმ ალბათ შეამოკლა წლწს ლე-
 გენდა, ზოგი ფაქტი გამოტოვა, ზოგი რამ თვითონ ჩაურთო განა-
 გონის მიხედვით (მაგალითად, ამირახორის დასჯის და დაღუპვის
 ამბავი). საერთოდ ი. ფეჩევის გადამუშავებული უნდა ჰქონდეს
 წლწს თხზულებიდან ამოღებული მასალა. ამ ლეგენდის დეტალებზე
 და, საერთოდ, მის დახასიათებაზე ჩვენ არ შევჩერდებით. ის კი
 შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად ანაქრონიზმისა და სხვა დამა-
 ხინჯებებისა ამ თქმულებას სპეციალისტებისათვის მაინც აქვს გარ-
 კვეული მნიშვნელობა. ი. ფეჩევის ცნობების მიმართება წლწსა და
 სხვათა ცნობებთან და საერთოდ ამ ცნობების პირველწყაროების
 საბოლოო დადგენა უნდა გადაიდოს სხვა დროისათვის, როცა სა-
 თანადო წყაროები გამოიცემა და მასალაც ბევრი იქნება.

ამრიგად, ჩვენი კონიექტურა *نامر وادو* → *نامر وادو* საე-
 სებით დასტურდება წლწს თხზულებით, სადაც *نامر وادو* (=თა-
 მარ დედოფალ-ი) წერია. წლწს *نامر وادو*-ში მეორე *و* ასო ე ხმო-
 ვანს გადმოსცემს, მაგრამ ეს მწიგნობრული გზით უნდა იყოს გად-
 მოღებული. ჩვეულებრივად კი სამხრეთ საქართველოში ქართველი
 მუსლიმების მეოხებით თამარ მეფის სახელი „თამარ დოდფალ“-ის
 სახით ძლიერ პოპულარულია. ეს სიტყვა უფრო „დოდფალ“-ისა

⁷⁹ შდრ. სათანადო ადგილები: ი. ფეჩევის „ისტორია“, II, გვ. 44-45 და
 ფ. სმირნოვის დასახელებული ქრესტომათია, გვ. 25-27. ამის შესახებ იხ. აგ-
 რეთვე ჩვენი: იბრწწწმ ფეჩევიწ საქართველოს შესახებ. „ენიმიკა“-ს მოამბე, ტ. V-VI,
 თბილისი, 1940, გვ. 378-379.

და „დოდოფალ“-ის ფორმიტაა გავრცელებული. ადიგენის რაიონში ოცდაათიან წლებში მივლინებების დროს ჩაწერილ თურქულ დიალექტურ მასალებში რამდენიმეჯერ ჩაწერილი მაქვს „თამარა დოდოფალ“. 1933 წ. სტამბოლში გერმანელმა მეცნიერმა კ. ბიტტელმა გამოაქვეყნა წერილი „ართვინში აღმოჩენილი ბრინჯაოსაგან გაკეთებული არქეოლოგიური ნაშთები“⁸⁰. წერილის ავტორი აზუსტებს იმ მაღაროს მდებარეობას, სადაც არქეოლოგიური ძეგლები იქნა აღმოჩენილი და წერს, რომ „მაღაროს მიდამოებში ერთი საათის მანძილზე იმყოფება ციხე. ხალხში არსებული გადმოცემით ეს ციხე გაუკეთებია ერთ ქართველ ქალს, რომელსაც Tamara Dudubal (=თამარ დედოფალ) ჰრქმევიან. ციხეს ეხლაც მისი სახელი დარჩენია“⁸¹. ამ თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე გრაფის ქალის უვაროვას ცნობა იმის შესახებ, რომ არტანუჯის მიდამოებში, სოფ. ახიზასთან ყოფილა „თამარ დოდოფალის“ ციხე: «Замок этот слывет за постройку времен Тамары и между Турками, которые переняли от Грузии уважение к: царице, воспеваемой историей и поэтами, царицы, прозываемой турками «додоная Тамара», то есть «матерью Тамарой»⁸². აქად. ს. ჯანაშიას მოჰყავს ამტარაქის რაიონში (სომხეთი) ოვანნავანქის 1201 წლის წარწერა თამარ მეფეზე: «В господство парон (= патрон) допал Тамар»⁸³.

წაღწევის (პროფ. სმიტონოვის ხედასწავლილი გამოცემის მიხედვით) ამ მონუმენტის სახელი *تاج*-ის სახით აქვს გადმოცემული. აქ უფრო მოსალოდნელი იყო სახელი „დავით“, მაგრამ ფეჩევეს *تاج*-ის „დავით“-ად წაიკითხვა არ ხერხდება, თუ, რა თქმა უნდა, გამომცემელს ეს სიტყვა დამახინჯებული არა აქვს. ფეჩევის ეს სახელი ამ ფორმით სამჯერ აქვს მოყვანილი.

⁸⁰ იხ. ჟურნალი „Türk tarih, arkeologiya ve etnografya dergisi“, I, ივლისი, 1933 წ. სტამბოლი, გვ. 150-156. ამ წერილის ჩვენს მიერ შესრულებული თარგმანი გამოქვეყნდა „ენიკის“ მოამბეში, II, თბილისი, 1938 წ., გვ. 257-266.

⁸¹ იხ. „ენიკი“-ს მოამბე, II, გვ. 257.

⁸² Граф. Уварова, Кавказ—Абхазия, Аджария, Шавшетия, Посховский участок, мосკოვი, 1891, გვ. 306.

⁸³ С. Джанашиа, Об одном примере искажения исторической правды. По поводу книги И. Токарского „Архитектура древней Армении“, თბილისი, 1947, გვ. 44.

საერთოდ თურქულ წყაროებში „დავით“ ყველგან აჟა-ად არის გადმოცემული და ამიტომ არც „წლი ჩელების“⁸⁴ „დავითი“ არ უნდა იყოს, მით უფრო, რომ ამავე ლეგენდაში ის იხსენიებს აჟა-ად ორ დავითს: ლუარსაბის შვილებს სიმონსა და აჟა (დავით)-ხანს და აჟა (დავით) წინასწარმეტყველს, ისევე როგორც ფეჩევენს ამ უკანასკნელის სახელად აჟა-ი აქვს მოყვანილი ლეგენდის დასაწყისშივე. Hammer-ს მოჰყავს შემოკლებით ორივე ისტორიკოსის ლეგენდა და ამ სახელს კითხულობს Stallmeister [=მინახორ] David (Bagration)-ად⁸⁴ რაც, ჩვენის აზრით, სწორი არ უნდა იყოს. უფრო საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში თურქმა ისტორიკოსებმა სიტყვა „თავადი“, რომელიც ამ დროის თურქულ წყაროებში საკმაოდ ცნობილია, საკუთარ სახელად მიიღეს.

ქართველთა თქმულება იმის შესახებ, რომ დავითის ძირთაგან არიან ქართველი ბაგრატიონები (მაგალითად: „ესე უწყოდე, რამეთუ მე მეფობისა შენისა არა უმცირეს ვარ, არცა უღარეს, არა უწყია, რამეთუ ძირთაგან დავით წინასწარმეტყველისათა აღმოცენებულ ვართ, და მის გამო ღმრთისა მიერ ცნებით განეგების მეფობა ჩუენ ბაგრატიონთა და ტომნი ვართ დავით მეფისა და წინასწარმეტყველისა“)⁸⁵ შეღწეულია მეზობელ ხალხთა წყაროებშიც: კონსტანტინე პორფიროგენეტის სიტყვით, იმ დროიდან, რაც დავით წინასწარმეტყველის შთამომავალი იერუსალიმიდან იბერიაში მოვიდნენ და მეფობა დაიწყეს „გარდახდა 400 თუ 500 წელი, ვიდრე დღევანდლამდე“ (ე. ი. 952 წლამდე). ესე იგი, კ. პორფიროგენეტი გულისხმობს, რომ დავით წინასწარმეტყველის შთამომავალი ბაგრატიონები იბერიაში მოვიდნენ და გამეფდნენ V თუ VI საუკუნეში⁸⁶... თურქ მემატიანებს „წლი და ფეჩევენსაც მოთხრობილი აქვთ ამ ლეგენდის სხვადასხვა ვარიანტი⁸⁷.

⁸⁴ GOR, II, 481.

⁸⁵ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბილისი, 1959, გვ. 460-461.

⁸⁶ გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV, ნაკვეთი II. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანიტურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბილისი, 1952 წ., გვ. 260.

⁸⁷ იხ. „წლი—*دربیان ملوک کورجستان*“ В. Д. Смирнов, Образцовые произведения османской литературы в извлечениях и отрывках, г. 25-27.

63. „ვანის სოფელთაგანი بوکراشین ად წოდებული სოფელი იმ დროს დიდებული ქალაქი ყოფილა და მეფეთა ჩამომავლის ბაგრატიონად წოდებული უფლისწულის მამული ყოფილა“⁸⁸. ოდესღაც „დიდებული ქალაქის“ — بوکراშინ-ის სახელის სწორად ამოსაკითხავად ჯერჯერობით მასალა არა გვაქვს. ჰამერი, ვფიქრობთ, უმართებულოდ კითხულობს ამ სოფლის სახელს ბაგრაშინ-ად (das Dorf Bagraschin bei Wan)⁸⁹. შეუძლებელია ბოკრაშინ-ის პირველი ვაგიანი მარცვალი ბო-ს ბა'-დ წაკითხვა; ეს ბუქრაშენი ან ბუგრაშენი უფროა, ვიდრე ბაგრაშინ-ი. თანამედროვე ვანის რაიონის ტოპონიმიკური მასალის შესწავლამ შეიძლება შუქი მოჰფინოს ამ საკითხის გარკვევას.

64. საინტერესოა ი. ფეჩენსთან ორჯერ ხმარებული ქუთაისის კოლხური ქუთაშ (შდრ. თანამედროვე მეგრული — ქუთუში) ფორმა. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ცნობილ ჰაჯჯან ხალიფას თავის რუკაზე აგრეთვე شتاكო (ქუთაშ-ი) აქვს⁹⁰.

65. ლუარსაბი — ქართლის მეფე (1530-1556).

66. სელიმ I — ოსმალეთის სულთანი (1512-1520).

67. შექის ციხე — აზერბაიჯანის უძველესი ქალაქთაგანი, რომელსაც ახლა ნუხა ეწოდება. შექის სახანოს დედაქალაქი (XVIII-XIX საუკ.). (იხ. EI, IV, გვ. 372); აგრეთვე: И. И. Петрушевский, Государство Азербайджана в XV в., в «Сборнике статей по истории Азербайджана», 184; В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда X-XI веков, გვ. 116.

68. ლალოშ აჰმედ ბეგი — ძლიერ საინტერესოა ამ პიროვნების შესახებ ცნობა „სიჯილ“-ის ავტორისა, რომელიც ამბობს, რომ „ლალოშ აჰმედ ბეგი კახთა მეფე ალექსანდრესთან ერთად სტამბოლს ჩავიდა“⁹¹. ი. ფეჩენს მიხედვითაც ეს ორი მოღვაწე ერთად მოქმედებს: „986 წელს (=1578-1579)... ალექსანდრე ხანს (კახთა მეფეს) მიენდო შექის დაპყრობა. მასთან ერთად წარგზავნილი იქნენ ათასეულიდან ორასი სიფჰჰი და მეათურთაგან მირზა ნაღი ბეგი და ლალოშ აჰმედ ბეგი, რომელთა

⁸⁸ ი. ფეჩენი, „ისტორია“. II, 45.

⁸⁹ GOR, II, 481.

⁹⁰ جانتما — کتاب چلبی — 431-432 გვერდებს შუა მოთავსებული რუკა.

⁹¹ სიჯილ-ი 'ოსმანში, I, 203.

სამშობლო მაგ ძველ ქვეყანაში (ე. ი. თანამედროვე აზერბაიჯანში) იყო და (თვითონ ესენი) „მაგ ქვეყნის ნაცადი ლომები და მგლები“⁹² იყვნენ⁹³. გარდა ამისა, ლალოშ აჰმედ ბეგზე „სიჯილ“-ში ვკითხულობთ: „ირანელებთან ომის დროს ლალოშ მუსტაფა თაშის ამაღალში იყო; ალექსანდრე ხანთან სტამბოლში ჩასვლის შემდეგ გარდაიცვალა“⁹⁴. لاغوش მეტსახელის მნიშვნელობა უცნობია.

69. ქაბრი (კაფური) და ყანიხ (კანიკი) მდინარეები. ოსმალთა ჯარის თბილისიდან შირვანისაკენ გამგზავრების აღწერისას ი. ფეჩენი და სხვა თურქი ისტორიკოსები იხსენიებენ ორ მდინარეს არაქართული სახელით: قاپور-სა (ქაბურ) და قفق-ს (კანიკი). ამათგან პირველი قاپور-ის (კაფურ) სახითაც გვხვდება, მაგრამ, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, კაბურ ფორმა უფრო ახლოა სინამდვილესთან. ამ მდინარეთა რაობის გასარკვევად საჭიროა აქ მოვიტანოთ თვით კონტექსტი: تقيسدن قاقوب نهر كردن [ისლამის ლაშქარი] თბილისიდან დაიძრა, გადავიდა მდინარე მტკვარს და კაბურის წყლის ნაპირას მესამე საღვურზე რომ დაბანაკდა... და კიდევ— شيرواه عزيمة ايدوب نهر قاپور ايله نهر قفق ميانده قوناق طوتوب [სარდალი] შირვანისაკენ გაემგზავრა. იგი მდინარე კაბურსა და მდინარე კანიკს შუა დაბანაკდა⁹⁵. თბილისიდან გამგზავრებული ჯარი რომ კაფურის ნაპირას ჩერდება, ეს კაფური იორი უნდა იყოს, ხოლო მეორეჯერ მოხსენებული „კაბურსა და კანიკს შუა“ უდრის „იორსა და ალაზანს შუა“⁹⁶. ასე რომ კანიკი—ალაზანია⁹⁷. სპარსულ წყაროებშიც ამ მდინარეთა სახელები ასევე ყოფილა წარმოდგენილი: თეიმურაზ I და დავუდ ხან [უნდილამე]—ყარაბაღის ბეგლარ-ბეგი در گرداب قبرى و قانق و شكارگاهى حدود قراباغ و گرجستان بايكديگر گرداب قبرى و قانق و شكار کرده دوستانه از يكديگر جدا ميشند

⁹² ე. ი., „გულადები და მამაცები“.

⁹³ ი. ფეჩენის „ისტორია“, II, 45.

⁹⁴ სიჯილ-ი 'ოსმენი, I, 203.

⁹⁵ ი. ფეჩენის „ისტორია“, II, 43 და 46.

⁹⁶ იქვე, 46.

⁹⁷ ელ. მინოლსკის მიხედვითაც ალაზანს თურქულად Kanik-ი კვია, თუმცა ავტორს საეჭვოდ მიაჩნია ეს და კითხვით ნიშანს უსვამს (იხ. EI, IV, 372; აგრეთვე Brosset, I, გვ. 363).

მორევის ნაპირზე და ყარაბაღისა და საქართველოს სანადირო ადგილებში ერთად ნადირობდნენ და მეგობრულად შორდებოდნენ ერთმანეთს⁹⁸. ალბათ ამ მუსლიმური წყაროების გავლენით ეს სახელები ქართველ ისტორიკოსსაც გამოუყენებია: „(თამარ მეფე და დავით სოსლანი) ჩავიდნენ ყანუხს და იქაური მთა და ბარი, ტყე და ქალები მოინადირეს“⁹⁹. Minadou-ს Canac-ის წყალი ჩვენი ყანხის, ე. ი. ალაზნის წყალია (ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ., IV, 288).

ჩვენ დავიმოწმებთ კიდევ ადგილს ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან: „გავიდნენ ალაზანს, გაიარეს შირაქი, გავიდნენ ქაბრსა (იორსა) და შევიდნენ მამაცნი შიდა-კახეთში“¹⁰⁰. ამრიგად, თბილისიდან გამგზავრებული ჯარი გადადის მტკვარს და პირველი შემხვედრი მდინარის—კაბურის ნაპირას ჩერდება. ირკვევა, რომ ეს ქაბური (ქაბრი)—იორია. კავკასიონიდან მომავალი მამაცნი, ავარულიდან თარგმნილი ხალხური თქმულების მიხედვით, გამოვლენ ალაზანს, გაივლიან შირაქსა და შემდეგ მდინარე ქაბრს, რომელიც ამ ხალხური ლექსის გამოცემეგლს იორთან აქვს გაიგივებული. ამრიგად, თითქოს საესებით ნათელია, რომ ი. ფეჩევეს აჟაჟ-ი, აჟაჟ-ი, ხალხური სიტყვიერებიდან მოტანილი ნაწყვეტის ქაბრ-ი—ეს არის იორის სახელი, მუსლიმურ წყაროებში იორი ქაბრ-ის სახელითაა ცნობილი. ყველაზე უფრო მართალი ფორმა იორის ამ მეორე და არაქართული (?) სახელისა ქაბრ-ი უნდა იყოს. ი. ფეჩევეს აჟაჟ-ის პ (ფ) თანხმოვანი კორექტურული შეცდომა უნდა იყოს, ხოლო უფრო სწორია მისივე მეორე აჟაჟ-ი, რომელიც ფორმით ქაბრ’თან უფრო ახლოსაა. თურქულ აჟაჟ || ქაბურ’ში თურქისათვის (სპ. قبری)

ذيل تاريخ عالم آرای عباسی — تأليف اسکندر بيك ترکمان⁹⁸

تاريخ جهان آرای عباسی — تأليف اسکندر بيک ترکمان⁹⁸ თეირანი, 1316, გვ. 111. ეს ამონაწერი სპარსული წყაროდან და მისი თარგმანი თავაზიანად მოგვაწოდა ირანისტმა ვლად. ფუთურიძემ, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ.

⁹⁹ ფ. ვორგიჯანიძე (საქართველოს ისტორია), საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი—H 2140, გვ. 24 v. ეს ამონაწერიც ვლად. ფუთურიძემ გადმოგვცა.

¹⁰⁰ ხალხური სიტყვიერება, I, შედგენილი ექვთ. თაყაიშვილის მიერ, გვ. 168 (9). ავარული სიმღერა კახეთის დარბევაზე, თარგმნილი ალ. სარაჯიშვილის მიერ. ადრე ამოწერილი ეს ცნობა, ჩვენი თხოვნით, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნ. თანამშრომელმა ლ. ჩლაიძემ კიდევ შეუდარაბრც თუ ადვილად მოსაძებნ პირველწყაროს და უფრო დაახუსტა იგი.

ძნელად წარმოსათქმელი ზედიზედ ორი თანხმოვანი „უ“ ხმოვნით, ხოლო, ასე ვთქვათ, კავკასიური წარმოთქმა ამ სიტყვისა, როგორც ეს ხალხურ თქმულებაშიც არის დამოწმებული, ქაბრი უნდა იყოს. ყანუხი || قان, სპარსულ წყაროში—قان—ეს არის აზერბაიჯანული სახელი ალაზნისა. თანამედროვე აზერბაიჯანული ლიტერატურული ფორმა ამ სიტყვის იქნება—KANAX, დიალექტური قان, რომლის პირველი მარცვლის ც თანხმოვანი ყ-თი გადმოიცემა ქართულში, ხოლო ბოლოკიდური ც—ხ-თი: ყანუხ-ი || ყანუხ-ი.

აქვე მინდა აღვნიშნო ის ამბავი, რომ თავის დროისათვის დიდს თურქს მეცნიერსა და გეოგრაფს XVII საუკუნისა ჰაჯჯინ ხალნთა (ე. ი. ქნთბ ჩელები—1609-1657) თავის გეოგრაფიისადმი დართულ რუკაზე შეცდომით قان სახელი იორისთვის აქვს მიკუთვნებული (თვით قان-ის ვოკალიზაციაც რიგზე ვერ არის)¹⁰¹. თანამედროვე აზერბაიჯანული (დიალექტური) ფორმიდან KANAX-იდან თუ ამოვალთ, Hammer-ის ტრანსკრიფციაც არ არის სწორი. თურქული (შდრ. ჰაჯჯინ ხალნთას قان-ი) წყაროებიდან ამოღებული ჰამერის Kanak (die Brücke des Kanak და სხვ.) სწორი არ უნდა იყოს¹⁰², ამდენად კაბრის სომხეთში კარპი-ჩაისთან იდენტიფიცირება უმართებულაა (შდრ. ქართვე. ერის ისტ., IV, 294-295).

70. შერეფ-ხანი—„განთქმული ისტორიკოსია, რომელმაც ქურთების ისტორია—«შერეფნამე» დაწერა. მამის—შამს-ედ-დნის გარდაცვალების შემდეგ ის დაინიშნა ბითლისში, რომელიც შერეფ ხანის პაპის შერეფ-ედ-დნის მამული იყო. 986 წ. (=1578-1579) ოსმალთა სახელმწიფოს ქვეშევრდომი გახდა და გარდაცვალა კიდევაც“¹⁰³. ფეჩევის მიხედვით შერეფ ხანი ამ წლებში „ნახიჩევანის მფლობელი“.

71. ზუ-ლ-კადრიე—قادر اوز كادي VIII ს-ის დასასრულიდან X ს-ის დასაწყისამდე მარაშისა და მის მიდამოებში ხელისუფლების მქონე თურქმანთა პატარა სამთავრო იყო. დამაარსებელია ამ სამფლობელოსი قادر زين الدين قادي, რომელმაც ჰიჯ. 780 წ. მარაში და შემდეგ ელბისთან დაიპყრო.—ამრიგად, ზუ-ლ-კადრიეს სახელმწიფომ, 780-დან 921-მდე, 141 წელს იარ-

¹⁰¹ იხ. მისი قان—ჯიჰან-ნუმა, სტამბოლი, 1732 წ. კავკასიის რუკა მოთავსებულია 431-432 გვერდებს შუა.

¹⁰² GOR, II, 483, 484.

¹⁰³ სიჯილ-ი... III, 138.

სება. აქიდანაა, ალბათ, *موسى بن عيسى* (موسى بن عيسى), ტ. III, გვ. 2226-7) ამ შრომის 27-ე გვერდზე მოხსენებული ზუ-ლ-ყადირლი და 38-ე გვერდის ზუ-ლ-ყადრიფ-ც ეს საგვარეულოა.

72. მუსტაფა ფაშა—ლალა მუსტაფა ფაშის ქეთხუდნ იყო. ბეგლარ-ბეგობა მიიღო და ვალს თანამდებობაზე დაინიშნა მარაშში (=ზუ-ლ-ყადირლი). თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ გაწვეულ იქნა ოშში, სადაც ის დაიღუპა 1003 წ. (=1594-1595).

72ა. არეში—ქალაქია შირვანში. „არეშის ქუეყანა“ (ქ. ცხ. II, 346), „არეშელი ვაქარი“ (იქვე, 346); „არეშის ციხეში გაგზავნეს“ (იქვე, 406). „გამარჯვებულმა სპარსელებმა არეშის ციხიდან გაათავისუფლეს ანდუყაფარი და ამილახორობა უბოძეს“ (დ. გვრიტიშვილი, ფეოდ. საქ. სოც. ურთიერთობ. ისტორიიდან, გვ. 401). „აბრეშუმის დიდ ბაზარს წარმოადგენდნენ ქალაქები: თავრიზი, არდებილი, შემახა და არეში. განსაკუთრებით განთქმული იყო შემახისა და არეშის აბრეშუმი (И. П. Петрушевский, Азербайджан в XVI-XVII веках. Сборник статей по истории Азербайджана, 268-269).

73. კაიტას ფაშა (ბეგი)—სასახლის სამსახურში დაწინაურდა და სახელმწიფო სილაჰდარი გახდა. შემდეგ დაინიშნა პირველ მირზახორად და 983 წ. (=1575-1576) კაფუჯიბაშის წოდებით ნიგდეს ბეგობა მიიღო. 986 წლის ზი-ლ-ყადას თვეში (=1578 წ. 30.XII—1579 წ. 28.I.) სარუხანის ბეგის თანამდებობაზე დაინიშნა. შემდეგ არზრუმის ბეგლარბეგის თანამდებობაზე იყო. მონაწილეობდა ირანთან ომში, სადაც ის მოკლულ იქნა 987 წლის ზი-ლ-ყადას თვეში“ (=1579 წ. 20.XII—1580 წ. 18.I.)¹⁰⁴. ი. ფეჩევის თხრობაში კაიტასი მოხსენებულია როგორც ბეგის წოდების მქონე და სარუხანის სანჯაყის ყოფილი ვალ¹⁰⁵.

74. მურაბზა—(←*موراب*). ოთხსტრიქონიანი სტროფებისაგან შემდგარი ლექსი.

74ა. ამ ითთაბალების ტომის შესახებ ფეჩევის ცნობა გადმოწერილია ვალს „ნუსრეთნამე“-დან, რომელსაც ჩვენ ვაშუალებთ გამოსაცემად. ამ ითთაბალთა შესახებ ცნობებიც იმ გამოცემაში იქნება წარმოდგენილი.

¹⁰⁴ სიჯილი-ოსმან. IV, 65.

¹⁰⁵ ფეჩევი, II, გვ. 48; იქვე, გვ. 26, GOR, II, 472.

74ბ. უცმი—ისტორიულად უცმი ტიტულია სამხრეთ და-
დესტანში მოხინადრე ყარა-ყაითაკთა ტომის მეთაურისა. ყა-
ითაკთა სამფლობელო არსებობდა XIV-XIX საუკუნეებში. БСЭ,
II, ტ. 44 (1956), გვ. 447.

75. ჯაფარ ფაშა, „მეტსახელი —ხნდიმ“. სამეფო სასახ-
ლის ალათავანი იყო. სასახლიდან გამოსვლის შემდეგ ბეგლარბე-
გობა მიიღო. 982 წ. (=1574-1575) დამასკოს ბეგლარბეგი გახდა.
985 წელს (=1577-1578) სამსახურიდან გადადგა. 987 წ. (=1579-
1580) ანატოლიისა, ხოლო 990 წელს კი (=1582) რუმელიის ბეგ-
ლარბეგობა მიიღო. 993 წ. (=1585) ვეზირის წოდება მიენიჭა და
8 წლის განმავლობაში შეუწყვეტლად თავრიზში ვალნს თანამდ-
ბობაზე იყო. 1001 წ. (=1592-1593) დანიშნულ იქნა ბაღდადის
ვალნს თანამდებობაზე და 1003 წ. (=1594-1595) დათხოვილ
იქნა სამსახურიდან. შემდეგ 1006 წ. (=1597-1598) თემეშვარის
ვალნს თანამდებობაზე დაინიშნა და 1008 წ. (=1599-1600) იქვე
გარდაიცვალა. მართალი და გამოცდილი კაცი იყო¹⁰⁶.

76. მურად ფაშა—„ხორვატული წარმოშობისაა. ეგვიპ-
ტეში ბეგის თანამდებობაზე იყო, შემდეგ ბეგლარბეგი გახდა. მო-
ნაწილე იყო ირან-ოსმალეთის ომებისა. ერთ დროს ტყვედ იყო.
გათავისუფლების შემდეგ ბეგლარბეგობა მიიღო კვიპროსზე, ალე-
პოში, ორჯერ იემენში, აღმოსავლეთ ყარაჰისარში, 1004 (=1595-
1596) წ. დიარბექირში, 1010 (=1601-1602) წ. ანატოლიაში და,
ბოლოს, რუმელიის ბეგლარბეგი გახდა. 1015 წლის შაბანის თვეში
(=1606 წ. 2—30.XII.) დიდვეზირად იქნა დანიშნული. ანატო-
ლიაში ყაჩაღები (მოჯანყენი) გაანადგურა. ავადმყოფობის დროსაც
კი დასდევდა ყაჩაღებს თახთრევანზე. დახოცილ ხალხს ჭაში ჰყრი-
და და ამიტომ მას კუიუჯუ (კუაუ ქ. ჭა) შეერქვა. გარდაი-
ცვალა დიარბექირში 1020 წ. I ჯუმნდას 25-ში^{106ა} (=1611 წ.
5.VIII.).

76ა. რეკა—ქალაქი სირიაში, ალუბოდან აღმოსავლეთით
220 კილომეტრზე, ეფრატის ნაპირას.

77. სინან ფაშა—საქართველოში კარგად ცნობილი ლაღვ
მუსტაფა ფაშის თანამედროვე და მისი მოქიშვე. „არზრუმის, ალე-
პოს და შემდეგ 975 წ. (=1567-1568) ეგვიპტის ვალნს თანამდ-

¹⁰⁶ სიჯილ-ი 'ოსმანნი, II, 71.

^{106ა} სიჯილ-ი 'ოსმანნი, IV, 355.

ბობაზე იყო. 988 წ. (=1580-1581) დიდვეზირი გახდა. შემდეგ ამ თანამდებობიდან ის რამდენიმეჯერ იქნა გადაყენებული და კვლავ აღდგენილი“ (სიჯილ-ი რუსმანნ, III, 109).

78. მეჭმედ ფაშა, ხადიმი (=საჭურისი. შუად. ქართულში ხმარებული ხადუმი←არაბ. *خاد* „ყვერული“, საჭურისი)¹⁰⁷. „ქართველია. სულთნის ჰარემის საჭურისი იყო. შემდეგ დააწინაურეს მთავარ საჭურისად და სახასო ოდაბაშის თანამდებობაზე. 1013 წლის რები-ულ-ახირის 22-ში (1604 წ. 17.IX.) მესამე ვეზირის წოდება მიენიჭა და იმავე წლის ჯუმად-ლ-ევველის თვეში (=1604. 25.IX—24.X.) დანიშნა მიილო ეგვიპტის ვალის თანამდებობაზე. ეგვიპტეში მოჯანყე ხალხი დასაჯა და ქვეყანა წესრიგში ჩააყენა. მეშვიდე თვეს, 1014 წ. (=1605 წ. V [?]) გახდა რუმელიისა და იმავე წელს ბოსნიის ვალ. 1016 წ. (=1607-1608) გადაყენებულ იქნა. თუმცა 1017 წ. (=1608-1609) დამასკოს ვალის თანამდებობაზე იყო, მაგრამ რამდენიმე თვეში გათავისუფლდა. 1019 წ. (=1610-1611) საღრაზმის მოადგილეობა და 1021 წ. (=1612-1613) არზრუმის ვალის თანამდებობა მიიღო. მერმე კუბენიშინი გახდა და წლინახევრის შემდეგ გადაყენებულ იქნა. 1024 წ. (=1615) მეორეჯერ დაინიშნა დიდვეზირის მოადგილედ. წლინახევრის შემდეგ კვლავ მოხსნილ იქნა ამ თანამდებობიდან და 1026 წ. ჯუმად-ლ-ევველის თვეში (=1617 წ. 7.V—5.VI.) მეორე ვეზირის წოდება მიიღო. 1031 წ. ზნ-ლ-კადას თვეში (=1622. 7.IX—6.X.) დიდვეზირად დაინიშნა. ოთხნახევარი თვის შემდეგ 1032 წლის რები-ულ-ახირის თვეში (=1623 წ. 2.II—2.III.) მოხსნეს ამ თანამდებობიდან და როდოსში გაგზავნეს. სულთნ მურად IV-ის (1623-1640) ტახტზე ასვლის დროს (1623 წ.) გამოიწვიეს და მეორე ვეზირის წოდება მიანიჭეს. ჩერქეზ მეჭმედ ფაშის სარდლობის დროს მესამეჯერ დაინიშნა დიდვეზირის მოადგილედ. 1035 წლის შევვალის თვრამეტში (1626 წ. 13.VII.) გარდაიცვალა“¹⁰⁸.

79. აჭმედ-ფაშა—„ალბანელია, სულთნ სულეიმანის დროს ქაფუჯიბაშის თანამდებობა მიიღო. 965 წ. (=1557-1558) ანატოლიის, ხოლო შემდეგ რუმელიის ბეგლარბეგად დაინიშნა. 987

¹⁰⁷ ქართლის ცხოვრება, II, პროფ. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1959, გვ. 59, 626.

¹⁰⁸ სიჯილ-ი..., IV, 151-152.

წლის შაბანის თვეში (1579 წ. 23.IX—21.X.) დიდებული გახდა. გარდაიცვალა 988 წ. რებიულ-ეველში (1580 წ. 16.IV—15.V.)¹⁰⁹.

79ა. რე ნ ს-უ ლ-ქ უ თ თ ა ბ, აგრეთვე რე^ანს ეფენდი—მწიგნობართუხუცესი, სახელმწიფო მდივანი, საგარეო საქმეთა მინისტრი.

79ბ. ა ე დ ი-კ უ ლ ე (ქართულში—იედიყულა)—თ. yedi “შვილი”, არაბ. ٧—კულე “კოშკი”, “ბურჯი”, აედიკულე—“შვიდკოშკა”. “შვიდბურჯიანი ციხე”. აედიკულეს ციხე მდებარეობს სტამბოლის ამავე სახელობის უბანში, მარმარილოს ზღვის ნაპირას. ელჩებს, ვეზირებსა და მაღალი თანამდებობის დამნაშავეებს ამ ციხეში ათავსებდნენ. აქვე იყო გამომწყვდეული სიმონ ქართლის მეფე (ამის შესახებ და აედიკულეზე უფრო დაწვრილებით იხ. ჩვენი: „ეპიზოდი XVI საუკ. საქართველოს ისტორიიდან“—„მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 31, თბილისი, 1954, გვ. 56).

79გ. ო რ ს ა ლ ა თ ს შ უ ა დ რ ო ٧٩٠ — არაბ. صلات, მრ. صلوات —ალლაჰისა და მუჰამადისადმი აღვლენილი ლოცვა, სალავათი. აქ ნახმარია წყვილობით რიცხვსა და ადგილობით ბრუნვაში დროის გაგებით და, ვფიქრობ, აღნიშნავს დილისა და შუადღის ლოცვას შუა დროს.

80. ს ი ნ უ შ ფ ა შ ა — ხორვატული წარმოშობისაა, აღიზარდა სამეფო სასახლეში. 976 წ. (=1568-1569) მირანხორი, შემდეგ უავგუსტოესი სილაჰდარი გახდა. 977 წ. (=1569-1570) მიიღო იანიჩართა აღას თანამდებობა, ხოლო შემდეგ რუმელიის ბეგლარბეგობისა. შემდეგ კუბბე-ნიშნ ვეზირის თანამდებობა მიიღო და სულთნის ქალიშვილი ფატმა შერთეს. 990 წ. (=1582) ზნ-ლ-ჰიჯჯეს თვეში (1582 წ. 27.XII—1583 წ. 24.I.) სადრა^აზამა-დ დანიშნეს. 992 წ. (=1584) გაათავისულეს თანამდებობიდან. 994 წ. (=1585-1586) მეორედ იქნა დანიშნული მთავრობის თავმჯდომარედ. 997 წ. (1588-1589) კვლავ გაათავისუფლეს. 1000 წ. II ჯუმანდან თვეში (=1592. 15.III—13.IV.) მესამეჯერ დაინიშნა სადრა^აზამა-დ. 1001 წლის რებნ-ულ-ახირის თვეში (=1593. 5.I—2.II.) გაათავისუფლეს და პენსიაზე გადაიყვანეს. 1010 წ. (=1601-1602) გარდაიცვალა¹¹⁰.

¹⁰⁹ სიჯილ-ი ‘ოსნ55წ, I, 202.

¹¹⁰ სიჯილ-ი ‘ოსნ55წ, III, 116.

81. ჰაეღარ ფაშა—„ჩერქეზია. ბეგთაგანი იყო. შემდეგ ბასრისა და სივასის ვაწლნს თანამდებობაზე დაინიშნა. შემდეგ დაპატიმრებულ იქნა და 1000 წ. ზი-ლ-კადას თვეში (= 1592 წლის 9.VIII—7.IX.) გაათავისუფლეს. 1002 წ. (= 1593-1594) ალექსის ბეგლარბეგობა მიიღო და შემდეგ გარდაიცვალა. მისი შვილები „ორი ძმის“ სახელით ცნობილი აჰმედ და „აღწი ფაშები იყვნენ“¹¹¹.

82. შაბურანი—ძველი ქალაქი, რომელიც ბაქოსა და დარუბანდს შუა კასპიის ზღვაზე მდებარეობდა.

82ა. ჯიღალაზანდე აწსუფ ფაშა—ევროპული წარმომავლობისაა. მამამისი იყო გენუას სახელმწიფოში ადმირალი Cicala (თურქ. ჯიღალა), რომელიც სულთან სულეიმანის დროს ფინალა ფაშამ ტყვედ ჩაიგდო ხელში. შემდეგ გაამაჰმადიანეს. მისი შვილი აწსუფი (მამასთან ერთად დატყვევებული) ამ დროს ვანის ბეგლარბეგია და ერენის ბეგლარბეგობას აძლევენ (კამუშ ალ-აღამ, III, გვ. 1822).

83. ყარა არტაანზე იხ. „ეურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, III, გვ. 504.

84. მეჰმედ ფაშა-აბაზა. „ქართველია, არზრუმელი ჰუსეან ფაშის სიძე. იგი იყო ჯანფოლადოლის ხაზინადარი. შემდეგ ტყვედ რომ ჩავარდა, ხალწლ ფაშამ თავისთან წაიყვანა და საადმირალიში მუზღეაურ ბეგთაგანი გახდა. 1026 წ. (= 1617) მარაშის ბეგლარბეგად დანიშნეს. 1030 წ. (= 1620-1621) არზრუმის ვაწლ იყო. 1031 წ. (= 1621-1622) ბოსნიის ვაწლნს თანამდებობა მიიღო და 1042 წ. (= 1632-1633) სამსახურიდან გადააყენეს. 1043 წ. (= 1633-1634) ოზის (ოჩაკოვის) ვაწლნს თანამდებობა მიიღო: ფადიშაჰის მუსაჰიბი და ვეზირი გახდა. 1044 წლის საფარის თვის უკანასკნელ ღამეს (= 1634 წ. 24.VIII.) გარდაიცვალა“¹¹².

85. ჰასან ფაშა—„მეტსახელი—ხადიმ-ი (არაბ. „საკურისი“) სასახლის თეთრკანიანი საკურისი; შემდეგ—მთავარი ხაზინადარი. 998 წ. პირველი ჯუმანდას თვეში (= 1590 წ. 8.III—6.IV.) ეგვიპტის ბეგლარბეგად დაინიშნა. ორი წლისა და 10 თვის შემდეგ გადაყენებულ იქნა, დააპატიმრეს და იდიკულეში ჩასვეს. გაათავისუფლების შემდეგ ვეზირის წოდებით შირვანის, ხოლო შემდეგ თავ-

¹¹¹ სიჯილ-ი 'ოსმან, II, 260.

¹¹² სიჯილ-ი..., IV, 136.

რიზის და, განმეორებით, ისევ შირვანის ვაზლს თანამდებობაზე დაინიშნა. შემდეგ სხვადასხვა თანამდებობაზე ეკავა და 1007 წ. რები-ულ-ეველის ოცდასამში (=1598 წ. 22.X.) სადრაზზამის თანამდებობა მიიღო. 1007 წლის რამაზანის მეექვსე დღეს (=1599 წ. 2.IV.) მოჰკლეს მტარვალი კაცი იყო. დიდგვნირობის დროს ზოგიერთ წაჩინებულ პირთა მოსპობა განიზრახა და ეს ვახდა მისი უბედურების მიზეზი¹¹³. მეჭმედ სურგეაძს ამ ცნობებში თარიღები არეულია და ამიტომ ცნობები შემოკლებით და ზაგადადაა მოცემული.

86. ჰასან ფაშა, „მეტსახელი—სნათჯი (წმესათე)“—სულთნის სასახლეში დაწინაურებით სამეფო ჩოხადარი (სასახლეში მეფის სასამოსლო ნაწილის თანამშრომელი) გახდა. 992 წლის შაზანის თვეში (=1584 წ. 8.VIII—5.IX.) მეორე მონახორად დაინიშნა. 997 წ. (=1588-1589) პირველი მონახორება მიიღო. 999 წლის მუჰარრემის თვეში (=1590 წ. 30.X—29.XI.) იანიჩართა აღის თანამდებობაზე დანიშნეს. იმავე წლის რები-ულ-ეველის თვეში (=1590 წ. 28.XII—1591 წ. 26.I.) რუმელის ბეგლარბეგი გახდა. სამსახურიდან გადაყენების შემდეგ 1001 წ. (=1592-1593) დიარბექირის ვაზლს თანამდებობა დაიჭირა. 1002 წ. (=1593-1594) სამსახურიდან გადაყენების შემდეგ კუბენიშინ ვეზირი გახდა. 1010 წ. (=1601-1602) დაინიშნა დიდგვნირობის მოადგილედ. რადგანაც მის დროს (ტრაპიზონიდან?) უპირატესად სამწუხარო ამბები მოდიოდა, 1011 წ. (=1602-1603) სამსახურიდან გაათავისუფლეს და ტრაპიზონში გადაიყვანეს. 1012 წელს (=1603-1604) დაინიშნა არზრუმის (მხარეში) ზთავარსარდლად. იმავე წლის დასასრულს (=1604 წლის IV-V.) გარდაიცვალა¹¹⁴.

87. ალნ ფაშა, „მეტსახელი—ლალა. სამსახურში დაწინაურებით ჯერ იანიჩართა კნთიბი, ხოლო შემდეგ სიფაჰნ-ების აღა გახდა. 993 წ. (=1585), როცა სულთან მეჭმედ III (1595-1603) ჯერ კიდევ უფლისწული იყო, ალნ ფაშა მისი ლალა (სპ., შაჰთა და ფაღიშაჰთა შეილებების აღმზრდელი) იყო. მეჭმედ III-ის ტახტზე ასვლისას პირველი მონახორის თანამდებობა მიეცა. შემდეგ ის იყო ნახიჩევანისა და თავრიზის ბეგლარბეგი. 1012 წ. (=1603-1604) ირანის წინააღმდეგ ლაშქრობა ძლიერ მამაცურად წარმართა და გაიმარჯვა, მაგრამ შემდეგ დამარცხდა და ბრძოლის ველზე დაეცა

¹¹³ სიჯილ-ი..., II, 125.

¹¹⁴ სიჯილ-ი..., II, 127.

კრდევატ¹¹⁵. ი. ფეჩევენის ისტორიაში აქ მოხსენებული ჯალის თაშის მეტსახელად ზარხოში (სპ. سرخوش) აქვს დასახელებული, მეჰმედ სურეჯედანს კი—ლალა, მაგრამ ქრონოლოგიისა და საქმიანობის მიხედვით ეს ერთი და იგივე პირი უნდა იყოს.

88. ხალღელ ფაშა—„ხონთქრის სასახლეში გამოიზარდა. ბოსთანჯი-ბაშის თანამდებობაზე იყო. ერთ ხანს იზმირს გაიგზავნა სამსახურში, შემდეგ აღჯას ბეგლარბეგი გახდა. 1012 წ. (=1603-1604) ირანელებთან ომის დროს მოჰკლეს¹¹⁶. მისი მოკვლის ვითარებებს ი. ფეჩევენ მოგვითხრობს (იხ. ზემოთ, გვ. 79-80).

89. მაჰმუდ ფაშა—„ჯაფარ ფაშის ხელქვეითი იყო. ჯერ მიიღო მწრლივის (სანჯაყ-ბეგის) თანამდებობა. შემდეგ, 1007 წ. (=1598-1599) სივასის ვალს გახდა; შემდეგ კიდევ ერევნისა და ნახიჩევანის ვალს თანამდებობაზე დაინიშნა. სამსახურიდან გადააყენეს. 1011 წლებში (=1602-1603) ყიზილბაშებთან ლაშქრობის დროს ტყვედ ჩაეპარდა და შემდეგ მოჰკლეს¹¹⁷ (შდრ. ი. ფეჩევენის ცნობები ხალღელ ფაშის შესახებ)¹¹⁸.

90. ბაკრ ფაშა, აბდ-ულ-ბაკრ — „ადრიანოპოლელია. იანიჩართა კორპუსში დაწინაურდა და შემდგომ დეფთერდარობა მიიღო. 1016 წ. (=1607-1608) საშუალო რანგის, ხოლო 1022 წ. (=1613-1614) მთავარი დეფთერდარის თანამდებობაზე იქნა აღზევებული. 1023 წ. (=1614-1615) სამსახურიდან გადააყენებულ იქნა, ხოლო 1024 წ. (=1615) ბოსნიის ვალს თანამდებობა მისცეს და 1026 წ. (=1617) კვლავ დეფთერდარად დააბრუნეს¹¹⁹.

91. აჰმედ ფაშა, „მეტსახელი: სარი (ყვითელი, წითელი). ყაღღობიდან გამოვიდა და პროფესია შეიცვალა. 998 წ. (=1589-1590) დიარბეჯირის დეფთერდარობა მიიღო. შემდეგ დააწინაურეს და სივასის ბეგლარბეგად დანიშნეს. 1012 წ. (=1603-1604) ვანის ბეგლარბეგი გახდა. 1013 წ. (=1604-1605) გარდაიცვალა¹²⁰.

92. სულთან მეჰმედ ხანი—ოსმალეთის სულთანი მეჰმედ III (1595-1603).

¹¹⁵ სიჯილ-ი... III, 506.

¹¹⁶ სიჯილ-ი... II, 285.

¹¹⁷ სიჯილ-ი... IV, 316.

¹¹⁸ იქ. აქვე, გვ. 80.

¹¹⁹ სიჯილ-ი... II, 2.

¹²⁰ სიჯილ-ი... I, 207.

93. სულთანი აჰმედი—აჰმედ I (1604-1617) —ოსმალეთის სულთანი.

94. დიდი მოურავი—სიჯილ-ი ოსმანნი-ში დიდ მოურავზე შემდეგი მოკლე ცნობებია მოთავსებული: „მეჰმედ ფაშა. მოურავი [თურქულად *აგრა* (მალრავ) ი წერია]—ქართველია. სპარსელებთან ბრძოლებში დიდი სიმამაცე გამოიჩინა. შემდეგ არზრუშში გადმოვიდა და (ოსმალთა) მთავარსარდალს მორჩილება გამოუცხადა. სტამბოლს გაიგზავნა, მაჰმადიანობა მიიღო და სახელად მეჰმედი შეერქვა. კაფუჯუბაშის თანამდებობა მიეცა და სამეფო ჯარში გაიგზავნა. შემდეგ ის გახდა კონიის ბეგლარბეგი. 1038 წელს შვილთან ერთად მოჰკლეს. საშუალო ტანისა, თეთრწვეროსანი და მამაცი კაცი იყო“¹²¹.

დიდი მოურავი გ. სააკაძე თურქულ საისტორიო წყაროებში ცნობილია „მაურავ“-ის, ან „მაურავ-ხანის“ სახელით, რომელიც თურქულ ტრანსკრიფციაში უმთავრესად ამგვარადაა წარმოდგენილი: *აგრა* (მაურავ), ან კიდევ *ხან აგრა* (მაურავ-ხან). მაგრამ ზოგ წყაროებში, მაგალითად, მე-XVII საუკუნის თურქი ისტორიკოსის ნეიმა-ს დაბეჭდილ შრომაში *აგრა* (მალრავ)-ი გვაქვს (იხ. *تاريخ نعيم*, ტ. II, გვ. 344 და შემდეგი). ალბათ აქედან გამომდინარეობს Hammer-ის გერმანული ტრანსკრიფცია *Maghrav* ან *Maghravchan*¹²². ზოგ ხელნაწერში და აგრეთვე გამოცემულ ძეგლებში ამ სახელს უფრო მეტი დამახინჯება განუცდია. ასე, მაგალითად, სტამბოლის უნივერსიტეტის წიგნთსაცავში დაცული ნაწმას-ის ისტორიის ხელნაწერ ნუსხაში (№ 2323/59, გვ. 227 და შემდეგი) *აგრა* (მალრად)-ი გვაქვს, ხოლო სულთნის მიერ მოურავისადმი გამოგზავნილ ფერმანში, რომელიც გამოცემულია *بک فریدون*-ის მიერ, გვხვდება ამაზე უფრო შერყენილი ფორმა—*ماغرو* (მალზევე)¹²³.

დიდი მოურავის მიერ მარტყოფთან ყიზილბაშთა ჯარის განადგურების შემდეგ მოურავი ოსმალთა მთავარსარდალს უგზავნის თავის ელჩებს. ეს ამბავი ი. ფეჩენის ჰიჯრის 1034 წლის რამაზანის 27 რიცხვით აქვს დათარიღებული¹²⁴. ჰიჯრის 1034 წელი

¹²¹ სიჯილ-ი..., IV, 153.

¹²² GOR, III, 43 და შემდეგი.

¹²³ منشآت فریدون, II, 311.

¹²⁴ იხ. *تاريخ بک فریدون*, II, 403.

შეესაბამება ჩვენი წელთაღრიცხვის 1624-1625 წელს, მაგრამ რამაზანის თვე 1625 წელს მოდის და 1625 წლის 3.VII-ს ემთხვევა, როგორც ეს ჩვენ აქ წარმოდგენილ თარგმანში გვაქვს ნაჩვენები. 1940 წელს დაბეჭდილ ჩვენს შრომაში „იბრაჰიმ ფეჩევი საქართველოს შესახებ“¹²⁵ ჰიჯრისეული თვის რიცხვი სწორად გვაქვს გამოყვანილი (3.VII.), მაგრამ 1624 და 1625 წლებიდან ეს 3 ივლისი ნვდებოდა არა 1624-ს, როგორც ეს დაბეჭდილია ჩვენს შრომაში, არამედ 1625 წელს. ეს ჩვენი მექანიკური შეცდომა შენიშნა და 1959 წელს გაასწორა დოც. ვიტ. ჩოჩიევმა¹²⁶.

95. **استان** (სპ. استان) — ეპიკური მოთხრობა, გალექსილი თქმულება გმირებზე, საგმირო საქმეებზე, ხალხებზე, ღმერთებზე და სხვ.

96. **ჰაფიზ ფაშა** — „სიჯილ“-ის მიხედვით: „ჰაფიზ აჰმედ ფაშა მუუხინზადე. ფილიპოპოლეია. სამეფო სასახლეში ბაზიართუხუცესი იყო. 1016 წლის შევევლის თვის თვრამეტში (=1608 წ. 5.II.) ჰაფიზ ფაშას ვეზირის წოდებით აღმირალობა მიეცა. 1018 წ. (=1609-1610) დამასკოს ვაწი გახდა. 1020 წ. (=1611-1612) ამ თანამდებობიდან მოიხსნა. შემდეგ იგი დააქორწინეს სულთნის ქალიშვილ — აიშეზე. დაინიშნა ბაღდადის ვაწი-ს თანამდებობაზე და ამ თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ, 1032 წ. (=1622-1623) მას ვხედავთ დიარბეკირის ვაწი-ს თანამდებობაზე, რომლიდანაც ის შემდეგ მოიხსნა და 1034 წ. პირველ რეზი-ის თვეში (=1624 წ. 12.XII.—1625 წ. 10.I.) მან სადრაზამობას მიაღწია. ამ თანამდებობიდან გათავისუფლებულ იქნა 1036 წლის რეზი-ულ-ეველის თვეში (=1626 წ. 20.XI—19.XII.). მიიღო ზეორე ვეზირის წოდება. 1041 წ. რეზი-ულ-ეველის თვეში (=1631 წ. 27.IX—26.X). მეორეჯერ სადრაზამად დანიშნეს და მესამე თვეს გარდაიცვალა“¹²⁷.

97. **ჰუსეინ ფაშა**, „მეტსახელი: დიშლენქ (=უტბილო?). სადრაზამის სიანუშ ფაშის (იხ. აქვე) ძმა. ჯერ ბეგი, ხოლო შემდგომ ბეგლარბეგი იყო—1013 წ. (=1604-1605) ანატოლიისა, ხოლო 1016 წ. (=1607-1608)—ალეპოსი. აიღინში (ქალაქი სამ-

¹²⁵ „ენიმკის მოამბე“, V-VI, გვ. 384-385.

¹²⁶ ვ. გ. ჩოჩიევი, ოსმალეთის სულთნის მურად IV-ის მიერ დიდი მოურავისადმი ვაცემული სიგლის თარიღის შესახებ. „სტალინირის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები“, VII, სტალინირი, 1959, გვ. 101-104.

¹²⁷ სიჯილ-ი..., II, 98.

ხრეთ ანატოლიაში) გაჩენილი ყარაიოლლუ ყაჩაღები დახოცა და ამიტომ ვეზნრობა მიეცა. მასვე მიენდო ანატოლიაში ჯარის ჩაყვანა. მასვე ჰქონდა ნაბრძანები 1032 წ. (=1622-1623) აბაზა მეჭმედ ფაშის აჯანყების ჩაქრობა. როდესაც ჰუსეინ ფაშა უღარდელად დადიოდა ახალციხეში, აბაზა ფაშა მიუვარდა მას და მოჰკლა¹²⁸. აბაზა ფაშასა და ჰუსეინ ფაშას შორის მომხდარი ბრძოლა უფრო დაწვრილებით თვით ი. ფეჩევის მიერაა მოთხრობილი (იხ. ზემოთ, გვ. 86-87).

98. აბაზა—იფულისხმება აბაზა-ფაშა, რომელიც იყო არზრუმის ვილაიეთის განმგებელი; ცნობილია აბაზა-ფაშის მიერ მოწყობილი აჯანყება ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც 1628 წ. სექტემბერში იქნა ჩაქრობილი.

99. რეჯებ ფაშა, „მეტსახელი თოფალ (ჯოკლი)“. ბოსტანჯიების (სასახლის მცველები) სამხედრო რაზმში გამოიზარდა. შემდეგ ბოსტანჯი-ბაშის (სასახლის მცველთა უფროსი) თანამდებობა მისცეს. შემდეგ კაფუჯიების უფროსად და პირველი მწრახორის თანამდებობაზე იყო. სულთნის ქალიშვილზე დაქორწინდა და 1033 წ. (=1623-1624); ვეზირის რანგით შავი ზღვის მხარეში სარდლად დაინიშნა. 1035 წ. (=1625-1626) დიდგვიზირის მოადგილეობა მიიღო. 1041 წ. (=1631-1632) საღრაზმაღ დაინიშნა და ექვსი თვის შემდეგ გარდაიცვალა კიდევაც¹²⁹.

100. ساجان — მსახური, რომელიც სასახლეში სანადირო ძალებს უვლის. აქ იანიხართა სპეციალური ნაწილის ჯარისკაცებია, რომელთაც უკლებოდათ სანადირო ძალების მოვლა-პატრონობა (Pakalin, დასახ. ნაშრ., გვ. 145).

101. მუსტაფა ფაშა ჯანფულად ზადე. „წალწ ფაშის შვილია. სამეფო სასახლეში გამოიზარდა და 1039 წ. (=1629-1630) პირველი მწრახორის თანამდებობა მიეცა. 1040 წ. (=1630-1631) ვეზირის წოდებით სამხედრო-საზღვაო ფლოტის კაფუღანის თანამდებობა მიიღო და სულთნის ქალიშვილი წაღშე შეირთო. 1043 წ. (=1633-1634) გადადგა სამსახურიდან და დაეკისრა ჯარების გადაყვანა. 1046 წ. მუჰარრემის თვეში (=1636 წ. 5.VI—4.VII.) მოჰკლეს. უსამართლო და მჩაგვრელი კაცი იყო¹³⁰.

¹²⁸ სიჯილ-ი..., II, 188.

¹²⁹ სიჯილ-ი..., II, 370.

¹³⁰ სიჯილ-ი..., IV, 389.

102. აჭმედ ფაშა, „მეტსახელი—ქუჩუქ“ (ვატარა). სიფუ-
პნებიდან იყო. თავისი მამაცობით მას ხუთასი ცხენოსანი მეომრი
სპარსელებთან რამდენიმეჯერ შეჯახება ჰქონდა 1033 წ. (=1623-
1624), მოსული აიღო და თავისი იმისწული სულეძნან ბეგი და-
ნიშნა მის მმართველად. ამით ძლიერ გაითქვა სახელი და 1038 წ.
(=1628-1629) დამასკოს ვალის თანამდებობაზე დაინიშნა. 1039 წ.
(=1629-1630) ბეგლარბეგობა და 1043 წ. (=1633-1634) მეორე-
ჯერ დამასკოს ვალის თანამდებობა მიიღო. 1046 წ. დააწყისში
(=1636 წ. VI.) სპარსელებთან ომში დაიღუპა. დამასკოში წაასვე-
ნეს და იქ დაკრძალეს¹³¹. ფეჩევისთან (იხ. ზემოთ, გვ. 90) ქუჩუქ
აჭმედ ფაშა 1044 წლის (=1634-1635) ახლო ხანებში არზრუმის
ბეგლარბეგად იხსენიება, რაც „სიჯილ“ში მოთავსებულ ცნობებში
არაა. ამავე დროს ქუჩუქ აჭმედ ფაშის სხვა სახელით სხვა ვინმე
ცნობილი არ არის.

103. ჰუსეფან ფაშა, „მეტსახელი—დელი. ანატოლიიდანაა.
იენიშეჰირელი. სამეფო სასახლის სამსახურში შევიდა. ძლიერ მა-
გარი მკლავების პატრონი იყო და მხოლოდ მან შეძლო გამოეწია
და გაეტეხა სპარსთა ელჩის მიერ მოტანილი მშვილდი, რომელიც
ვერაჟინ ვერ მოიხმარა. ამ გარემოებამ სულთნის დიდი სიამოვნება
და მოწონება გამოიწვია. ამის შემდეგ ცოტა ხანში ჰუსეფან ფაშამ
ვეზირის წოდებით მეფის მუსაიბის თანამდებობაზე დაიწყო მუშა-
ობა. 1041 წ. ზნ-ლ-ჰიჯჯე-ს თვეში (=1632 წ. 19.VI—18.VII.)
ადმირალი (კაფუღან-ი დერიშა) გახდა, მაგრამ 1042 წლის მუჰარ-
რემის თვეში (=1632 წ. 19.VII—17.VIII.) გათავისუფლდა ამ სამ-
სახურიდან და კუბენიშინი ვეზირი გახდა. 1046 წ. (=1636-1637)
მისრეთის ვალის თანამდებობაზე, საიდანაც ის მოიხსნა 1048 წ.
(=1638-1639). 1049 წ. (=1640) ახალი ხონთქრის ტახტზე ასელი-
სას¹³² კვლავ ადმირალობა (კაფუღანობა) მიიღო. შემდეგ 1051 წელს
(=1641-1642) ბოსნიის ვალმა. 1053 წ. (=1643-1644) გადააყენეს.
1054 წ. (=1644-1645) ბალდადის ვალის თანამდებობაზე; რეჯე-
ბის თვეში (1644 წ. 3.IX—2.X.) გადადგა. მერმე მეჭმედ ფაშის
შემდეგ კრიტოსზე სარდლად დაინიშნა. 1066 წ. (=1655-1656)
დიღევიზირობის ბეჰედლი გაუგზავნეს, მაგრამ შემდეგ მთავრობის
თავმჯდომარედ სხვა პირი განამწყესეს და (დიღევიზირის) ბეჰედლი

¹³¹ სიჯილ-ი..., I, 213.

¹³² 1640 წ. მურად IV-ის ნაცვლად ხონთქრის ტახტზე ავიდა იბრაჰიმ
აჭმედის ძე.

უკან დააბრუნეს. 1068 წ. შეველის თვეში (=1658 წ. 2.VII—30.VII.) სარდლობიდან გათავისუფლებულ იქნა და მესამედ დაინიშნა აღმირალის (კაფუღან-ი დერიჯა) თანამდებობაზე. აქედანაც მოხსნეს 1069 წლის რეზი-ულ-ევეელის თვეში (=1658 წ. 27.XI—26.XII.). შემდეგ რუმელიის ვალის თანამდებობა მიიღო. ჭუსეან ფაშა მოჰკლეს 1070 წ. (=1659-1660). დასაფლავებულია სტამბოლში, იედიკულეს სასაფლაოზე¹³³.

104. მურთაზა (←მურთად) ფაშა. „სამეფო სასახლის სამსახურში დაწინაურდა; 1036 წ. (=1626-1627) ვეზირის რანგით ბუდუნის ვალნი გახდა, 1039 წ. (=1629-1630) ოჩაკოვისა, ხოლო 1041 წ. (=1631-1632) დიარბეჯირის ვალის თანამდებობაზე იყო და სულთნის ქალიშვილზე დაქორწინდა. შემდეგში დიდვეზირის მოადგილედ მუშაობდა და 1045 წ. (=1635-1636) კვლავ ბუდუნის ვალის ადგილი უჭირავს. შემდეგში ის დაინიშნა ერეგნის ციხის-თავად და 1045 წელს (=1635-1636) დაქრილობის შედეგად ერეგანს გარდაიცვალა“¹³⁴. შდრ. ფეჩევის „ისტორიიდან“ ცნობა: „წარჩინებულმა ვეზირმა მურთაზა-ფაშამ აღნიშნულ ციხეს (ერეგნის ციხეს) ჩაუწერა ათი ათასი ყული, ხოლო თვითონ დაინიშნა მის (ერეგნის) ციხისთავად“¹³⁵.

105. მუსა ფაშა — „ბოსნიელია. სამეფო სასახლეში გამოიზარდა, სულთნის მესაქურველ გახდა. 1043 წ. (=1633-1634) მისრეთის ვალის ადგილზე დაინიშნა. 1044 წ. (=1634-1635) ვეზირი კუბენიშინის წოდება მიიღო და 1045 წ. (=1635-1636) დიდვეზირის მოადგილედ დანიშნეს. 1046 წ. (=1636-1637) ბუდუნის ვალნი. 1048 წ. (=1638-1639) გადააყენეს. 1049 წ. (=1639-1640) კვლავ ბუდუნის ვალნიობა მიიღო და 1054 წ. მუჰარემის თვეში (=1644 წ. 10.III—8.IV.) გადადგა. ბოლო ხანებში იგი იყო სილისთრას ვალნი, 1055 წ. (=1645-1646) აღმირალობა (კაფუღან-ი დერიჯა) მიიღო და იმავე წელს მოკლეს“¹³⁶.

106. ქენან ფაშა, „მეტსახელი კოჯა (ზორბა ტანისა)“. ქართველია. სულთნის სასახლეში სამსახურით დაწინაურდა და 1039 წ. (=1629-1630) მიიღო ვეზირის წოდება და შავი ზღვის სანაპიროების სარდლად დაინიშნა. 1043 წ. (=1633-1634) სტამ-

¹³³ სიჯილ-ი..., II, 193-194.

¹³⁴ სიჯილ-ი..., IV, 360.

¹³⁵ იბ. ფეჩევის ისტორია, II, 438-439.

¹³⁶ სიჯილ-ი..., IV, 521-522.

ბოლის კაპიტალიზმის თანამდებობაზე იყო და ამ დროს შეერთო
სულთნის ქალიშვილი. 1045 წ. (=1635-1636) სილისთრის ვალნსა,
ხოლო 1048 წ. (=1638-1639) არზრუმის ვალნს თანამდებობა
მიიღო. შემდეგ გამოიძახეს და კუბენიშინ ვეზირის წოდება მის-
ცეს. შემდეგ მეორე ვეზრობა მიიღო და 1062 წ. (=1651-1652)
გარდაიცვალა¹³⁷.

¹³⁷ სიჯილ-ი..., IV, 83.